

# საქართველოს



# მონაწილე

2017 წელი, № 2. წმინდა ილია გარეთლის სახელობის სალიბერაგურო ჟურნალი



**თანამედ-  
როვეობის  
დიდი  
მამები**

*ზნობისა და  
სიბრძნის  
ციცხნი*



**ქაქის-ნიკაძე  
წმიდისა  
იაკობ მოციქულისა,  
ქაქისა უფლისა,  
უიკველ  
მთავარეპისკოპოსისა  
იერუსალიმისა**

**უწმინდესი და უნეტარესი  
დავით V დემდარიანი**



**მერაბ მიქელაძე:  
ქართული მარანი –  
სამოთხის მინიერი სატეზა**

**სწავლება –  
მართლმადიდებლობა  
და პროტესტანტიზმი**



# საქართველოს


# ქოაქე

ზვილდ ილია მართლის სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის 1996 წლიდან

გამოცემის 21-ე წელი

2017



**წმიდა ილია მართალი,  
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!**



№ 2

2017

# საქართველოს

# ჟოაჟე

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)

სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა მშურად ურთიერთს მზარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



## შინაარსი

მრწამსი ..... 5

წმიდა ილია მართალი ერი და ისტორია ..... 6

### კატრიარქი

ამონარიდები ქალაგებუბიდან ..... 8

ბამონათქვამები ..... 9

### სწავლება

მართლმადიდებლობა და პროტესტანტიზმი ..... 11

### მსოფლიო მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ისტორია

თანამედროვეობის დიდი მამები

უწმიდესი და უნეტარესი დავით V ..... 28

ჟამის-წირვად წმიდისა იაკობ მოციქულისად,

ძმისა უფლისად, პირველ მთავარეპისკოპოსისა იერუსალიმისად ..... 37

### მეცნიერება

მერაბ მიქელაძე – ქართული მარანი სამოთხის მიწიერი ხატება ..... 48

ლიტერატურული ნობათი

ახალი ლექსები

მღვდელი ილია ჩიკვაძე

გომბორის მთებზე .....	62
ღედის საფლავთან თქმული .....	62
სამოთხემდე... ..	62

ახალი თარგმანები

ვლადიმერ ვისოცკი

არ მიყვარს... (რუსულიდან თარგმნა სიმონ ჯაფარიძემ) .....	63
ბელა ახმადულინა	
სიზმრები საქართველოზე .....	63
* * * ჩემთვის (რუსულიდან თარგმნა სიმონ ჯაფარიძემ) .....	63

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

14 ოქტომბერს

„კვართისა საუფლოდსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და  
მრონმდინარისა“-ს  
ღღესასწაულს აღნიშნავს.

ტ რ ო პ ა რ ი:

კათოლიკე ეკლესიისა ღღესასწაული, სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლოდსა: ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა და სანოვაგედ წმიდად მიჰრონსა გვიწყაროებს, რომელნი წმიდასა ღმრთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყუანის-ვსცემთ, რადთა ვპოვოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ მცხეთობის ღღესასწაული აღდგა და ოფიციალურ უქმე ღღედ გამოცხადდა.

რედაქტორ-გამომცემელი: მღვდელი ილია (ჩიკვაძე)

პასუხისმგებელი რედაქტორი: ბრიგოლ (ბოჩა) სოფიაშვილი

წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოაგბე“

აკრედიტებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ

მ რ წ ა მ ს ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსაბეველებლად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

## წმინდა ილია მართალი



### ერი და ისტორია

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავისას ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავლებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული. რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი, იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგამ და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი და რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის იხარჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უმაგისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდები.

ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა და ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.



რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვი-  
თარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების  
ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწ-  
მყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ  
რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება  
რა, ვიმეორებ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმმარტებელი ისტორია.  
ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება აქეთ და იქით  
ვასკდებით თავბრუდახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმატალი გარჯა  
ჩვენი, უქმად წარხლომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს  
ერს ხომ გული უტყდება, თავის თავზე სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მან-  
ძილიდაა სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული  
ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული  
და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმიდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრონა,  
ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ  
თავის დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნეედება, ჰგულოვანდება და  
თავმოწონებულთა ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ  
დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად  
იბრძვის, იღწვის, გამხნეებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულ-  
გაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

1888 წელი



კ ა ტ რ ი ა რ ძ ი



ენმიდესისა და ენეცაიხის, სხელიად საქაიხთველს  
ჯათოლიქოს-ჰატიხაიქის

მცხეთა-თბილისის მთავაიქისკოპოსის,  
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტოპოლიტი  
ილია II - ის

ქადაგებებიდან

საკვირაო ქადაგება 14 იანვარი, 2007 წელი

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!  
ჩვენთან არს ღმერთი!

...ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად“, ლათინურად ეს ასე ჟღერს: „Tempora mutantur en tus mutamur in illis“. ჩვენც ვიცვლებით, მაგრამ დავფიქრებულვართ იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება და როგორ ვიცვლებით ჩვენ ღროში? საით მივემართებით: სასუფევლისაკენ თუ ჯოჯოხეთისაკენ?! ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანისთვის. ყოველი ადამიანი დგას სულიერ კიბეზე, რომელიც აღმართულია ჯოჯოხეთიდან სასუფევლამდე. ამასთან, ადამიანი ვერ ჩერდება ერთ ადგილზე; ის ან ეშვება ქვემოთ, ან მოწევს ზემოთ. სიცარიელე ადამიანის გულში არასდროს არის: მასში ან სიკეთე ან ბოროტებაა დაბუდებული დღეს კიდევ ერთხელ უნდა ვიფიქროთ ყოველივე ამის შესახებ: ვინ ვართ ჩვენ, რასა ვიქმთ და სად მივდივართ.

ადამიანების ცხოვრების მრავალი მაგალითია ჩვენ წინაშე, ასევე მრავალი წმინდანის ცხოვრება ვიცით. შეიძლება იმ დონეს ვერ მივალწოთ, რასაც ჩვენი წინაპრები აღწევდნენ, მაგრამ მათი მიბაძვა აუცილებელია.

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 6 მაისი, 2007 წელი

...აღსანიშნავია, რომ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ეკლესიასა და მათ სულიერ ლიდერებს. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში სულიერი და ეროვნული ფასეულობანი ხშირად კნინდება და იკარგება. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული, კულტურული თუ სულიერი ფასეულობანი.

...

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და მას აქვს უძველესი ეკლესია. ევროპამ და, ზოგადად, მსოფლიომ ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს ჩვენგანაც.

...

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ის ძალა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქართველ ერს ანიჭებდა სიმხნევებსა და იმედს, უპირველეს ყოვლისა, არის ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოება. სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია იყო ის ძალა, რომელმაც იხსნა საქართველო, შეინარჩუნა ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი ენა და კულტურა. ქართველი ერი მუდამ იცავდა და დღესაც იცავს თავის ეროვნულ ფასეულობებს და მომავალშიც დაიცავს და შეინარჩუნებს მას.

„საპატრიარქოს უწყებანი“, 2007 წ.

## ენმიდესისა და ენეტაქისის, სხელიად საქაითველოს ჯათოიციოს-ჰატაქიაქის

მცხეთა-თბილისის მთავაქჰისკოპოსის,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

ილია II - ის

გამონათქვამები

\* \* \*

ადამიანს შეუძლია, უსაზღვროდ ამ-  
აღლდეს სულიერად და შეუძლია შთავარდეს  
ვნებათა უსასრულო, უპირო უფსკრულში,  
ორივე შემთხვევაში ის მაინც ადამიანად  
რჩება, მასში არ ქრება „ხატი ღვთისა“.

\* \* \*

თუ გინდა გაიმარჯვო, ისწავლე მოთმინე-  
ბა; თუ გინდა სწორად იცხოვრო, გახსოვდეს  
სიკვდილი.

\* \* \*

ქრისტიანობა რელიგიაა მშვიდობისა,  
სრულყოფილი სიყვარულისა და მარადიული  
სიხარულისა.

\* \* \*

ადამიანი იმდენადაა გარემოცული მიწი-  
ერი გრძნობებითა და ფიქრებით, რომ მას  
ხშირად უძნელდება ღვთიური ნათელის აღ-  
ქმა. მაგრამ ღგება ჟამი, როდესაც ყველა ეს  
გრძნობა და ფიქრი სადღაც ქრება, ადამიანი  
გადადის სზვა სამყაროში და იბადება ახალი  
შეგრძნება, შეგრძნება არაამქვეყნიურისა,  
შეგრძნება რაღაც მშობლიურისა და ამავე  
დროს შორეულისა და მიუწვდომელისა -  
შეგრძნება ღვთისა.

\* \* \*

ადამიანისათვის უმაღლეს ბედნიერებას  
სზვა ადამიანისთვის სიხარულის მინიჭება  
წარმოადგენს.

\* \* \*

ამქვეყნად მხოლოდ ჭეშმარიტებაა უცვლელი და ფასეული, დიდი სისულელე კი მუდამ სისულელედ რჩება.

\* \* \*

სამყაროს შექმნიდან დღემდე ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის არ შეწყვეტილა და იგი სულ უფრო და უფრო მძაფრ ფორმებს იღებს.

\* \* \*

თუ მდიდარი ხარ, მოიპოვე ცხონება მოწყალებით, გაჭირვებულის თანადგომით, თავდაბალი გულუხვობით და შეიძენ სიმდიდრეს ღმერთში.

\* \* \*

თითოეული ადამიანის და განსაკუთრებით კი მორწმუნე ქრისტიანის ვალაა, ყოველგვარი საშუალებით წინ აღუდგეს ომის გაჩაღების საფრთხეს.

\* \* \*

არ არსებობს ცოდვა, ღვთის სიყვარულს რომ აღემატებოდეს და ჭეშმარიტი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მისი შენდობა არ შეიძლებოდეს.

\* \* \*

თუ ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით შევიდმოსებით და მივენდობით უფალს, ყველანაირ განსაცდელს გავუძლებთ და გავიმარჯვებთ.

\* \* \*

თუ ნებისმიერ ადამიანს, განსაკუთრებით ღვთისმსახურს, გაუჩნდება განცდა საკუთარი უპირატესობისა, ეს მისი სულიერი დაცემის დასაწყისია.

\* \* \*

არ შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანი და ამავე დროს შურიტ შეპყრობილი. სიყვარული და შური ისევე შეუთავსებელია, როგორც ნათელი და ბნელი.

\* \* \*

რწმენის ნიჭი ყოველ ადამიანს აქვს მომადლებული, ოღონდ მრავალი ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო ზოგი აღიარებს მას და ზოგი არა.

\* \* \*

ეკლესიის ფუნქცია არ არის პოლიტიკური შეფასება მისცეს მოვლენებს, რადგან ასეთი მიდგომა არღვევს ეკლესიის, როგორც ერის ერთიანობის ქვაკუთხედს.

\* \* \*

მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

\* \* \*

თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.

\* \* \*

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავიანთ მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.





ს ნ ა ვ ლ ე ბ ა



\* \* \*

„მხოლოდ ქრისტიანობაში ჰპოვა შინაგანი სრულყოფა მთელი კაცობრიობის რელიგიური ძიების ხანგრძლივმა და მძიმე მსოფლიო ისტორიულმა პროცესმა“.

\* \* \*

„მართლმადიდებლობა ერთადერთია და შეუცვლელი, რადგან იგია მომცველი და მემკვიდრე ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ტრადიციისა“.

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ქილია



### მართლმადიდებლობა და პროტესტანტიზმი

რეფორმაციის წინაისტორია და იდეური საფუძვლები „რეფორმატორები რეფორმაციის დაწყებამდე“. XV საუკუნის საყოველთაო მოძრაობა

არ იქნებოდა სამართლიანი, XVI საუკუნეში ევროპის დიდ ნაწილში საერთო უკმაყოფილები-სა და რეფორმაციული პროცესების დაწყების ერთადერთ მიზეზად დასავლეთის ეკლესიაში დაგროვილი ხარვეზებიდა სამღვდელოების ზნეობრივი დაცემა მიგვეჩნია. დასავლეთის ქრისტიანობაში მომხდარი განხეთქილება იყო კათოლიკური ეკლესიის დოგმატური ქმედითუნარიანობის დაქვეითების, მსოფლიო ეკლესიიდან გასვლის, ჭეშმარიტი სახარებისეული რწმენისა და ცხოვრების წესიდან გადახვევის გამო წარმოქმნილი ისტორიული კანონზომიერების შედეგი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უკანასკნელ ათასწლეულში განვითარებული უდიდესი რყევებისა, აღმოსავლეთის

ეკლესიაში არასოდეს მომხდარა ისეთი დიდი განხეთქილება და შიდა გაყოფა, როგორც დასავლეთის ეკლესიაში განხორციელდა. როგორც ა. ხომიაკოვი წერდა: „პროტესტანტიზმმა პაპიზმს მომხრეების ნახევარი ჩამოაცილა.. და მართლმადიდებლობის მისადგომებთან გაირინდა“. შემდეგ ამ აზრს ხომიაკოვი თვითონვე ასრულებს: „ჩვენ არ შეგვიძლია რეფორმასთან რაიმე საერთო გვექონდეს, რადგან ჩვენი ნიადაგი სრულიად სხვაა... „აღმოსავლეთის ეკლესიის შინაგანი სიმრთელე ქრისტიანული სწავლების ურყევ და დაუზიანებელ ძირზეა დამკვიდრებული, სავალალოდ, იგივე არ ითქმის დასავლეთის ქრისტიანობაზე.

გადახრები, რომელიც ცოცხალი რწმენის

საფუძვლებიდან მოხდა, განუწყვეტლივ აზიანებდა და ასუსტებდა ქრისტიანული დასავლეთის რელიგიური საწყისების ცხოვრებასთან კავშირს. XVI საუკუნეში ამ პროცესს მთელი რიგი ისტორიული გარემოება დაემთხვა და ამ თანხვედრამ ხელი შეუწყო და საბოლოოდ განაპირობა დასავლეთის ეკლესიაში განხეთქილების გარდაუვალობა. განზოგადებულად თუ განვიხილავთ, რეფორმაციის წინაპირობები შეიძლება დაიყვანოს შინაგან, რომელშიც აისახა კათოლიკური თვითშეგნება, და გარეგან საწყისებად, რომელშიც გამოვლინდა დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული თავისებურებები.

რეფორმაციის შიდა მიზეზებში კიდევ ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიკვეთოს.

ერთი მხრივ, რომის ეკლესიაში არსებული ხარვეზები და ცდომილებები იმ ადამიანებში, ვისაც „რეფორმაციამდელ რეფორმატორებს“ უწოდებენ, სავსებით სამართლიან კრიტიკას იწვევდა. მათი თავისებურება ის არის, რომ ისინი რომის ეკლესიაში არსებულ ხარვეზებს ხელავდნენ, მიუღებლად მიიჩნევდნენ, მაგრამ ისეთ თვალსაზრისებს აყალიბებდნენ, რომლებიც აშკარად სცილდებოდა კათოლიკური სწავლების ჩარჩოებს. შემდეგ ეს შეხედულებები პროტესტანტიზმის ორგანულ ნაწილად გადაიქცა. როგორც წესი, ეს ადამიანები უპირისპირდებოდნენ და მუდმივ კონფლიქტში იყვნენ კათოლიკურ ეკლესიასთან, როგორც, მაგალითად, ჯონ ვიკლიფი.

მეორე მხრივ, ამ ხარვეზებისა და ცდომილებების სიცხადე სულ უფრო აუცილებელს ხდიდა ეკლესიურ ცხოვრებაში ცვლილებების განხორციელებას. თავად რომის კათოლიკურ ეკლესიაშიც მრავლად იყო შიგნიდან ისეთი ცვლილებების შეტანის მცდელობა, რომლებიც რწმენისა და ეკლესიური ცხოვრების ძირითად პრინციპებს არ დაარღვევდა. საუბედუროდ ასეთი განახლების ინიციატორებიც ეკლესიასთან ურთიერთობაში მწვავე კონფლიქტამდე მიდიოდნენ, როგორც იერონიმე სავონაროლა, მაგრამ რეფორმაციაში ამ ადამიანების მონაწილეობა ისტორიული იყო და არა დოგმატური. მიმდინარე საეკლესიო ცხოვრების კრიტიკოსები და ეს „პრაქტიკული ოპოზიცია“ კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტს

ობიექტურად ასუსტებდნენ, მაგრამ ეკლესიური ცხოვრების გარდაქმნის მათი პროგრამა თავისი შინაარსით არ იყო პროტესტანტული, უფრო მეტიც, ხანდახან მას მართლმადიდებლური ელფერიც კი დაჰკრავდა.

რაც შეეხება რეფორმაციის საღვთისმეტყველო წინაპირობებს, მათი ძირითადი პოსტულატები, ამა თუ იმ ფორმით, გასული საუკუნეების დავებში უნდა ვეძებოთ.

უწინარეს ყოვლისა, გავიხსენოთ პირველ საუკუნეებში ევქარისტის საკითხებთან დაკავშირებული უთანხმოება, რამაც შემდგომში დიდი გავლენა მოახდინა წმინდა საიდუმლოებების შესახებ პროტესტანტული აზრის ჩამოყალიბებაზე...

831 წელს გამოქვეყნდა თხზულება, რომელშიც ევქარისტის საკითხებზე ბერი პასხაზი რადბერტის შეხედულებები იყო ჩამოყალიბებული. ის მაცხოვრის ხორცისა და სისხლის გარდასახვის საკითხს მხოლოდ ნივთიერი თვალსაზრისით განიხილავდა. იგი მიიჩნევდა, რომ „ევქარისტის პროცესში გარდასახული სისხლი და ხორცი უშუალოდ ის სხეულია, რომლითაც მაცხოვარი ყოვლადმწმინდა მარიამისაგან იშვა“.

საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოთქვა ვინმე რატრამნმა, რომელიც აშკარად მეორე, აბსტრაქციულ უკიდურესობაში აღმოჩნდა. მას ევქარისტია აბსოლუტურად განყენებულ პროცესად მიაჩნდა. ის წერდა: „საიდუმლოში მაცხოვრის სისხლი და ხორცი მხოლოდ სულიერად შეიჭმება, დანარჩენი ზიარებულის რწმენის ძალაზეა დამოკიდებული, ამ თვალსაზრისთან ძალიან ახლოსაა ლუთერის გვიანდელი სწავლება. საერთოდ, რატრამნის გავლენას დასავლურ ღვთისმეტყველებაზე ისიც ადასტურებს, რომ თავის დროზე მას ბევრი საეკლესიო მოღვაწე უჭერდა მხარს, და შემდეგაც, XI საუკუნის ევქარისტული დავების მეორე ფაზაში, მის მიმართ კვლავ გაჩნდა სერიოზული ინტერესი. ამ პოლემიკის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე ბერენგარ ტურელი იყო. ის მიიჩნევდა, რომ „დიდებით შემოსილი უფლის სხეული ზეცად ამაღლდა; და თუ ეს ასეა, ზიარება... მხოლოდ სულიერი შეიძლება იყოს, რადგან შეუძლებელია მორწმუნე ფიქრობდეს, რომ ის თავისი ბავით ჭამს დიდებით შემოსილ სასუფეველში მყოფ უფლის სხეულს“. ბერენ-

გარ ტურელის ეს სწავლება XI საუკუნის შუა წლებში რამდენიმე კრებაზე იქნა დაგმო-ბილი, მაგრამ საფრანგეთში XII საუკუნეშიც სარწმუნო თვალსაზრისად მიიჩნეოდა.

შემდგომში სწავლება მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან სულიერად ზიარების შესახებ ყოველად უსარგებლოდ, მაგრამ ნომინალისტურ (რომლის მიხედვითაც გაგებათა სახელები ადამიანის მიერაა შექმნილი, ხოლო უნივერსალები მხოლოდ ადამიანის გონებაში არსებობენ) საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტრადიციაში მაინც ვითარდებოდა, საბოლოოდ კი, როგორც გაირკვა, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამან განაპირობა რეფორმაციის ნი-ადაგის ჩამოყალიბება.

ეკქარისტიული დავების თანადროულად ბედისწერის შესახებ სწავლების განვითარება დაიწყო, რამაც ლოგიკურ სისრულეს შვეიცარიულ რეფორმაციაში მიაღწია. უკვე IX საუკუნეში ბერმა გოტშალკმა ჩამოაყალიბა ახალი თეორია ორმაგი ბედისწერის შესახებ. აქ იგულისხმებოდა მართალთა ბედისწერა, რომელთაც გადარჩენა ელით და ბედისწერა ცოდვილთა, რომლებიც უეჭველად დაისჯებიან. ისევე, როგორც საერთოდ რეფორმატორებმა, თავისი შეხედულებები გოტშალკმა ნეტარი ავგუსტინეს სწავლებაზე ააგო. მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინის მიხედვით ბედისწერა ძირითადად ადამიანის ხსენისკენ არის მიმართული და ის „ცოდვილთა ბედისწერას მხოლოდ გარკვეულ გამონაკლისად მიიჩნევს“, გოტშალკმა ნეტარი ავგუსტინეს შეხედულებებს საკუთარი ინტერპრეტაცია შესძინა და განაცხადა: „მე მწამს, რომ მოწყალე უფალმა წინასწარ განსაზღვრა რჩეულთა ზვედრი და ისინი მარადიულ ცხოვრებას ეზიარებიან, მაგრამ ასევე მწამს მისი სამართლიანი სამსჯავროსი და ვიცი, რომ ცოდვილები მარადიულ სასჯელს მიითვლიან“. მიუხედავად იმისა, რომ ეს სწავლება თავის დროზე დაგმობილ იქნა, როგორც ჩანს, მას მაინც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, რადგან ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ IX საუკუნეში ერთ-ერთმა ადგილობრივმა კრებამ იგი საეკლესიო სწავლებად აღიარა.

რეფორმაციის კიდევ ერთი ძირითადი პოსტულატი იყო შოლა შცრიპტურა, რომელიც ვალდესების მოძრაობაში გამოვლინდა და მთე-

ლი ევროპა მოიცვა. წმინდა წერილის მიმართ მათი გამწვავებული ყურადღება, გარკვეული თვალსაზრისით, წმინდა წერილის მოსმენის სურვილით იყო გამოწვეული, რასაც ისინი რომის კათოლიკურ ეკლესიაში აშკარად მოკლებულნი იყვნენ.

ამასთან, ვალდესების შეხედულებებში ჩვენ ვხედავთ უხილავი ეკლესიის იდეას, რომელიც შემდეგ ლუთერმა განავითარა. თუმცა ისტორიულად ეს უხილავი ეკლესია „ნეტარი ავგუსტინეს უხილავ ეკლესიას გვაგონებს, რომელიც მისივე წევრების, ანუ მართალთა ბედისწერის თეორიის შესაბამისად, წარმოადგენს ცხონებისათვის გამზადებული მადლის მოლოდინში მყოფ მორწმუნეთა შესაკრებელს... რომლის წევრებიც ამ თავისებურებით მკვეთრად განსხვავდებიან ხილულ ეკლესიაში თავმოყრილი მასებისაგან“.

გარდა ამისა, ვალდესების სწავლებაში აშკარად გამოსჭვივის მომავალი რეფორმაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგალითად, მხოლოდ ნათლობისა და ეკქარისტიის საიდუმლოს აღსრულებისა და ღვთისმშობლის, წმინდანებისა და ხატთა თაყვანისცემაზე უარის თქმის შესახებ.

ერთ-ერთი ცნობილი „რეფორმაციამდელი რეფორმატორი“ XIV საუკუნის ინგლისელი ღვთისმეტყველი, წმინდა წერილის ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ჯონ ვიკლიფი იყო.

მან ბედისწერასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია გამოხატა და პრინციპი შოლა შცრიპტურა დაასაბუთა. ყველა ამ საკითხში, ვიკლიფის სწავლების მიხედვით, უმაღლეს კრიტერიუმს წმინდა წერილი წარმოადგენდა, ის წერდა: „ასმა პაპმა რაიმე აზრი რომ გამოხატოს, ყველა ბერი რომ კარდინალად იქცეს და პაპების საერთო მოსაზრებას მიემხროს, არ უნდა დავიჯეროთ, თუ ეს აზრი წმინდა წერილს არ ეფუძნება“. ასევე ვიკლიფმა წმინდა ძღვნის გარდასახვის შესახებ ერეტიკული სწავლება ჩამოაყალიბა, რამაც შემდგომში პროტესტანტულ ღვთისმეტყველებაზე პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა. ვიკლიფი პური-სა და ღვინის გარდასახვას უარყოფდა და ეკქარისტიის დროს წმინდა ძღვენში მხოლოდ იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის თანამყოფობას აღიარებდა. აგრეთვე ის საეკლესიო იერარქიის კრიტიკასთან ერთად ხელს უწყო-



ბდა ეკლესიაზე საზოგადოებრივი ზეგავლენის გაძლიერებას.

კათოლიკურმა ეკლესიამ 1382 წელს ჯონ ვიკლიფის სწავლება დაგმო. თვითონ ვიკლიფი უდიდესი პოპულარობისა და მთავრობის მხარდაჭერის გამო სიკვდილით დასჯას გადაურჩა, მაგრამ მისმა შეხედულებებმა პროტესტანტული ღვთისმეტყველების ჩამოყალიბებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ინგლისში ვიკლიფის ასკეტურმა ქადაგებებმა, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი ზეგავლენა პურიტანულ მოძრაობაზე (სახარებისეულისი წმინდის აღდგენისათვის მებრძოლი სექტა) მოახდინა, ხოლო ევროპაში მისი უახლოესი მემკვიდრე იან ჰუსი იყო.

იან ჰუსი ცხოვრობდა XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე და უწინარეს ყოვლისა ცნობილია, როგორც ეკლესიურ ცხოვრებაში არსებულ მანკიერებათა უკომპრომისო კრიტიკოსი და მოწამე. იან ჰუსს ინდულგენცია მაცხოვრებელი მადლის შეურაცხყოფად და შებლაღვადაც მიაჩნდა. ამავე დროს იგი თავგამოდებით ებრძოდა საეკლესიო ქონების დაგროვების ტრადიციას. საერთოდ იან ჰუსი აცხადებდა, რომ საკუთრებას მხოლოდ სამართლიანი ადამიანები უნდა ფლობდნენ, რადგან მდიდარს, რომელიც უსამართლოა, ქონება უეჭველად მოპარული აქვს. პრინციპში თავისი საღვთისმეტყველო შეხედულებებით ჰუსი არც ისე შორსაა კათოლიკური აღმსარებლობისგან, როგორც ჯონ ვიკლიფი. ჰუსი, ვიკლიფს მხოლოდ წმინდა წერილის მნიშვნელობისა და ბედისწერასთან დაკავშირებულ საკითხებში ეთანხმებოდა, გარდა ამისა, ჰუსი ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად ასწავლიდა, რომ მიწიერი ხილული ეკლესიის გარდა არსებობს თვალისთვის უხილავი ჭეშმარიტად იესო ქრისტეს ეკლესია, რომელსაც თავად მაცხოვარი განაგებს და ცხოვრებისათვის რჩეულნი ამ ეკლესიის წევრები არიან. სავსებით შესაძლებელია, ფიქრობდა ჰუსი, რომ ხილული, ანუ მიწიერი ეკლესიის წინამძღოლები – პაპები და ეპისკოპოსები განკითხულთა შორის არიან და მაშინ გამოდის, რომ მათ ძალაუფლება უზურპირებული აქვთ და ისინი ცრუ მოძღვრებად გვევლინებიან. იან ჰუსი არ იზიარებდა ექვარისტის შესახებ ვიკლიფის შეხედულებას, ის მხოლოდ, ისევე როგორც ეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში ხორციელდება,

ორივე ძღვნით მოითხოვდა ზიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ის ვიკლიფის მსგავსად ერეტიკულ შეხედულებებს არ ქადაგებდა, კონსტანცის საეკლესიო კრებაზე ჰუსი დაგმეს და როგორც ერეტიკოსს, ცეცხლზე დაწვა მიუსაჯეს. ერაზმ როტერდამელი წერდა, ის დაწვეს, მაგრამ ვერ დაამარცხეს, რადგან ჰუსის სიკვდილმა ხელი შეუწყო ჰუსისტური მოძრაობის განვითარებას, რომლის წინაშეც მთელი კათოლიკური ევროპა უსუსური აღმოჩნდა.

XV საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკურ ეკლესიაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკას ახალი ძალით იერონიმე სავონაროლა შეუდგა. სავონაროლა საფრანგეთში ცხოვრობდა. ძნელია მას „რეფორმაციამდელი რეფორმატორი“ დაარქვა, რადგან ის არ უარყოფდა კათოლიკური ეკლესიის ტრადიციულ პრინციპებს. ის მხოლოდ რომის ეკლესიის ეპისკოპოსების ძალაუფლებით ჩადენილ ცოდვებს ააშკარავებდა და მათში არსებული უზნეობის ფაქტებს ებრძოდა. იერონიმე სავონაროლა კალვინის წინამორბედი იყო და მისმა ავტორიტეტმა დიდი როლი ითამაშა ევალიტარული (ეკონომიური თანასწორობის) საზოგადოებრივ-რელიგიური გარდაქმნების განხორციელებაში, რასთანაც თავისი მკაცრი ფანატიზმით კალვინი პირდაპირ იყო დაკავშირებული. სავონაროლა ინკვიზიციამ სიკვდილით დასაჯა, მიუხედავად ამისა, საბოლოოდ კათოლიკურმა ეკლესიამ მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ბრწყინვალედ ხედავდნენ, რა საშიშროება უახლოვდებოდა მის ერთიანობას და არსებული მდგომარეობიდან გარკვეული გამოსავლის მოძიებას ცდილობდნენ. ეს მცდელობები XV საუკუნის დასაწყისის რიგ საეკლესიო კრებაში აისახა. მათ მოგვიანებით საკათედრო ან მოძრავი კრებები ეწოდა. სავალალოდ კრებების გადაწყვეტილებები ცხოვრებაში არ განხორციელდა, რის გამოც რომმა საფასური ეკლესიაში მომხდარი განხეთქილებით გადაიხადა.

XIV საუკუნეში პაპისტური აბსოლუტიზმის მკვეთრი კრიტიკით სქოლასტიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი უილიამ ოკამი გამოვიდა. თავის ტრაქტატში „პაპის ძალაუფლებასთან დაკავშირებული რვა შეკითხვა“ მან ჩამოაყალიბა რიგი დებულებები, რომლებიც



შემდეგ მოძრავ კრებებში იქნა გამოყენებული. არსი ამ საკითხებისა იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა სამღვდელთა საერო ძალაუფლებაზე უარი თქვას, რადგან მისი საქმე მხოლოდ ადამიანთა სულების გადარჩენაა. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ სასულიერო პირები და ეკლესია არანაირ ქონებას არ უნდა ფლობდნენ და ისინი ჩვეულებრივად საერო კანონებს უნდა ემორჩილებოდნენ. პაპის ძალაუფლებას არც საღვთო კანონში და არც წმინდა წერილში, რომელიც, მისი აზრით, სარწმუნოების ერთადერთ წყაროა, არანაირი საფუძველი არ გააჩნია და სადავო საკითხები, რომელიც ეკლესიაში ჩნდება საეკლესიო კრებამ და არა პაპის პიროვნულმა სამართალმა უნდა გადაწყვიტოს.

მოძავ კრებებში მნიშვნელოვანი როლი პარიზის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო სკოლამ ითამაშა. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ყველა, ვინც ცდილობდა საეკლესიო ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები შეეტანა, პირველ რიგში უტყვევდა კათოლიკური ეკლესიოლოგიის მთავარ დასაყრდენს — სწავლებას პაპის ძალაუფლების შესახებ, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ეკლესიისათვის საზიანო ყოველგვარი თვითნებობა. რომის პაპის სუვერენული ძალაუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ იმდროინდელი ისეთი ცნობილი ღვთისმეტყველები, როგორებიც იყვნენ: იოანე პარიზელი, მარსელ პადუელი, სიმონ დე კრამო. მწვავე კრიტიკით გამოდიოდა პარიზის უნივერსიტეტის კანცლერი, მომავალი კარდინალი და კრებების აქტიური მონაწილე პიერ დე, ალი. თავის ტრაქტატში „ე ცკლესია“ დალი წერდა: „ეკლესიის პაპისადმი მორჩილება შემთხვევამ მოიტანა. უცოდველი მხოლოდ მსოფლიო ეკლესიაა და ამიტომ როგორც რომის, ისე ყველა სხვა ცალკეული ეკლესია შესაძლებელია ცდებოდეს. არ არის აუცილებელი მსოფლიო ეკლესიის მღვდელმთავარი რომის პაპი იყოს. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ პირველობა რომის კათედრას ანტიოქიის ეკლესიისგან გადაეცა. პაპი შეიძლება ცდებოდეს, რაც უკვე არაერთხელ მოხდა... საუბედუროდ, პაპი შეიძლება ერეტიკოსიც აღმოჩნდეს“. ასეთივე შეხედულებები ჰქონდათ პარიზის სკოლის სხვა ცნობილ წარმომადგენლებსაც, მაგალითად, ჟან შარლეს. ამ საკითხს „პაპის ეკლესიიდან გაყვანის შესახებ“ მან მთელი ტრაქტა-

ტი მიუძღვნა. ჟან შარლე ამტკიცებდა, რომ „პაპი როგორც პაპი ჩვეულებრივი ადამიანია და ამიტომ შეიძლება სცოდავდეს, ასევე როგორც ადამიანი შეიძლება ცდებოდეს... ამიტომ საეკლესიო კრება მასზე ღირსებითაც და მდგომარეობითაც მაღლა დგას. კრებას თვითონ პაპიც უნდა ემორჩილებოდეს... რადგან კრებას, როგორც შეკვრის, ისე დახსნის ძალა გააჩნია. უფრო მეტიც, მარსელ პადუელი მიიჩნევდა, რომ საჭიროა ეკლესიაში რომის პაპის ან პრელატის (ლათ. რაელატუს), რომლებსაც კარდინალები ირჩევენ, გადაყენება ან მათი უფლებრივი შეზღუდვა“.

1309-1378 წლებში ავინიონში გადასახლებისა და 1378-1417 წლების დიდი განხეთქილების პერიოდში რომის ეკლესიისა და პაპის ავტორიტეტი იმდენად შეილახა, რომ ეკლესიაში გარკვეული შინაგანი ცვლილებების განხორციელება გარდაუვალი გახდა. 1408 წლის ივლისში 13-მა კარდინალმა განაცხადა, რომ ისინი პაპის ტახტისათვის ურთიერთპირისპირებული პრეტენდენტების მხარდაჭერაზე უარს აცხადებენ და გადაწყვეტილი აქვთ ორ პაპს შორის გაყოფილი ლათინური ეკლესია გააერთიანონ. ფაქტობრივად, დასავლეთის ეკლესიის ისტორიაში ძალაუფლება პაპის ნაცვლად კარდინალების ხელში პირველად გადავიდა. 1409 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პიზის კრების მოწვევის შესახებ. ეს განზრახვა არც პაპს და არც იმპერატორს არ ეკუთვნოდა, ინიციატორები კარდინალთა კოლეგიის წევრები იყვნენ. კრებამ კონკურენტები ბენედიქტ VII და გრიგოლ XII დამხოზილად გამოაცხადა, მათ მიერ მიღებულმა ყველა განკარგულებამ ძალა დაკარგა. რომის პაპის ტახტი ვაკანტური აღმოჩნდა.

კრების ძალაუფლების გაძლიერების პროცესი 1414 წელს კონსტანცის საეკლესიო კრებაზე გაგრძელდა. მასზე მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც პაპი, როგორც ყველა სხვა სასულიერო პირი, რწმენის საკითხშიც კი კრებას უნდა დაემორჩილოს. დადგენილებაში წერია: „მიუხედავად იმისა, რომ რწმენის საკითხში უპირატესი უფლებები აქვს და მისი დეკრეტები ყველა ეკლესიას ეხება, მის მიერ გამოტანილი განჩინება საბოლოოდ მაინც ეკლესიის მიერ უნდა განიხილებოდეს და მტკიცდებოდეს“. საეკლესიო ცხოვრებაში

კრების მნიშვნელობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც კრებები რეგულარულად უნდა იქნეს მოწვეული და კრებებს შორის შუალედი ათ წელს არ უნდა აღემატებოდეს. კრების მიერ არჩეულმა პაპმა მარტინ V-მ კრების ყველა დადგენილება აღიარა და ფიცი დადო, რომ კრებას დაემორჩილებოდა.

კონსტანცის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებმა შემდგომში განვითარება 1431 წელს ბაზელის კრებაზე მიიღო. რომის პაპს ჩამოერთვა კრების მუშაობის შეწყვეტისა და კრების ჩასატარებელი ადგილის შერჩევის უფლება. ჰუსიტებს, ნუ იან ჰუსის მიმდევრებს ორი ძღვენი ზიარების უფლება მიეცათ. პაპმა ევგენი მეოთხემ ამ გადაწყვეტილებების მიღებას წინააღმდეგობა გაუწია და პაპი კრების მიერ დამხობილ იქნა. პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველები თავიანთ წერილში კრების მსვლელობაში მონაწილე მამებს არწმუნებდნენ, რომ „პაპისთვის ისეთივე წინააღმდეგობა გაეწიათ, როგორც თავის დროზე წმინდა პავლე წმინდა პეტრეს ეწინააღმდეგებოდა“.

XV საუკუნის მომდევნო პერიოდში პაპებმა კვლავ აღიდგინეს ძალაუფლება, შესაბამისად, დასავლეთის ეკლესიაში შინაგანი განახლების სურვილი არ ჩაქრა და ბრძოლა რეფორმის განხორციელებისთვის არ დაცხრა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლატერანის საეკლესიო კრება, რომელიც 1512-1517 წლებში ჩატარდა. კრებაზე პირველ საკითხად რომის კათოლიკური ეკლესიის რეფორმირება წამოაყენეს, მაგრამ დასავლეთმა ამ შესაძლებლობის გამოყენება ვერ შეძლო.

XV საუკუნეში რეფორმის მომხრეები, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდნენ აბსოლუტური კათოლიკური მონარქია შეზღუდულ მონარქიამდე დაეყვანათ. მათ სურდათ, რომის ძალაუფლება შეეზღუდათ და გაეძლიერებინათ ნაციონალური საეპისკოპოსოები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ პაპს, როგორც მღვდელმთავარს, გარკვეული უპირატესობები უნდა ჰქონოდა, მაგრამ ნაციონალურ ეკლესიებში ეპისკოპოსების ძალაუფლებას უნდა ემოქმედა, ხოლო საერთო

ეკლესიური პრობლემები კრებებზე უნდა გადაწყვეტილიყო, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული უმაღლესი ძალაუფლება.

რეფორმაციამდელ კრებებზე გამოიკვეთა და ნათელი გახდა, რომ დასავლეთის ეკლესიაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენისა და ცხოვრების წესის უგულებელყოფიდან მომდინარეობდა. შესაბამისად, განხეთქილების თავიდან აცილებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ დასავლეთი მართვის იმ წესებს დაუბრუნდებოდა, რაც აღმოსავლეთის ეკლესიაში იყო შემონახული. მოძრავმა კრებებმა გვიჩვენა, რომ კათოლიკური ეკლესიის საუკეთესო მასწავლებლები კრიზისის გადალახვის საშუალებად ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ცხოვრების წესის აღდგენას ხედავდნენ. მართლაც, დალის, ჟან შარლეს და სხვათა გამონათქვამებში აშკარად ჟღერდა მართლმადიდებლური მოწოდებები და დასავლეთის ეკლესიის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ საეკლესიო გარდაქმნები იმ ცაპიტე ეტ მემბრის მცდელობები, წარუმატებლად დასრულდა.

საუბედუროდ, რეფორმების ნაცვლად რეფორმაცია განხორციელდა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც კათოლიკური ეკლესია არანაირ საშუალებას არ ერიდებოდა. რეფორმის მომხრეების დიდი ნაწილი რეფორმაციის მხარეთა ბანაკში გადავიდა. ამიტომ XV საუკუნეში დაწყებული საეკლესიო კრების უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის გაგრძელება ასი წლის შემდგომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რელიგიური რეფორმების მცდელობისა და განხეთქილებასთან ბრძოლის ეპოქაში კათოლიკურ წინა პლანზე იეზუიტების ორდენი და მისი ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაცია გამოვიდა.

ამ დროისათვის რეფორმაციული ღვთისმეტყველების წინაპირობებს რელიგიური რაციონალიზმის შემდგომი განვითარება დაემატა. მაგალითად, პიერ აბელარი, რომელმაც ცნობილ თეზისს „მწამს, რათა შევიმეცნო“ დაუპირისპირა „შევიცნო, რათა ვიწამო“. არა-

ვითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს იმაზე მსჯელობა, რომ ღვთისადმი ამ ეჭვმა და უნდობლობამ ოთხი საუკუნის შემდეგ მეცნიერების ყველა სფეროში და მათ შორის რელიგიურ აზროვნებაშიც რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

რაციონალიზმთან ერთად რეფორმაციის განვითარებას შუა საუკუნეების მისტიკამაც შეუწყო ხელი, თუმცა ამ უკანასკნელს შუამდგომლის ფუნქცია ჰქონდა. ეკლესიის გაბატონებული პოზიციისადმი უტყვი ოპონირების გარდა შუა საუკუნეების მისტიკურ ტრადიციას რეფორმაციულ შეხედულებებთან ღმერთის მიმართ უშუალო ურთიერთობის იდეაც აკავშირებდა და მოგვიანებით სწორედ ეს გახდა პროტესტანტული ღვთისმეტყველების მთავარი დასაყრდენი. რეფორმაციის სამშობლო – გერმანია შუა საუკუნეების მისტიკური შეგრძნებების მასაზრდოებელ სივრცედ გადაიქცა. მის ზეგავლენას დასავლეთის ისეთი ავტორიტეტებიც კი აღიარებდნენ, როგორც „გერმანული თეოლოგიის“ უცნობი ავტორი ან კიდევ ღმერთის ეკარტი იყო.

რეფორმაციის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჰუმანიზმის აღორძინებამ. ჰუმანიზმსა და რეფორმაციას შუა საუკუნეების კათოლიკური იდეოლოგიის სახით საერთო მტერი ჰყავდა. ამასთან, ერთსაც და მეორესაც რაციონალური და ინდივიდუალური საწყისების სახით ერთგვარი საერთო დასაყრდენი ჰქონდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს კავშირი წმინდა ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა, თუმცაღა რეფორმაციის სამზადისზე ჰუმანისტურმა იდეებმა შესამჩნევი გავლენა იქონია. კერძოდ მის ბელადებზე დიდი ზეგავლენა ერაზმ როტერდამელის შეხედულებებმა მოახდინა.

რეფორმაციის განვითარებას ხელი შეუწყო მთელმა რიგმა ისტორიულმა ფაქტორებმაც. შუა საუკუნეებში დამკვიდრებული მსოფლწესრიგის დაშლამ ეკლესიურ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის იდეამ, რომელსაც ყველა მისი მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს, აშკარად აჯობა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე

ეკლესიის სუვერენიტეტს. ამ დროისათვის ევროპაში უკვე დასრულებული იყო ძირითადი ნაციონალური კულტურული ერთეულების ფორმირება და ამან ხელი შეუწყო პაპის ძალაუფლებისადმი ნაციონალური ეკლესიების დაპირისპირებას. ნაციონალურ-ეკლესიურ მოძრაობებს მხარს ადგილობრივი მთავრობებიც უჭერდა, ისინი რომის მხრივ დამოუკიდებლობის ჩვეულებრივი აღიარებით უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ, რეფორმაციაში სახელმწიფო ძალაუფლება ეკლესიის საქმეებში ჩარევისა და მისი დიდი სიმდიდრის განკარგვის უტყუარ შესაძლებლობას ხედავდა. რეფორმაციის ორგანული კავშირი მის წარმომქმნელ კათოლიკურ სინამდვილესთან, როგორც კათოლიკობის, ისე რეფორმაციის შინაგანი უკმარობა და წარუმატებლობა აღმოჩნდა. დასავლეთის ეკლესიის ჭეშმარიტი განახლება მის საფუძვლებთან, მსოფლიო განუყოფელ ეკლესიურ საწყისებში დაბრუნება იქნებოდა. მაგრამ რომთან ბრძოლაში ჩაბმული პროტესტანტიზმი თავად რომაული ბუნებით გააფლნთილი აღმოჩნდა და რომის ეკლესიაში არსებული ნაკლოვანებები ვერ გამოასწორა. პროტესტანტიზმმა ისინი საპირისპირო ნაკლოვანებებით ჩაანაცვლა და ქრისტიანობის დეფორმირებულად გაგების ის უკუპროექციის სახე შეიძინა, რომელიც დასავლეთში XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა. თუ კათოლიკობა მედიატორული ეკლესიური გამოცდილების აუცილებლობას ამკვიდრებდა, პროტესტანტიზმმა მას სუბიექტური, პიროვნულად თვითკმარი გამოცდილება დაუპირისპირა. ცალკეული პიროვნების მოუწესრიგებელმა რელიგიურმა უფლებებმა და ამასთან რეფორმაციაში გაჩენილმა სტიქიურმა პროტესტმა არა მხოლოდ კათოლიკური ცდომილებები და გაუგებრობები წალეკა, არამედ პროტესტანტიზმში თავად ქრისტიანული რწმენის საფუძვლებიც მოსპო. როგორც ეპისკოპოსი ილარიონი (ტროიცკი) წერდა: „პროტესტანტიზმმა კი არ აღადგინა ძველი ქრისტიანობა, ერთი სახის უმსგავსობა მეორით ჩაანაცვლა და ახალი სიყალბე ძველზე უფრო მწარე აღმოჩნდა“.



## რეფორმაციის სწავლება პირველქმნილი ცოდვის შესახებ

გერმანული რეფორმაციის პერიოდში კათოლიკური ეკლესიის ღვთისმეტყველებთან დავის პროცესში პროტესტანტიზმს და ლუთერანულ-პროტესტანტულ მიმართულებას ზოგადი საფუძვლები მარტინ ლუთერმა, ფილიპ მელანქტონმა და მათმა თანამოაზრეებმა შეუქმნეს. ამიტომ, პროტესტანტიზმის საერთო სარწმუნოებრივი მოძღვრების შესწავლის დროს, როგორც კლასიკური პროტესტანტიზმის ისტორიული წყარო, ჩვენს ყურადღებას, უწინარეს ყოვლისა ლუთერანობა იქცევს. რეფორმაციის პრინციპებიც სწორედ ლუთერანობის ფუძემდებლებმა შექმნეს და მომდევნო წლებში წამყვანმა რეფორმაციულმა შტოებმა ეს პრინციპები საკუთარი სწავლების საფუძვლებად აქციეს.

პირველქმნილი ცოდვის შინაარსის თავისებურად განმარტებამ რეფორმაციის მამები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ცოდვის ტყვეობიდან გამოსნა მხოლოდ რწმენით არის შესაძლებელი. ლუთერმა გაილაშქრა კათოლიკური ეკლესიის სწავლების იმ დებულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც სული, რომელიც დასაბამიდან ღვთის ხატად შეიქმნა, შემოქმედებისაკენ მიილტვის, მაგრამ ადამიანს ასევე გააჩნია ფიზიკური საწყისი და ის, თავისი ქვენა გრძნობებით, ღვთისაკენ სწრაფვას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა. პირველ ადამიანებში ასეთი თანდაყოლილი ორობითობის დაძლევა ღვთის დახმარებით ხდებოდა. კათოლიკეები ფიქრობდნენ, რომ სამოთხეში ადამიანი სრულყოფილი იყო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი და ცდუნებისაგან მის ბუნებრივ მდგომარეობას თავისი ზებუნებრივი „პირველქმნილი უბიწოების მადლის“ ზეგავლენით ღმერთი იცავდა. კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ უფალმა ადამიანი თავისი დამხმარე „უბიწოების მადლის“ გარეშე დატოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანმა თავისი პირველქმნილი ბუნება დაუზიანებლად შეინარჩუნა და რადგან ადამიანის ბუნება დაუზიანებელი დარჩა, მისთვის კეთილი საქმეების კეთება ღვთის მიერ ბოძებული „უბიწოების მადლის“ გარეშეც არის

შესაძლებელი და, მათი აზრით, ცოდვის ტყვეობიდან თავის გამოსნისათვის ეს საკმარისი საშუალებაა. რეფორმაციის მამა ლუთერი კი ამტკიცებდა, რომ თუ ადამიანს უღმერთოდ კეთილი საქმეების კეთებისა და თვითგადარჩენის უნარი აქვს, მაშინ იესო ქრისტეს ღვაწლი კნინდება და თავის მნიშვნელობას კარგავს. ამიტომ, ლუთერმა მიიჩნია, რომ იმ „უნიადგოკეთილქმედების“ საპირისპიროდ, საჭირო იყო ისეთი არგუმენტაციის მოძიება, რომლითაც პირველქმნილი ცოდვის დამანგრეველი ზემოქმედების უეჭველობა დასაბუთდებოდა და ადამიანი დარწმუნდებოდა, რომ მას დამოუკიდებლად, ანუ უღმერთოდ სიკეთის კეთება და საკუთარი თავის ცოდვის ტყვეობიდან გამოსნა არ შეუძლია და ადამიანის გადარჩენა მხოლოდ მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

შემდეგ ლუთერმა დაასკვნა, რომ პირველი ადამიანების უხრწნელი ბუნება არა მხოლოდ უცოდველობით, არამედ უმაღლესი სულიერი შესაძლებლობებითაც გამოირჩეოდა და მისი შეგრძნებები და ყოფიერება ღვთაებრივ სრულყოფილებასთან სრულ თანხვედრაში იყო. ადამიანის „სრულფასოვანი უბიწოება“ ჰარმონიას არა მხოლოდ ადამიანის პიროვნულ ბუნებაში, არამედ ღმერთთან ურთიერთობაშიც ქმნიდა. როგორც ნათქვამია „აუგსბურგის აღსარების აპოლოგიაში“: ადამიანის ბუნებრივი ძალების ერთობლიობა, რომელსაც მოკლედ „ღვთის ხატი“ შეიძლება ვუწოდოთ, თავისთავად საკუთარი ბუნებრივი და მიღწევადი მიზნისკენ – ღმერთისკენ იყო მიმართული“, ანუ ადამიანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა მისწვდომოდა ჰემმარიტ ცოდნას ღმერთის შესახებ და ამავე დროს, ღმერთთან მუდმივ ერთობაში ყოფილიყო. რადგანაც ღმერთმა ანგელოზებს როდი დაუმორჩილა მომავალი ქვეყანა, რომელზედაც ვმსჯელობთ, არამედ ვილაციის მოწმობით სადღაც თქმულა: „არა არის კაცი, რომ გასსოვს იგი? ან ძე კაცისა, რომ მოიხილავ მას? ოღნავ თუ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე, დიდებითა და პატივით გვირგვინოსან ჰყავ და ყველაფერი ფეხქვეშ დაუმხე და რაკი



ყველაფერი დაუმორჩილე, დასამორჩილებელი აღარა დარჩა რა“ (ებრ. 2:5-8). ამ სიტყვებიდან გამომდინარე, პროტესტანტული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით ადამიანს ზებუნებრივი არაფერი ესაჭიროებოდა. ამრიგად, კათოლიკეებისგან განსხვავებით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ადამიანი თავის პირველქმნილ მაღალ მდგომარეობას ღვთისაგან მუდმივად მოწოდებული „უბიწოების მადლით“ ინარჩუნებდა, რეფორმაციის მამები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანისათვის სრული უბიწოება და შინაგანად ჰარმონიული მდგომარეობა თანდაყოლილი და ჩვეულებრივი მდგომარეობა იყო.

მაგრამ რაც უფრო მომხიბვლელია პროტესტანტული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით დანახული პირველქმნილი ადამიანი სამოთხეში, მით უფრო ღრმავდება და დამთრგუნველი ხდება მისი დაცემისა და სამოთხიდან განდევნის სიმძიმე. ამ შემთხვევაში დაცემა აღარ არის მხოლოდ ღვთივბოდებული სისრულის დაკარგვა, ადამიანი მხოლოდ კი არ დანაკლებულა ან დამდაბლდა, არამედ იგი ცოდვის მიერ ძლეული, დამსობილი იქნა და პრაქტიკულად მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ადამიანმა დაკარგა თავისი უბიწოება, ხოლო, მეორე მხრივ, მასში გაჩნდა ბოროტებისკენ ლტოლვის სურვილი და ერთი სიტყვით, „ღვთის ხატი“. ბოროტების მორჩილების გამო, ღმერთის მტრად გადაიქცა და ის მუდმივად ამ მტრობაშია მხილებული და გმობილი. „თანხმობის ფორმულა“ ქადაგებს: „უნდა გვჯეროდეს, რომ ადამმა თავისი პირველქმნილი ბუნებითი უბიწოება, ანუ ღვთის ხატება დაცემის გამო დაკარგა... დაკარგული ღვთის ხატების ნაცვლად, მას ბუნების მთელ სიღრმემდე... უმძიმესი ხრწნადობა დაეუფლა...“ ადამიანის სული ღვთის წინაშე უსულო ნეშტად გადაიქცა და დაცემული არსება, იმავე „თანხმობის ფორმულის“ მიხედვით, ლოტის ცოლის მსგავსად, მარილის სვეტს დაემსგავსა. თავნება ადამიანმა „ზნეობრივი თვალსაზრისით კერპის სახე შეიძინა“ რომელსაც არათუ არ ძალუძს სიკეთის ქმნა, სიკეთის ქმნის სურვილიც კი არ გააჩნია.

თუ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას მიაჩნია, რომ ადამიანის ბუნება პირველქმნილი ცოდვით სრულად არ დაზიანებულა და მას

ღვთის მადლით ყოველთვის შეუძლია გააკეთოს ზნეობრივი არჩევანი, რეფორმაცია ერთმნიშვნელოვნად ქადაგებს, რომ ადამიანის ბუნება მთლიანად დაზიანდა და ის ცოდვის მორჩილებაშია. ამ საკითხთან დაკავშირებით ლუთერს ნათლად გამოკვეთილი ფიგურალური პოზიცია ჰქონდა, ის წერდა: „ადამიანის ნება ცხენს ემსგავსება. თუ ღმერთი ამხედრდა მასზე, ის იქით გარბის, საითაც ღმერთი მოისურვებს; თუ ეშმაკმა მოიხელთა, იქით გაქუსლავს, საითაც ეშმაკი მიმართავს“. წარმოდგენამ, რომ ადამიანს არ ძალუძს კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანი გააკეთოს, შემდგომში კალვინს იმის საფუძველი მისცა, რომ შეექმნა ახალი სწავლება ბედისწერის შესახებ.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა შეიტყო, რომ თურმე მას სიკეთისაკენ მისწრაფება არ გააჩნია, ზნეობრივმა შედეგმაც არ დააყოვნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი რეფორმატორი თავის ქადაგებაში ქრისტიანებს იუდეველთა მცნებების აღსრულებაზე უარის თქმას და სხვა ამგვარ „სიახლეებს“ უნერგავდა. ამის გამო მელანქტონმა ლუთერის კატეგორიული ტონის მნიშვნელოვნად შერბილება და ახალი სწავლების შემდგომი განვითარება სცადა. ასე მაგალითად, „თანხმობის ფორმულა“ წმინდა წერილის საფუძველზე, ადამიანის ბუნებას, რომელშიც ცოდვა ცხოვრობს, უკვე თავად ადამიანის ბუნებაში არსებული ცოდვისაგან განასხვავებს და ამით ასაბუთებს, რომ დაცემული ბუნება არ განდა ცოდვის იდენტური. ცოდვა ეშმაკისგანაა, ხოლო ბუნება – ღმერთისგან; ცოდვა მხოლოდ ხარისხი შეიძლება იყოს, ის თავად ბუნება ვერ განდება, რადგან ბუნებამ დაცემის შემდეგ ცოდვისგან განმასხვავებელი მენტალიტეტი შეინარჩუნა. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანს ცოდვით დაცემის მიუხედავად სიკეთის კეთების, თუნდაც შუზღულული, მაგრამ გარკვეული შესაძლებლობა მაინც გააჩნია. ამ უნარს მელანქტონმა „ხორცის სიწრფელე“ უწოდა. ეს სიწრფელე, ცხადია, ღვთაებრივი და სულიერი სიწმინდისაგან, რომელიც ადამიანის ძალისხმევას არ ექვემდებარება, განსხვავდება. როგორც ამას „აუგსბურგის აღსარება“ ქადაგებს: „... ადამიანს, თავისი ნებით, სულიწმინდის გარეშე, არ ძალუძს ღმერთის სამართლის ან სულიერი სიწმინდის

შესაბამისად“ იმოქმედოს. უნდა ითქვას, რომ ღმერთთან თანხვედრილი სულიერი სამართალი სოტეროლოგიის სფეროა და მისი შესწავლის საგანი სწორედ ადამიანის ცოდვიდან გამოსნა და გადარჩენაა. ადამიანში სიწმინდე თავის საწყისს და მოქმედი ძალის დასაბამს უშუალოდ ღვთაებრივი მადლით იღებს. იმავე „აუგსბურგის აღსარების“ სიტყვებით რომ ვთქვათ: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ადამიანში თავისუფალ ნებას და იმ ძალებით მოქმედების უნარს ვაღიარებთ, რომლებსაც კანონის გარე საქმეების აღსრულება ძალუძს, ამ შესაძლებლობებს ისეთ სულიერ საქმეებს ვერ მივაწერთ, როგორებიც არის, მაგალითად: ღმერთის ჭეშმარიტი შიში და რწმენა. ეს მოსეს პირველი ქვის ფირფიტის კანონებია და ადამიანის გულს სულიწმინდის გარეშე მათი აღსრულება არ შეუძლია“.

ერთი სიტყვით, რეფორმაციამ ადამიანს მხოლოდ არჩევის შეზღუდული უნარი დაუტოვა და ამ ფარგლებშიც თავისუფალ მოქმედებაზე ზღვარი დაუწესა. ადამიანს შეუძლია იმოქმედოს პასიურად და ისიც, მხოლოდ მასში არსებული ღვთაებრივი მადლის შესაბამისად. სიკეთისკენ აქტიური სწრაფვის სანაცვლოდ. მას შეუძლია მხოლოდ მასში არსებულ მადლმოსილ სიკეთის ძალას არ გაუწიოს წინააღმდეგობა. რეფორმატორების მიერ ადამიანის ბუნების თავისებურებების დაქვეითების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს თავისი ბუნებითი თავისუფლებით შეუძლია შეეწინააღმდეგოს ან დაემორჩილოს უფალს, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან მართლმადიდებლურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ადამიანს ღმერთთან სინერგიულ თანამოქმედებაში ყოფნის უნარი გააჩნია.

პირველქმნილი ცოდვის შესახებ ლუთერანულ თეორიაში, ძნელი არ არის, ნეტარი ავგუსტინესა და პელაგოსის დავის საგნის კვლავ გააქტიურება დავინახოთ. ნეტარი ავგუსტინეს სწავლებაში ცოდვით დაცემის შედეგად ადამიანმა დაკარგა თავისუფალი ნება და თავისი გადარჩენის საქმეში მთლიანად ღვთის მადლის მოქმედებაზე გახდა დამოკიდებული. ლუთერმა ამ სწავლებიდან ყველაზე დიდი უკიდურესობები შეარჩია. ამას ხელი

იმანაც შეუწყო, რომ ლუთერის შეხედულებები ავგუსტინელთა ორდენის გენერალური ვიკარიუსის იოანე შტაუპიცას პირდაპირი ზეგავლენით ჩამოყალიბდა. ლუთერი სწორედ ამ პიროვნების წყალობით გაეცნო და გახდა ნეტარი ავგუსტინეს შემოქმედების ერთგული თაყვანისმცემელი.

რეფორმაციის სწავლება ცოდვის ტყვეობიდან მხოლოდ რწმენით გამოსნის შესახებ (სოლა ფიდე)

პირველქმნილი ცოდვის შესახებ ავგუსტინესეული თვალსაზრისის ერთმნიშვნელოვნად განიარება რეფორმატორი ღვთისმეტყველება მეორე უკიდურესობაში ჩააგდო და მიიყვანა დასკვნამდე, რომ გადარჩენა მხოლოდ რწმენით – სოლა ფიდე არის შესაძლებელი. ცოდვის ტყვეობიდან კათოლიკურად „გარიგებით“ გამოსნა, რომლის დროსაც ადამიანმა ღვთაებრივი სამართალი თავისი კეთილი საქმეებით უნდა დააკმაყოფილოს, ლუთერის აზრით, უდიდესი მკრეხელობაა, რადგან ღვთის ნაცვლად თვით ადამიანი ცდილობს საკუთარი თავის გადარჩენას და ამით იმ უდიდესი მსხვერპლის მნიშვნელობას აკნინებს, რომელიც უფალმა ადამიანისთვის გაიღო. კათოლიკური სოტეროლოგიის (სწავლება გამოსნისა და გამოსყიდვის შესახებ) შინაგან სიყალბეს დასავლეთის ეკლესიის ბევრი გამოჩენილი ღვთისმეტყველი რეფორმატორებამდე ხედავდა. როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილ „აუგსბურგის აღსარებაშია“ ნათქვამი: „ვინც ფიქრობს, რომ თავისი საქმეებით გამოსნის მადლი მოიპოვა – არაფრად აგდებს იესო ქრისტეს დამსახურებებს და ... ღვთისაკენ მიმავალ გზას მაცხოვრის მიღმა, ადამიანურ ძალებში დაეძებს“. ამ კათოლიკურ სწავლებას რეფორმაცია მთელი თავისი ძალებით დაუპირისპირდა და გამამართლებელი მადლის მოპოვების ერთადერთ საშუალებად იესო ქრისტესადმი მიმართული რწმენა მიიჩნია. ლუთერმა ამჯერადაც მისთვის ჩვეული კატეგორიულობა გამოავლინა და რწმენა, როგორც ადამიანის უკიდურესად ღრმა სულიერი გრძნობების გამჟღავნების საშუალება, კათოლიკური საწყისო სწავლების საპირისპირო ძალად გამოაცხადა.

ისტორიულად კათოლიციზმში ეს დაპირისპირება რეფორმაციის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე ვითარდებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ მსგავს მოსაზრებებს ბერნარ კლერვოსელი (1090-1153), ხოლო შემდეგ, XV საუკუნეში იოანე ვესელი გამოთქვამდნენ. ეს უკანასკნელი ქადაგებდა, რომ კეთილი საქმეებით ხსნა შეუძლებელია, რადგან მეტაფიზიკური თვალსაზრისით ადამიანის ბრალი იმ ღვაწლზე შეუდარებლად დიდია, რომელიც ადამიანმა თავისი კეთილქმედებით შეიძლება გაიღოს. სწორედ რეფორმაციის იდეოლოგიების მსგავსად, მხოლოდ რწმენით ხსნის შეუძლებლობის შესახებ თავის „ტრაქტატში ან გზავნილებაში ადამიანის გამართლების შესახებ“ XVI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი იერარქი კარდინალი კონტარინი წერდა: ეკლესიური კანონი არ შეიძლება აბსოლუტურ სრულყოფილებად ჩაითვალოს და ვერ ვიტყვით, რომ კანონების ზუსტი აღსრულებით შეგვიძლია ღმერთის წინაშე მართალნი აღმოვჩნდეთ.

მიუხედავად კათოლიკური სწავლების ასეთი საყოველთაო კრიტიკისა, სოლა ფიდეს საფუძვლებიც ადამიანის ღმერთის შესახებ არასწორ წარმოდგენებში და მცდარ შეხედულებებში იღებდა სათავეს, ანუ დასაყრდენს იმაში პოულობდა, რასაც შუა საუკუნეებში კათოლიკეები ღმერთის ადამიანისადმი დამოკიდებულებას უწოდებდნენ. ამ პერიოდის კათოლიკურ ღვთისმეტყველებაში ღმერთის გულმოდგინება და შემწყნარებლობა ღვთაებრივმა სამართლიანობამ ჩაანაცვლა. კათოლიკეების წარმოდგენაში მაცხოვრის ადგილი დიდმა ინკვიზიტორმა, ანუ ღმერთმა დაიკავა. მშვიდი, კაცთმოყვარე, მიმტევებელი ღვთაების ნაცვლად ცოდვით დამძიმებული ადამიანის წინაშე ჯოჯოხეთური სატანჯველი დაიხატა. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ცოდვიდან გამოხსნისთვის საჭირო ქმედებების მამოძრავებელ საშუალებად შიში უნდა ქცეულიყო. ამავე დროს, სატანჯველის ცეცხლით დამძიმებული ადამიანის აზროვნებაში ხსნის იმედებიც მიიწვინდა. კეთილი საქმეების კეთება ადამიანს ვერ უქმნიდა გარანტიას, რომ სიკვდილთან ერთად ის ჯოჯოხეთში არ აღმოჩნდებოდა. როგორც „შმაკალდენის არტიკულებშია“ ნათქვამი: „ჩა-

დენილი ცოდვების საქმეებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან, რომ არაფერი ვთქვათ ყველა ცოდვის შესახებ, არავინ იცის, თუნდაც ერთი ცოდვის გამო რამდენი სიკეთე უნდა გააკეთოს ადამიანმა“. საკუთარი ხსნის საკითხთან დაკავშირებულმა ასეთმა გაუგებრობამ ქრისტიანების თვითშეგნება რწმენისკენ მიმართა და შუა საუკუნეების კათოლიკურ, ჯოჯოხეთურ მარწუხებში მოქცეულმა ადამიანმა გადარჩენის გარანტირებული საშუალება სოლა ფიდეში დაინახა. თავად მარტინ ლუთერი აღიარებდა, რომ მისი პიროვნული პროტესტის მთავარი მამოძრავებელი ძალა ცოდვიდან საკუთარი პიროვნების გამოხსნის გარანტიის არარსებობა იყო: „მიუხედავად იმისა, რომ მე უცოდველი ბერი ვიყავი, ჩემი მდგომარეობა იმგვარად წარმომედგინა, – წერს იგი, – რომ მე, საკუთარი სინდისით დათრგუნული, უბედურ ცოდვილად ვიდექი ღვთის წინაშე და არანაირი რწმენა არ მქონდა, რომ ჩემი ღვაწლი ჩემს მდგომარეობას რამდენადმე შეამსუბუქებდა. ამიტომ მე კათოლიკური სამართლიანი ღმერთის მიმართ სიყვარულს ვერ ვგრძნობდი და მისი მისამართით მუდმივ დრტვივასა და უკმაყოფილებას გამოვხატავდი... შემდეგ მივხვდი, რომ ღმერთის წინაშე გამართლების ყველაზე უკეთესი საშუალება უბიწოებაა. უბიწოზე გადმოდის ღვთაებრივი მადლი და ღვთაებრივ რწმენაში განმტკიცებულ ადამიანს ღმერთი თავისი გულმოდგინებით შეიწყნარებს. ამის შემდეგ, საკუთარი პიროვნება განახლებულად და კვლავ დაბადებულად შევიგრძენი, თითქოს ჩემთვის რაღაც საოცარი კარი გაიღო და ანაზღად სამოთხეში აღმოვჩნდი“. ამ მოწოდებით ლუთერმა ათასობით იმ კეთილგონიერი კათოლიკე ქრისტიანის გრძნობა გამოხატა, რომელიც შემდეგ კეთილსინდისიერ პროტესტანტად მოგვევლინა.

ცოდვის ტყვეობიდან მხოლოდ რწმენით გამოხსნის იმედი, უპირატესად, მოციქულ პავლეს ლუთერისთვის საყვარელი ეპისტოლეს მისებრმა განმარტებამ გაუჩინა. „აუგსბურგის აღსარებაში“ ვკითხულობთ: „უშუალოდ ჩვენი ღვაწლით არ შეიძლება ღვთის წინაშე ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები გვეპატიოს და ჩვენ მიერ განხორციელებული უსამართლობების



გამართლებას მივალწით: ჩვენ ჩვენს ცოდვებში გამართლება და განწმენდილობა მხოლოდ ღვთის წყალობით შეგვეძლება მივიღოთ. გვწამს, რომ ქრისტე ჩვენი ცოდვების გამო ეწამა და ჯვარს ეცვა. ქრისტეს ღვაწლით და წყალობით ჩვენ გავმართლებით და საუკუნო სიცოცხლეს მოვიპოვებთ, რადგან, როგორც მოციქული პავლე ბრძანებს, ქრისტე ჩვენთვის ეწამა და ქრისტეს გამო ქრისტეს რწმენაში ჩვენი ცოდვები ჩვენი რწმენითვე მიგვეტევა“.

როგორც ვხედავთ, საქმე, რომელსაც კათოლიკური ეკლესია ადამიანისგან ღმერთის წინაშე გამართლებისათვის ასეთი გულმოდგინებით მოითხოვდა, საჭირო არ აღმოჩნდა. „ადამიანს სამართლიანობის აღსადგენად საჭირო სასჯელის შიში აქვს და აი, მას იესო ქრისტეს სიკვდილზე, როგორც ღმერთის სამართლის დასაკმაყოფილებლად გაღებულ უსასრულოდ დიდ ღვაწლზე, მიუთითებენ. ეს ისეთი ღვაწლია, რომელიც სამართალს... უფლებას აღარ აძლევს ადამიანისგან რაიმე სხვა ღვაწლი მოითხოვოს“. ამ შემთხვევაში ადამიანის ძალისხმევა არათუ საჭიროებას, საშიშროებასაც კი წარმოადგენს, რადგან ძალისხმევამ შესაძლოა ღვთის მადლის გადმოსვლასაც კი შეუშალოს ხელი. იესო ქრისტემ კაცთა მოდგმის ცოდვის სანაცვლოდ ღვთის წინაშე ისეთი საზღაური მიიტანა, რომ ხსნა უკვე გარანტირებულია, ხოლო ამ საზღაურის გათავისებისათვის ადამიანს მხოლოდ რწმენა ესაჭიროება. თუ ადამიანმა დაიჯერა, რომ მსხვერპლი მისთვისაცაა გაღებული, ის უკვე ამ მსხვერპლის გამომსწენელი ძალის თანამფლობელია.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს გამომსწენელი რწმენა, რომელსაც შეუძელია ადამიანი „მაცხოვრის ღვაწლის ჭურჭლად გადააქციოს“. საერთოდ რწმენა — ადამიანის პირადი დამსახურება და არც მისი შინაგანი სრულყოფილების ნაყოფია. რწმენა არ ეკუთვნის უშუალოდ ადამიანს, ის, როგორც განსაკუთრებული ნიჭი, ადამიანზე ღმერთისგან გადმოდის. ლუთერი წერდა: „რწმენა არ წარმოადგენს ადამიანის ნააზრვეის იმ ნაწილს, რომელიც მისგან შეიძლება წარმოიშვას; რწმენა ადამიანის გულში მოქმედი ღვთაებრივი ძალაა“. ლუთ-

ერის ცნობილი სიტყვებია: „ყველაფერი ღვთის განსაზღვრული და უცვალელებელი ნებით ხდება. ჩვენში კეთილიცა და ბოროტიც ღმერთის ნებით აღიძვრება; ის ჩვენ დამსახურების გარეშე გვაცხონებს და უმიზეზოდ გვადანაშაულებს“. ამ თვალსაზრისში არანაირ გადამეტებასთან არ გვაქვს საქმე, რადგან ლუთერანულად ადამიანს თავისი ნება არ გააჩნია, ნება მასში მოქმედი ღვთაებრივი მადლის შეუცნობლად მატარებელია, და, შეიძლება ითქვას, პროტესტანტების „სოლა ფიდე“ კათოლიკურ „ოპუს ოპერატუმად“ („აღსრულებული მოქმედებს მიუხედავად პასიურობისა“) გადაიქცა. იმისათვის, რომ უკვდავება მოიპოვოს, ადამიანს შეუძლია და ვალდებულიცაა, იესო ქრისტეს მხოლოდ გონით შეეხოს. გადარჩენისთვის საკმარისია მხოლოდ გჯეროდეს, რომ გადარჩები, რადგან გამამართლებელი რწმენა თავისთავად ღმერთისადმი მიმართვასაც გულისხმობს და ლუთერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხსნის შესახებ შენში აღძრული აზრიც კი შენი მონაპოვარია“. როგორც არქიმანდრიტი ქრისტანთე ბრძანებს: „პროტესტანტიზმმა პრინციპი “მწამს, ესე იგი გადავრჩი“ თავის საჯილდაო ქვად აქცია“.

რას ღებულობს ადამიანი მაცხოვრის მიერ ღვთის სამართლის გამო გაღებული მსხვერპლიდან? პროტესტანტული თვალსაზრისით, მაცხოვრის მიერ გაღებული სამართლის დამაკმაყოფილებელი მსხვერპლის საშუალებით ადამიანის გამართლება ხდება, მაგრამ გამართლებული ადამიანი ცოდვისგან კი არა, იმ სასჯელისაგან თავისუფლდება, რომელსაც ცოდვის გამო იმსახურებდა. ერთ-ერთ სიმბოლურ წიგნში წერია: „გამართლება ცოდვას ვერ სპობს, რადგან ცოდვა მხოლოდ იფარება“. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სხეულიდან ცოდვა ამოძირკვეული და განდევნილი არ არის, ღმერთი, ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის გამო, ადამიანს მაინც მართალ და წმინდა არსებად მიიჩნევს, ის ადამიანის ცოდვიანობაზე ყურადღებას აღარ ამახვილებს და უსჯულოების გამო არ სჯის მას“.

ისეთი გამართლების არსი, როგორცაა პროტესტანტი რწმენის საშუალებით ეძებს, „ცოდვისაგან, წყევლისა და სიკვდილისაგან“ განთავისუფლება კი არა, კათოლიკური სწავლების

მსგავსად, სასჯელისაგან განთავისუფლებაა. ამ სასჯელს იმ შემთხვევაში შეიძლება გადაურჩეს ადამიანი, თუ მან გამართლებას მიაღწია, მაგრამ არა საკუთარი შინაგანი განწყობილობის, არამედ მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის გამო. „იმის მიუხედავად, ჩვენი ბუნებით მართლები ვართ თუ არა, ჩვენი გამართლება იესო ქრისტეს სიმართლი ხდება“. ცოდვილი ადამიანის გამართლებულად გამოცხადებას „პრინციპიას“ უწოდებენ და ამის შემდეგ ღმერთი ადამიანისგან ცოდვების სანაცვლოდ აღარაფერს ითხოვს. რწმენის შესაბამისად, ადამიანი ყოველგვარი ზნეობრივი ცოდვის შედეგებისგან თავისუფლდება.

მაგრამ რა უნდა აკეთონ ლუთერანებმა იმის შემდეგ, რაც მათ რწმენის ძალით ღმერთი შემოირიგეს და ყოველგვარი ცოდვის შედეგისაგან განთავისუფლდნენ? როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეულმა ზნეობრივმა მუხრუჭებმა რეფორმატორებს არ მისცა იმის საშუალება, კეთილი საქმეების კეთებაზე საბოლოოდ ეთქვათ უარი. სიმბოლურ, სამოდერო წიგნებში საუბარია ცოცხალ ანუ ქმედით რწმენაზე, „რომელიც უეჭველად ახალ მისწრაფებებს და ახალ საქმეებს ბადებს“. ამავე დროს, პროტესტანტული „აპოლოგია“ აქვე უმატებს, რომ „ადამიანის გამართლებისათვის კეთილი საქმეები საჭირო არაა, რადგან თვითონ კეთილი საქმეები ნაყოფი და შედეგია ცოდვაში გამართლებისა“.

ამრიგად, რეფორმაცია კეთილი საქმეების კეთებაზე უარს არ ამბობს, მაგრამ უარყოფს ამ საქმეების წვლილს ადამიანის გამართლების საქმეში.

როგორც უკვე აღინიშნა, რწმენით გადარჩენის საღვთისმეტყველო-ისტორიული საფუძვლები ადამიანის ცოდვიდან გამოსხნის შუა საუკუნეების დამთრგუნველ კათოლიკურ გაურკვეველობასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი ყოველთვის ცდილობს საკუთარი მომავალი ისეთი მდგომარეობით უზრუნველყოს, რომელიც „დაარწმუნებს, რომ გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში ის ცოდვის შედეგებიდან განთავისუფლებული იქნება“. რეფორმაციამ საერთო რელიგიურ თვითშეგნებას ის მოუტანა, რაც ვერ შეძლო

კათოლიკობამ, რადგან ამ უკანასკნელმა გადარჩენის ისეთი რწმენა ვერ დაამკვიდრა, როგორც პროტესტანტულ რწმენასთან ერთად ჩნდება. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს გარანტირებული გადარჩენის გრძნობა ამორებს პროტესტანტულ თვითშეგნებას მართლმადიდებლური ტრადიციისაგან, რადგან საიქიო ცხოვრებისათვის განკუთვნილ, სწორედ ასეთი უმოქმედობით წარმოშობილ გარანტიებზე ამბობს უარს მართლმადიდებლობა. გარკვეული თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რწმენით გამართლება, რომელსაც ზოგადი გამართლების სახე აქვს, სულიერად სუსტი ადამიანის ღვთისმეტყველური საშუალებებით დაცვაა. ეს რწმენა ყალბია და იმას სჭირდება, ვისაც ადვილად და დაუმსახურებლად სურს „გაექცეს მომავალ რისხვას“ და როგორც ლუთერი ბრძანებს – ღია კარის გავლით ანაზღად აღმოჩნდეს სამოთხეში.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმაციამ ცოდვიდან გამოსხნის საქმეში ადამიანის დამონების კათოლიკურ საჭიროებაზე უარი განაცხადა, ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის კათოლიკური ლოგიკა მან მაინც შეინარჩუნა. ამ ლოგიკის მიხედვით კი, ისევე როგორც კათოლიკობაში, ღმერთი პროტესტანტიზმშიც ებრძვის და ემტერება დაცემულ კაცობრიობას. პატრიარქმა სერგიმ ასე დაახასიათა ამგვარი პროტესტანტული მსოფლმხედველობა: „პროტესტანტული სწავლების მიხედვით ირკვევა, რომ ღმერთი ადამიანზე ყოველთვის განრისხებული იყო... შემდეგ უფალმა იესო ქრისტესადმი ადამიანის რწმენა დაინახა და შემოირიგა იგი. ეს შემორიგებული ადამიანი კვლავაც სცოდავს, მაგრამ ამ ახალი ცოდვების გამო მას ღვთისგან პასუხი აღარ მოეთხოვება“.

შესაბამისად, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობაში ცოდვის ტყვეობიდან გამოსხნისა და ადამიანის გამართლების არსიც განსხვავებული შინაარსით გამოვლინდა. მისი მიზანი ცოდვებისაგან განთავისუფლების ნაცვლად ცოდვების გამო სასჯელისაგან თავის გამოხსნა გახდა, რაც უშუალოდ მხოლოდ ღმერთის ნებით შეიძლება განხორციელდეს. გამოდის, რომ პროტესტანტული თვალსაზრისით ადამიანის გამოსხნის პროცესი „წარმოად-



გენს აქტს, რომელიც უშუალოდ ღმერთში და არა ადამიანში ხორციელდება“. სხვა საქმეა მართლმადიდებლური თვალსაზრისი, რომელიც ადამიანს ცოდვებისგან განწმენდას და ცოდვისადმი მიდრეკილებისაგან განთავისუფლებას მოუწოდებს და ეს ცვლილებები უშუალოდ ადამიანში უნდა განხორციელდეს. დასავლეთი როგორც კათოლიკური, ისე პროტესტანტული ქრისტიანობა უპირატესად იმ გზებს დაეძვრა, თუ როგორ გამხდარიყო ღმერთი ადამიანის მიმართ ლოიალური. ქრისტიანული აღმოსავლეთი კი ადამიანს ყოველთვის მოუწოდებდა, ღმერთის მიმართ თვითონ შეეცვალა დამოკიდებულება, რადგან მართლმადიდებლობა მიიჩნევს, რომ უფალი თავისი ქმნილებისადმი ყოველთვის უცვალბებელი და დიდი სიყვარულით არის განწყობილი. რაც შეეხება დასავლეთს, ის მუდმივად საგონებელში იყო და როგორც ჩანს, დღესაც ვერ გაურკვევია, ცოდვის თანმდევი სასჯელისგან გასათავისუფლებლად ღმერთის კეთილგანწყობას საქმით უნდა მიაღწიოს თუ რწმენით. ამ საკითხს აღმოსავლეთი ღვთისმეტყველება თითქმის ყოველთვის გვერდს უვლიდა, რადგან ცოდვის შედეგებისაგან გამოსხნის საშუალებად ის თვითონ ადამიანის შინაგან – როგორც სულიერ, ისე ზნეობრივ სრულყოფას, ღმერთთან მიახლოებას, ანუ ღმერთს მიმსგავსებას მიიჩნევდა. კათოლიკობა გადარჩენის საშუალებად ადამიანის ძალისხმევით თვითგამოსყიდვას თვლიდა, ხოლო რეფორმაციამ ეს საქმე მთლიანად უფლის ნებას მიანდო, მაგრამ გამოსხნის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე დარჩა. ღმერთიან ადამიანის მიერ განხორციელებული კეთილი საქმეების გამო თავის სამართალს აკმაყოფილებს და სასჯელისაგან ათავისუფლებს ადამიანს, არ რწმენის გამო ყველა ცოდვას პატიობს, მაგრამ არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში ადამიანის სული არანაირ დადებით ცვლილებას არ განიცდის, ადამიანი თვითონ არ იცვლება, ის არ ცვლის თავის დამოკიდებულებას ღმერთის მიმართ, ღმერთის ხატება ვერ აღწევს ღმერთის მსგავსებას და შესაბამისად მარადიულ სუფევას ღმერთთან იგი ვერ ეზიარება.

როგორც უკვე ითქვა, მართლმადიდებლური აღმსარებლობა ადამიანის ხსნის საფუძვლად

არც კეთილი საქმეების კეთებას და არც რწმენის ფაქტს არ მიიჩნევს. მართლმადიდებლობისათვის მთავარია ადამიანმა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება ღვთის მიმართ, ანუ თავად პიროვნება როგორც სულიერად, ისე ზნეობრივად გარდაიქმნას. ასეთი გარდაქმნისათვის რწმენაცა და საქმეც ერთნაირად აუცილებელია, ანუ საჭიროა ადამიანს გააჩნდეს ერთიანი ქმედითი რწმენა. როგორც „ეპისტოლე აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა პატრიარქებისა მართლმადიდებლური რწმენის შესახებ“ გვაუწყებს: „გვწამს, რომ ადამიანს გაამართლებს არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ სიყვარულით წარმართებული სარწმუნოება, ე.ი. რწმენისა და საქმის ერთობლიობა... ჩვენ გვწამს, რომ არა ოდენ რწმენის აჩრდილი, არამედ თავად რწმენა, გაცხადებული საქმით, გაგვიმართლებს ქრისტეს მიერ“ (კონსტანტინოპოლი ქრისტეს აქეთ 1723 წელი, თვე სექტემბერი).

პატრიარქი სერგი, მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით, ცოდვისაგან ადამიანის გამოსხნის საქმეში რწმენისა და საქმის თანამყოფობას შემდეგნაირად ახასიათებდა: „იმას კი არ უნდა ვკითხულობდეთ, რის გამო მართლდება ადამიანი, არამედ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, საკუთარი სულის გადასარჩენად როგორია ადამიანის ღმერთთან თანადგომა“. სამოთხეში ადამიანმა რწმენითაც შესცოდა და საქმითაც, იმისათვის, რათა ადამიანი ღმერთს დაუბრუნდეს, რწმენაც და საქმეც ერთნაირად უნდა მოქმედებდეს, რადგან რწმენაც და საქმეც ადამიანში ცოდვის განადგურებისა და მისი ბუნების მაცხოვრებელი ცვლილებისათვის ერთნაირად აუცილებელი ელემენტებია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უმაგალითოა ის ზეგავლენა, რაც მოახდინა რეფორმაციამ დასავლეთის მოსახლეობის თვითშეგნებასა და მთლიანად დასავლური ცივილიზაციის ფორმირებაზე. შუა საუკუნეების ეპოქის დასასრული და ახალი დროის დადგომა რეფორმაციას უკავშირდება. რეფორმაციამ შეცვალა საზოგადოების რელიგიური მოტივაცია, რის შედეგადაც შეიცვალა თავად ისტორიული განვითარების ძირითადი მიმართულება და საზოგადოებრივ-რელიგიური თვითშეგნება.

შუა საუკუნეების დასავლური რელიგიური იდეოლოგია ცოდვის ტყვეობიდან გამოხსნის შესაძლებლობისადმი დაბაბულ და უიმედო განწყობას აღვიკვებდა, ადამიანი მუდმივად ჯოჯოხეთური საშინელებების მოლოდინში იყო. იმისათვის, რომ შედარებითი სიმშვიდე მოეპოვებინა, მაგრამ მისი სიკეთების საცავი, როგორც წესი, ახალი ცოდვების გამო ცარიელდებოდა. რეფორმაციამ ადამიანი ამ მძიმე მდგომარეობიდან ერთი ხელის მოსმით გაათავისუფლა, ერთიანმა გამამართლებელმა იდეოლოგიამ კეთილი საქმეების დევნა გააუფასურა, მათ დანიშნულებად მხოლოდ სინდისის

წინაშე ვალის მოხდა დარჩა. მეორე მხრივ, რეფორმაციამ ეს გამოთავისუფლებული ენერგია ცხოვრების პრაქტიკული მოწყობისაკენ მიმართა და პროტესტანტული ქვეყნების მრეწველობის განვითარებას მოახმარა. მიღწეულმა წარმატებებმა საბოლოოდ გაიმარჯვა კათოლიკურ წინააღმდეგობებზე და საფუძველი დასავლეთის ახალ, ინდუსტრიულ-ტექნოკრატიულ ცივილიზაციას ჩაუყარა, ეს კი, სავალალოდ, დასავლეთის ქრისტიანობის რელიგიური შინაარსის განიავების საფუძველი აღმოჩნდა.

## რეფორმაციის სწავლება წმინდა წერილისა და წმინდა გადმოცემის შესახებ.

### სიმბოლური წიგნების ინსტიტუტი

რეფორმაცია დაიწყო, როგორც მცდელობა, საეკლესიო ცხოვრება განწმენდილიყო და ეკლესია პირველქრისტიანულ წესებს დაბრუნებოდა. რეფორმაციის მამები მიიჩნევდნენ, რომ ქრისტიანული მოძრაობის პირველი წლებიდან საეკლესიო ცხოვრება მუდმივი დაცემის პროცესში იყო და ამ უარყოფით მოვლენაში უმთავრესი როლი ადამიანურმა გადმოცემამ, ანუ წმინდა გადმოცემამ შეასრულა, რადგან, მათი აზრით, ევანგელური ჭეშმარიტება პრაქტიკულად ამ მასალით გადაიფარა. ამიტომ, ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო ეკლესია სასწრაფოდ პირველწყაროს, ანუ წმინდა წერილს დაბრუნებოდა და ყველა ის დანალექი ჩამოეშორებინა, რაც წმინდა გადმოცემის სახით შეიძინა. სარწმუნოებრივი მოძღვრების ერთადერთ წყაროდ პროტესტანტებმა სოლა შტრიპტურა – „მხოლოდ წერილი“ მიიჩნიეს. მათი აზრით, გამოხსნა მხოლოდ რწმენით – სოლა ფიდეთი უნდა მოხდეს, ხოლო რწმენა ადამიანში მხოლოდ წმინდა წერილით – სოლა შტრიპტურა უნდა დამკვიდრდეს. ლუთერანული ეკლესიის ერთ-ერთი სიმბოლური წიგნი განსაზღვრავს: „ჩვენ გვწამს და ვაღიარებთ, რომ ერთადერთი წესი და გზამკვლევი ძაფი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი სწავლება და ნებისმიერი მასწავლებელი შეიძლება განისაჯოს და შეფასდეს, არის ძველი

და ახალი აღთქმის წინასწარმეტყველური და სამოციქულო წიგნები“. ასეთივე ზუსტი და ერთმნიშვნელოვანია წმინდა გადმოცემისადმი დამოკიდებულება: „წმინდა სახარებასა და მის სწავლებას ქრისტეს რწმენის შესახებ ყოველგვარი ადამიანური დადგენილება და გადმოცემა ეწინააღმდეგება... არ შეიძლება რწმენის დოგმატების საფუძველი წმინდა მამების საქმეები და მათი სიტყვები გახდეს“.

ისევე, როგორც სოლა ფიდე – პირადი რწმენით გადარჩენა, სოლა შტრიპტურა-ც საერთო რეფორმაციის პრინციპებიდან გამომდინარეობს და პიროვნებას უშუალოდ ღმერთთან ურთიერთობისაკენ მოუწოდებს. რეფორმატორები აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ადამიანის გამოხსნის ძალა მხოლოდ ღმერთს შესწევს და ამიტომ პიროვნებამ ყოველგვარი მიწიერი და ზეციური შუამავლის გარეშე, უშუალოდ ღმერთს უნდა მიმართოს. რეფორმაციამდე გამოხსნის საქმეში დასავლელი ქრისტიანისათვის ღმერთთან შუამდგომლის ფუნქციას კათოლიკური ეკლესია ასრულებდა, რადგან საიდუმლოებათა აღსრულება მის წიაღში ხდებოდა და გამომხსნელი ძალა მორწმუნეზე უშუალოდ საიდუმლოს აღსრულების საშუალებით გადმოდიოდა. ასევე ეკლესია ქრისტიანის ღმერთის რწმენაში დამკვიდრების საქმეშიც შუამდგომელი იყო, რადგან იგი მორ-

წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალი წმინდა წერილში მოცემული გამოცხადებისა და ღმერთის შეცნობის პროცესის გასაიოლებლად წმინდა გადმოცემას სთავაზობდა. რეფორმატორები კი მიიჩნეოდნენ, რომ ყველა, ვინც წმინდა წერილს გადაშლიდა, ღმერთს უშუალოდ მისივე სიტყვიდან შეისწავლიდა. რეფორმაციის მამების დაუოკებელმა სურვილმა ღმერთთან ურთიერთობაში ნებისმიერი მეოხი ჩამოეცილებინათ და უფალს მხოლოდ წმინდა წერილის საშუალებით დაახლოებოდნენ, სარწმუნოებრივი მოძღვრების შესწავლის პროცესიდან ეკლესიური გამოცდილება საერთოდ განდევნა.

წმინდა წერილი პროტესტანტებისათვის არა მხოლოდ ღმერთის შესწავლის საშუალებად, არამედ მორწმუნეთათვის სულიწმინდის განმანათლებელ ძალად და წმინდა წერილის შესწავლის დროს პიროვნებაზე მოქმედ ღვთიკურთხეულ ზეგავლენადაც გადაიქცა. ლუთერი წერდა: „აქ, ღმერთის სიტყვაში, ღმერთის სახლია, აქ ცა გახსნილია...“ როგორც ვხედავთ, წმინდა წერილის გამოყენების პროცესი, გარკვეული თვალსაზრისით, საკრალურ და რიტუალურ მნიშვნელობას იძენს. რეფორმატორების აზრით, რადგან სულიწმინდა წმინდა წერილის ავტორთა შთაგონების ძალა და წყაროა, ის ასევე გაუწევს „მეგზურობას ჭეშმარიტების ყველა მადიებელს, ყველა იმას, ვისაც ღვთაებრივი კანონების შესწავლა ბიბლიის სიტყვით გადაუწყვეტია“.

დოგმატური შინაარსის გარდა რეფორმატორებისათვის წმინდა წერილს ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც უკვე აღინიშნა, პროტესტანტიზმის რეაქცია კათოლიკურმა ცდომილებებმა გამოიწვია და მისი განვითარება ამ გადახვევების აღმოფხვრის მიზნით დაიწყო. და მართლაც ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომის კათოლიკური ეკლესია სასულიერო წრეების მიღმა წმინდა წერილის გამოყენებას ზღუდავდა და პირიქით, დიდი მონღომებით ავრცელებდა და ხშირად საკუთარი თვითნებობის გასამართლებლად იყენებდა წმინდა გადმოცემას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ რეფორმაციის ბელადებმა უპირველეს მიზნად საკუთარი მოწინააღმდეგეების ბრძოლის მთა-

ვარი ინსტრუმენტის წმინდა გადმოცემის განეიტრალება განიზრახეს, ამისთვის კი საუკეთესო იარაღი წმინდა წერილი იყო.

ამიტომ რწმენის შესახებ ცოდნის მოპოვების ერთადერთი წყაროდ პროტესტანტებისათვის სწორედ წმინდა წერილი გადაიქცა. ასევე რომის ეკლესიის მმართველობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება და ავტორიტეტი წმინდა წერილი გახდა, რადგან მხოლოდ ღვთის სიტყვა შეიძლება ყოფილიყო პაპის იერარქიული ავტორიტეტის სერიოზული საპირწონე.

მას შემდეგ, რაც რეფორმაციამ წმინდა წერილი ხელმისაწვდომი გახადა, რეფორმატორებს იმედი გაუჩნდათ, რომ მის ფარგლებს არავინ გასცდებოდა. მაგრამ ძალიან მალე გაირკვა, რომ ბიბლიური ჭეშმარიტებების მიმართ შინაგანი ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ბიბლიური ტექსტების განმარტების კრიტერიუმების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა იმ რელიგიური თვითნებობის შეჩერება, რომელსაც რეფორმაციის მომხრეები იჩენდნენ. რამდენად სერიოზული იყო ეს საშიშროება, ამის შესახებ ლუთერის მიერ ცვინგლის მისამართით მიწერილი წერილი მეტყველებს: „თუ სამყარო კიდევ დიდხანს იარსებებს, მე ვაცხადებ, რომ წმინდა წერილის ისეთი სხვადასხვაგვარი განმარტების გამო, როგორც ჩვენშია, დაგვრჩება ერთადერთი გამოსავალი, კრებებზე შესაბამისი გადაწყვეტილებები მივიღოთ და ერთიანი რწმენა საეკლესიო ძალაუფლებით დავიცვათ“. ამრიგად, თუ კათოლიკური ტრადიცია ასე თუ ისე თავისი ფესვებით მაინც წარსულში მიდიოდა და ადამიანებს ღმერთთან ურთიერთობის გამოცდილებასთან აკავშირებდა, რეფორმაციის შემდეგ ყოველი მისი მიმდევარი იძულებული შეიქმნა ყოველგვარ ისტორიულად მართებულ გამოცდილებაზე უარი ეთქვა, ღმერთთან ურთიერთობაში საკუთარ გამოცდილებას დაყრდნობოდა და ამ პროცესში ლეგიტიმურობაზე უარი ეთქვა.

ისევე როგორც დიდი განხეთქილების შემდეგ კათოლიკობას, უმართავი პროცესების შემაკავებელი მექანიზმებისა და ავტორიტეტის მოძიება რეფორმაციასაც დასჭირდა. სარწმუნოებრივი მოძღვრება სრული თვითნებო-

ბისაგან რამენაირად დაცული რომ ყოფილიყო, რეფორმატორებმა პროტესტანტიზმის ეგრეთ წოდებული სიმბოლური წიგნები შეადგინეს. ამ წიგნების წიაღში მათ საკუთარი გადმოცემა ჩადეს და ეს გადაიქცა პროტესტანტული სარწმუნოებრივი სწავლების მეორე ძირითად წყაროდ. შემდეგ ყოველ პროტესტანტულ მიმართულებას თავისი სიმბოლური წიგნები გაუჩინდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ რეფორმაციის საწყის პრინციპს – სოლა შკრიპტურა-ს თვით ამ წიგნების არსებობა თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა.

ამ წინააღმდეგობას რეფორმაციის ადრეული სიმბოლური წიგნებიც აღიარებდნენ. მაგალი-

თად, „თანხმობის ფორმულაში“ ვკითხულობთ, რომ „კრიტიკრიუმად, ნორმად და რწმენის წესად მხოლოდ წმინდა წერილი უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო სიმბოლეს რწმენის საქმეში არ შეიძლება ავტორიტეტული მნიშვნელობა ჰქონდეთ, ისინი მხოლოდ ჩვენი რწმენის მტკიცებულებებია“. მეორე მხრივ, იგივე „თანხმობის ფორმულა“ ადგენს, რომ „ყველა სხვა წიგნი სიმბოლოებით უნდა მოწმდებოდეს, სიმბოლოების საშუალებით უნდა გაირკვეს, რამდენად სწორად და წმინდა წერილის“ შესაბამისად არის ჩამოყალიბებული ქრისტიანული დოგმატება“ და სწორედ სიმბოლოებშია ის სწავლება, „რომელიც იყო და მარადჟამს უნდა იყოს ეკლესიაში“.





## მსოფლიოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ისტორია

### თანამედროვეობის დიდი პაპები

#### უწმინდესი და უნეტარესი დავით V



უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი დავით V (ერისკაცობაში ხარიტონ ჯიბოს ძე დევედარიანი) დაიბადა 1903 წლის 6 აპრილს (ძვ.სტ. 24 მარტს) შორაპნის მაზრის სოფელ მირონწმინდაში.

1917 წელს დაამთავრა სოფელ სარგვეშის სასწავლებელი და მღვიმევის დედათა მონასტერში მორჩილებას შეუდგა.

1918 წელს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ანტონის ლოცვა-კურთხევით სოფელ მირონწმინდის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მედავითნედ დაადგინეს.

1927 წლის 26 თებერვალს საჩხერის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში აკურთხეს დიაკვნად, ხოლო 27 თებერვალს კი მღვდლად და სოფელ სარგვეშის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად განაწესეს.

1927 წელს ეპისკოპოს ვარლამის ლოცვა-კურთხევით ხარაგაულის რაიონის მთავარხუცესად აირჩიეს.

ბოლშევიკური ტერორის მძვინვარების წლებში საქართველოს მომავალი პატრიარქი სასწაულებრივად გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას.

1930 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ქრისტეფორე III-მ იგი თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად დაადგინა.

1932-1945 წლებში მსახურობდა ქვაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში.

1945-1947 წლებში კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაშია, ხოლო 1947 წლის 20 ნოემბრიდან კვლავ ქვაშუეთის ტაძრის წინამძღვარი ბრძანდება.

1956 წლის 25 აგვისტოს უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით მომავალი პატრიარქი ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა. მას მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი. სამი დღის შემდეგ, 28 აგვისტოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე უწმინდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ არქიმანდრიტი დავითი ეპისკოპოსად აკურთხა და მარგვეთისა და ურბნისის ეპარქიის მღვდელმთავრად განაწესა.

1959 წელს უწმინდესმა მელქისედეკმა მეუფე დავითს ქორეპისკოპოსობა დააკისრა და მანგლისის ეპარქიაც ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ ერთხანს ურბნისის ეპარქიაში მომავალ პატრიარქთან ერთად მოღვაწეობდა ყველასთვის საყვარელი და ძვირფასი გაბრიელ ბერი.

1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III. პატრიარქის წერილობითი ანდერძით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოსაყდრეობა მეუფე დავითს დაეკისრა, მაგრამ მეუფე დავითმა ერისა და ბერისათვის სამაგალითო თავმდაბლობით განაცხადა: პატრიარქობა მიტროპოლიტ ეფრემს ეკუთვნის, იგი ასაკითაც და სიბრძნითაც ჩემზე დიდიაო.





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (1960-1972 წ.წ.)



თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი.

საქართველოს ეკლესიის XI კრება.

ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი), მარჯვნივ საქართველოს მომავალი პატრიარქი ილია II, მარცხნივ რუსეთის მომავალი პატრიარქი ალექსი II. 1972 წ.

მართლაც 1960 წლის 11 იანვარს ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი არჩეულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო 20 თებერვალს საქართველოს ეკლესიის მეთექვრმე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად სახელწოდებით ეფრემ II.

თორმეტი წელი იპატრიარქა უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ და XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიას ღირსეული კვალი დააჩნია.

1972 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა ეფრემ II. 1972 წლის 8 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა 69 წლის ღვაწლმოსილი მღვდელმთავარი ურბნელი მიტროპოლიტი დავითი კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, 1 ივნისს კი საქართველოს XI საეკლესიო კრებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. პატრიარქს სახელად დავით V ეწოდა.

პატრიარქის აღსაყდრება მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, კვირა დღეს, 2 ივნისს შედგა.

„ქართველ ადამიანს სურს დაინახოს თქვენში მაგალითი კეთილი მოძღვრისა, მოსიყვარულე და თავდადებული მამა, ლამპარი სარწმუნოებისა და ყოველივე სათნოებისა. ჩვენ გვწამს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან თქვენ გაქვთ ორმოცდაათწლიანი სულიერი ცხოვრების დიდი გამოცდილება. დღეს კაცთაგან მიუწვდომელმა განგებამან ღვთისმამან ჩაგაბარათ თქვენ სადავე ჩვენი ეკლესიისა. თქვენს წინაშე დღეიდან აღიმართა ქართული ეკლესიური და ეროვნული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა ჩვენი ღვთივდაცული ერის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ამაღლება. ჩვენი აზრით, მტკიცე რწმენა და მაღალი ზნეობა არის საწინდარი ადამიანის ბედნიერებისა. ამას გარდა, არ უნდა შეწყდეს ხმა ჩვენი ეკლესიისა საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ჩვენი ეკლესია გამოდის, როგორც უძველესი დამოუკიდებელი ერთეული. ჩვენმა ეკლესიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც ენატრებათ ქართული ენა, ქართული ლოცვა, მშობლიური მიწა. ისინიც ხომ საქართველოს პატრიარქის სულიერი შვილები არიან...“

დავით V-ის აღსაყდრებისას ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას სიტყვიდან



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი და მიტროპოლიტი ილია მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში. 1972 წ.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V და მიტროპოლიტი ილია მასპინძლობენ ბულგარეთის პატრიარქს, უწმიდეს მაქსიმეს. 1976 წ.





თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი. საქართველოს ეკლესიის XI კრება. 1972 წ.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V და მომავალი პატრიარქი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. 1976 წ.

5 წლის მანძილზე წინ უძღოდა უწმინდესი და უნეტარესი დავით V საქართველოს ეკლესიას. 1977 წლის 9 ნოემბერს დავით V გარდაიცვალა.

პატრიარქი 15 ნოემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში დაკრძალეს.



„უსაზღვრო სევდა მოეფინა დღეს ჩვენს ეკლესიას, რადგან ფიზიკურად განგვეშორა რწმენით, სიყვარულითა და სასოებით აღვსილი მზრუნველი მამა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და ენერგია შესწირა ქართველ ერს, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილ უძველეს ივერიის ეკლესიას. ახლა, მწუხარების ჟამს, უპირველეს ყოვლისა გვანსენდება მისი სულიერი სწავლებანი, გვანსენდება ის ღვთისსათნო საქმენი, რომელიც მან ადასრულა.“

კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ პატრიარქის დაკრძალვის დღეს, 15 ნოემბერს წირვა აღავლინა. წირვის დასასრულს მან ბრძანა:

„დღეს ჩვენ ლოცვითა და ცრემლით ვაცილებთ ჩვენს მამამთავარს, რომლის უკვდავი სული მოევიწიან იმ წიაღს, სადაც განისვენებენ ჩვენი დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი და ეფრემი.“

მიმდინარე წელიწადი მისთვის იყო საიუბილეო – მას შეუსრულდა სამღვდლო ხარისხში აყვანიდან 50 წელი. ამ ხნის განმავლობაში მას განუცდია არაერთი სასიხარულო დღე, ღვთისაგან მონიჭებული, მაგრამ მასთან ერთად მას მრავალჯერ შეუსვამს სიმწრისა და მწუხარების ფიალა.

ამ დიდ ადამიანს, რწმენისა და სიბრძნის ტიტანს დღეს ემშვიდობება ქართველი ერი, ჩვენი დაობლებული ეკლესია.“





## დედა ეფემია (ხინიპაძე)

უწმინდესი დავითი მამასავით ზრუნავდა ჩემზეც და მთელ ჩვენს ოჯახზეც. მეუფე ხაშურში ჩამოდიოდა ხოლმე. ტადართან ახლოს პატარა სახლი ჰქონდა და თბილისიდან ჩამობრძანებული რამდენიმე დღით იქ ისვენებდა. მერე ისევ უკან ბრუნდებოდა.

ყველასათვის კარგი პიროვნება გახლდათ. მოწყალების სათხოვნელად მისულს ხელცარიელს არავის ისტუმრებდა. ძალიან ღვთისნიერი კაცი იყო. ჩემი დედამთილი იტყოდა ხოლმე: მშობლებს რომ არ უნდოდათ, სასულიერო პირი გამხდარიყო, ბორჯომში მიჰყავდათ და იქ ცხოვრობდნენო. ლოცვასაც კი უშლიდნენ და ამიტომ დიდი კარადის უკან ლოცულობდა მალულად.

კარგად მახსოვს უწმინდესის დედა, კიკნაველიძის ქალი. ჩემს დედამთილს ემოყვრებოდა. მეუფეს ხაშურში ჩამოჰყავდა ხოლმე. მამის შესახებ კი არაფერი ვიცი. მეუფე დავითის ძმა – ალექსანდრე ჩვენს ტადარში საქმის მწარმოებლად და მკითხველად მსახურობდა. ისიც ძალიან მცოდნე და ყველაფერში გარკვეული ადამიანი ბრძანდებოდა. ერთი და ჰყავდათ – ანიჩკა. დედმამიშვილები ყველანი ეკლესიურები და ღვთისნიერები იყვნენ. ანიჩკა მეუფეს გვერდიდან არ შორდებოდა და ძალიან კარგად უვლიდა.

როცა ხაშურში ჩამობრძანდებოდა, ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ყურადღებას არ ვაკლებდით ამ დიდებულ ადამიანს.

– ყველაზე მეტად რომელი კერძი უყვარდა მეუფეს?

– ძალიან უყვარდა ჩინირთმა და სალათი. ეს იყო მისი სადილი. იმასაც დიაბეტი ჰქონდა და ყველაფერს ვერ მიირთმევდა. როცა ხაშურში ჩამოდიოდა, ნემსს მე ვუკეთებდი დამ ის ჯანმრთელობაზეც ვზრუნავდი.

– როგორი იყო ურთიერთობაში?

– როცა სტუმრად მივდიოდით, არ მოგვეშვებოდა და ტრაპეზს გვიშლიდა ხოლმე. საპატრიარქოშიც რომ ჩამოვდიოდი, აქაც ასე იყო – შენ ახლა, შვილო, მშვიერი იქნებიო, მეტყოდა და ტრაპეზზე მიმიპატიჟებდა. ისედაც ძალიან მორიდებული ვიყავი და წარმოიდგინეთ, ამხელა კაცთან რა ვიქნებოდი.

თავადაც ძალიან მოკრძალებული იყო

მანდილოსნების მიმართ. როცა მეუღლე გარდაეცვალა, დაკრძალვაზე არაფრით არ წავიდა. შორიდან კი, რაც შეეძლო, ყველაფერი გაუკეთა.

როცა რამე გაუხარდებოდა, ისე გულიანად ჩაიხითხითებდა, მის დანახვას არაფერი სჯობდა. თუ გული მოუვიდოდა, იცოცხლე, ვერ მიეკარებოდი! თუმცა პირადად მე არასოდეს გამეწყრომია.

ქადაგებაში მსახურებაზე მისულ ხალხს წესიერებისა და ღვთის სიყვარულისკენ მოუწოდებდა. ჩაცმულობაც ძალიან უბრალო ჰქონდა. იტყოდა ხოლმე, ბერის გაპრანჭვა ვის გაუგონიაო. ერთადერთი მიტრა ებადა და ისიც მე ჩავიტანე მისი დასაფლავების დღეს.

საკუთარი სახლიც სადაც ჰქონდა მოწყობილი. ერთი პატარა კარადა ედგა, ლუმელი და უბრალო საწოლი. სამლოცველო კუთხეც იქვე ჰქონდა.

– დედაო, მეუფე დავითის პატრიარქად კურთხევის პერიოდს გეხსომებათ...

– პატრიარქ ეფრემის დროსაც და უწმინდესი დავითის მოღვაწეობისასაც გვიკრძალავდნენ ეკლესიაში შესვლას. რამდენიმე წელი ძალიან შეზღუდულები ვიყავით. მეუფე იობის მობრძანების შემდეგ უფრო გაძლიერდა ჩვენი ეპარქია.

პატრიარქ ეფრემის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ, ღვთის განგებით, პატრიარქად დავით ღვედარიანი გამოარჩიეს. მისი კურთხევა სვეტიცხოველში შედგა. შვილი პატარა მყავდა და კურთხევას, სამწუნაროდ, ვერ დავესწარი.

უწმინდესი დავითი არც პატრიარქობისას გვტოვებდა უყურადღებოდ. მეც ხშირად ჩავდიოდი მასთან საპატრიარქოში. ამ დიდ პატივს – ერის სულიერ წინამძღვრობას მისი ხასიათი ოდნავადაც არ შეუცვლია.

– მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები თუ გახსოვთ?

– გარდაცვალების წინ, დაახლოებით ერთი კვირით ადრე, თავად ვინახულე. როგორ ბრძანდები, უწმინდესო-მეთქი, მოვიკითხე. ასე კარგად ჯერ არ მინახინხართ-მეთქი, ვუთხარი.

გულიანად გადაიხითხითა: ჰო, შვილო, არა მიშავსო...

ბოლოს დიაბეტმა ძალიან დაასწეულა. ფეხები დაუსივდა, განგრენა დაეწყო...

მისი გარდაცვალების ამბავი პირველად ძმას გააგებინეს, ხაშურში იყო ჩვენთან ჩამოსული. მოულოდნელად ცუდად გამხდარა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაცვლილა.

დასაფლავებაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი... ერეწიდან იყო ჩამოსული პატრიარქი.

– დედაო, თუ დაგრჩათ უწმინდესი დავითის დანატოვარი რაიმე ნივთი?

– წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატები შემომრჩა. კიდევ – ვერცხლის კოვზები. ერთხელ საკაბეც კი გამომიგზავნა. თან ფული გამოაყოლა და ასეთი წერილი მომწერა: „ქალბატონო გუგული, ამ ფულს ლელას ვატან და ჩემს სახსოვრად, რაც უნდა უნდოდეს, ის უყიდეო“. ჩემი გოგო ძალიან უყვარდა და ზრუნავდა მასზე.

– დედაო, რამდენიმე პატრიარქს მოესწარით. მისი უწმინდესობის, ილია II-ის პატრიარქად კურთხევაც გემახსოვრებათ...

– ამ დღის აღსანიშნავად საგანგებოდ ვიყავით სვეტიცხოველში მიწვეულნი. ჩემს დღეში არ დამავიწყდება, ისეთი კარგი კურთხევა იყო, თითქმის ყველა მხრიდან იყვნენ ჩამოსულები საეკლესიო პირები, მგალობლები.

ვმადლობ უფალს, რომ ასეთი კარგი პატრიარქების დროს მომიწია ცხოვრება.

„პარიზში“

ესაუბრა თეა ცაგორიშვილი

## არქიმანდრიტი ბიორბი ბასილაძე

ცხონებულმა, მარადის ხსენებულმა კათოლიკოს პატრიარქმა დავით V დევდარიანმა მითხრა:

შვილო, გიორგი, არ მემეტები მოწამეობრივი სიკვდილისთვის, მაგრამ ჩვენ საქმეში საბრალო კაცი ვერ ივარგებს. არ შეშინდე, უნდა იოძო და გაუძლო.

პატრიარქი დიდი სულის მატარებელი იყო, ამავედროულად დიდი ხედვა ჰქონდა – ჩემი მომავალი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი წინასწარ მითხრა, მიმანიშნა პირად მტრებზეც... ბევრი რამ წინასწარ მითხრა და მასწავლა... ძალიან გამომაღვა მისი რჩევები.

## არქიმანდრიტი სომბრატი

უწმინდესი დავითი დიდი სულიერების მქონე პიროვნება ბრძანდებოდა, ჯერ კიდევ ეფრემ II-ის დროს იგი უწმინდეს ეფრემს სთხოვდა, მასთან გავემწესებინე ურბნისის ეპარქიაში.

არქიმანდრიტად დავით V-მ მაკურთხა. ქვაშეთშიც მანვე გამამწესა. ერთხელ მივედი მასთან, პატრიარქმა მითხრა, მამაო, რომ შემოხვედი ანგელოზების დასი შემოგყვავო. როცა გარდავიცვლები, ჩემთვის ილოცე, პანაშვიდი გადამიხადეო.

ერთხელ მითხრა, შენისთანა ათი მღვდელი რომ მყავდეს, მთელს ეკლესიას ფეხზე დავაყენებდიო.

უწმინდესი დავითი რომ გარდაიცვალა, მე ძლიერ ავად ვიყავი. იმ ღამეს, როდესაც იგი სულს ებრძოდა, საშინლად ვგრძნობდი თავს, დილით გავიგე, რომ პატრიარქი გარდაცვილიყო. ეს თითქოს სულიერი კავშირი იყო უწმინდეს პატრიარქთან.

## არქიმანდრიტი რაფაელი

უწმინდეს დავითთან ურთიერთობა არ მქონია. მაშინ სოხუმში ვმსახურობდი, მაგრამ ვიცი, რომ ძლიერი პიროვნება იყო.

პატრიარქობამდე ურბნელი მიტროპოლიტი გახლდათ. ერთხელ ეპარქიიდან თბილისში ბრუნდებოდა, მძლოლი ემსახურებოდა. გზაზე მოხდა უსიამოვნო ექსცესი. მეუფის მანქანას გზაზე ხის მორი დაუდეს, რათა მანქანა გაეჩერებინათ. მის მძლოლს ჩუმად სავარძლის ქვეშ რევოლვერი ჰქონია შენახული. გადმოუღია იარაღი და დაცვის მიზნით უსვრია.

უწმინდესი გაჯავრებულა. თბილისში რომ დაბრუნებულან მძლოლისთვის უთქვამს: ეს რა ჩაიდინე, როგორ გაბედე და მანქანაში რევოლვერი გქონდა. თუ ასეთ რამეს კიდევ გააკეთებ მე შენთან ერთად აღარსად წამოვალ, დაიხსომე, მე მიცავს ღმერთი და არა ტყვეაო.

მანია ჩინრაძე

## ბაბუა თოვლსა და ყინვაში მცხეთაში ფეხშიშველა წასუდა საღოცავად

ახალციხის ქუჩაზე არის სახლი, რომელსაც ხალხის თვალში თითქოს არაფერი გამოარჩევს. დღეს ცოტამ თუ იცის, რომ ეს სახლი ათეული წლების წინ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის საკუთრება იყო.

დღეს ამ მყუდრო და მაღლით აღასავსე ორსართულიან სახლში თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად ცხოვრობს უწმინდესი დავით V-ის შვილიშვილი ცნობილი მომღერალი, კონსერვატორიის პედაგოგი მანია ჩინრაძე.

ბაბუა ჩემს ცნობიერებაში 3-4 წლიდან შემოვიდა. მაშინ იგი ქვაშვეთში ცხოვრობდა. ურბნელი მიტროპოლიტი იყო. თითქმის ორ დღეში ერთხელ მივდიოდით მასთან. ავიკლებდი ხოლმე ეზოს, მიხაროდა ბაბუს ნახვა. ვეხუტებოდი გულში და წვერზე ვკოცნიდი. ტკბილ ზმანებასავით ჩამრჩა ვარდის ზეთის სურნელება, რომელიც ბაბუსთან ასოცირდებოდა. ბაბუა ძალიან მოწესრიგებული და სუფთა იყო. დიდი სიყვარული იცოდა.

ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. ედგა მაგიდა, წიგნების კარადა, უბრალო ხის ტახტი და რაც მთავარია ოთახში ჰქონდა ხატები. ერთთავად მაგიდასთან იჯდა. დედას თითქმის ყოველდღე მიჰქონდა საჭმელი, ძირითადად კარტოფილის ღვეზელი. რომ ჩავეხუტებოდი მეტყოდა ხოლმე, მაგრად ჩამეხუტე, ბაბუ, ხმაურით, მთელმა თბილისმა გაიგონოსო.

შემდეგ, როდესაც პატრიარქად გამოარჩიეს და რეზიდენციაში მივედი, ტირილი დავიწყე, აქ რა გინდა, ისევ იქ, ქვაშვეთში წავიდეთ-მეთქი.

— არა, ბაბუ, ახალი სახლი მომცეს, ამიერიდან აქ ვიქნებიო.

რეზიდენციაში ჰქონდა პიანინო, მიმიყვანდა და მეტყოდა, დაუკარიო. ძალიან უბრალოდ ცხოვრობდა. უწმინდესი ეფრემის დროს შექმნილი ავეჯი ჰქონდა, ახალი არაფერი მიუმატებია. ფულს ძირითადად მოწყალებას ახმარდა.

მასთან უამრავი ხალხი დადიოდა. ზოგი რას თხოვდა, ზოგი რას. უმეტესად ფულს სთხოვდნენ, გვასესხეო. ისიც მისცემდა ფულს და ეტყოდა ხოლმე, აღარ მომიტანო, შენი იყოსო. ეკითხებოდნენ, უწმინდესო, ასე რატომ აკეთებო? ბაბუ გაიღიმებდა და მიუგებდა, მე მირჩევნია ფული დაგკარგო, ვიდრე ადამიანიო.

ძალიან უყვარდა, როდესაც ფეხს ვბანდი. ავად იყო და დახრა უჭირდა. მეტყოდა ხოლმე, მოდი ბაბუ, ფეხი დამბანეო. ფეხთბანისას ასე მეალერსებოდა, შენი ჭირიმოს ბაბუ, რაღა მომკლავს შვილოო.

შევსწრებივარ, ღამით, როდესაც წვებოდა ხოლმე, ჯვარს დასახავდა ბალიშს. დილით კი, ჯერ გათენებული არ იყო, უკვე ფეხზე იყო.

არავის აგრძნობინებდა, რომ პატრიარქი იყო. ოჯახსაც არ აძლევდა რაიმე პრივილეგიებით სარგებლობის უფლებას.

ერთხელ დედამ სთხოვა, ტელეფონის დადგმაში მოგვხმარებოდა. ბაბუ გაჯავრდა და მკაცრად მიუგო, თქვენისთანები მილიონები არიან, სხვებმა რაღა დააშავეს, დადევით რიგში და ისე მიიღეთ ტელეფონიო.

შვილებთან უბრალო დამოკიდებულება ჰქონდა. დედა როდესაც ავად გახდა, 50-იან წლებში, ბაბუა სუსხიან ზამთარში ფეხშიშველა წავიდა მცხეთაში — ღვთისმშობელს მარიკა უნდა შევავედროო. მართლაც უფალმა და დედა ღვთისმშობელმა შეისმინეს მისი ლოცვა და დედამ ხანდაზმულობამდე იცოცხლა.

— როგორი იყო უწმინდესის ურთიერთობა გალინა ანჩაბაძესთან, მის ყოფილ მეუღლესთან?

— გალინა ბებია უსათნოესი და უმორჩილესი ადამიანი იყო. ჩვენ გვქონდა უწმინდესი მელქისედეკ III-ის წერილი ბებიასადმი, სადაც იგი ბებიას ბაბუს ბერად აღკვეცის ნებართვას სთხოვდა. მერე ეს წერილიც და ბევრი სხვაც, დედას გარდაცვალების შემდეგ იმდენად ვიყავი



გამწარებული, გავანადგურე.

ბაბუა გალინა ბებიას შვილების გარეშე არასდროს იღებდა. როდესაც პატრიარქად აღასაყდრეს, მივიყვანეთ. მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. მათი შეხვედრა ყოველთვის ჰგავდა გასული საუკუნის ახლადგაცნობილი ქალ-ვაჟის მოკრძალებულ ურთიერთობას. ბებია ბაბუს თვალებში ვერ უყურებდა. ბაბუაც ყოველთვის თავდახრილი იყო. რომ მივიდოდით ასე იკითხავდა ხოლმე ბებიას, გალინა როგორ არისო? ამ სამ სიტყვაში უდიდესი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა. ბებია რომ გარდაიცვალა ბაბუ უკვე პატრიარქი იყო. ეზოს კარებამდე მოვიდა, დედას დაუძახა და მალევე წავიდა. სახლში არ შემოსულა.

საერთოდ იგი, ბერად აღკვეცის შემდეგ, 1956 წლიდან არასდროს ყოფილა სახლში, თუმცა აქვე, თბილისში, ქვაშეთში ცხოვრობდა. ბებიას გარდაცვალების დღეებში, ბაბუა საპატრიარქოში ვინახულეთ, საოცრად დამძიმებული და მგლოვიარე მეჩვენა.

ბევრი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი. 24 წლის აკურთხეს მღვდლად, 30-იან წლებში გამოიარა დიდი დევნა, ბოლშევიკებს მისი დახვრეტა ჰქონდათ განზრახული.

ბაბუა თბილისში ფეხით ჩამოსულა ხარაგაულიდან, შემდეგ ოჯახიც აქ ჩამოუყვანია.

არ უყვარდა მის წირვას ოჯახის წევრები თუ დაესწრებოდნენ. შეხედეთ რამდენი ტაძარია, წადით და იქ დაესწართო. ვფიქრობ, მას არ სურდა ღვთისმსახურების დროს მიწიერი აზრების გახსენება.

ჩვენი ოჯახი საკმაოდ უბრალოდ ცხოვრობდა. ჩემმა კლასელებმა, დაკრძალვაზე რომ უნდა მოსულიყვნენ მაშინ გაიგეს, რომ ჩემი ბაბუა პატრიარქი იყო.

დაკრძალვისას მანსოვს სიონში ვერ შევდიოდი. მოთქმით ვტიროდი და ვითხოვდი, შემიშვით, ჩემი ბაბუა არის-მეთქი. ზღვა ხალხი იყო. იქვე ახალგაზრდები იდგნენ. ისინიც ტიროდნენ. ასე მომიგეს, პატრიარქი ჩვენი ბაბუაც არისო. მაშინ ვერ მივხვდი მათი ნათქვამის სიღრმეს. ახლა ვხვდები, რომ პატრიარქი მთელმა საქართველომ დაკარგა.

– თუ ურთიერთობთ უწმინდესთან და უნეტარესთან, **ილია II**-სთან?

– მე წლების განმავლობაში იტალიაში ვახლდით. როდესაც დავბრუნდი საქართველოში, მოვინახულე ჩვენი ერის სულიერი მამა, და უპვირფასესი ადამიანი, უწმინდესი პატრიარქი ილია II.

მან ძალიან თბილად მიგვიღო. მასთან ერთად ფოტოც გვაქვს გადაღებული. დედაჩემისგან ვიცი, ბაბუს ძალიან უყვარდა უწმინდესი ილია. ერთხელ უთქვამს, ჩემს შემდეგ პატრიარქი მეუფე ილია იქნებაო, და ეს ასეც მოხდა.





### ქამის-წირვა

წმიდისა იაკობ მოციქულისაჲ,  
ამისა უფლისაჲ,

პირველ მთავარეპისკოპოსისა იერუსალიმისაჲ

მღვდელი რაჟამს წირვად განემზადებოდის, პირველად ესე ლოცვაი წართქუას: ღმერთო, შემოსვლასა ამას ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისასა ღირს მყვენ ჩუენ მონანი შენნი მადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა, რამეთუ ღმერთი მოწყალე ხარ და კაცთმოყუარე და შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე.

**ლოცვაჲ დაგმებისაჲ წმიდისა ბროს-პორისაჲ:** უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან პური ზეცისაჲ მოეც საჭმელად ყოველთა მორწმუნეთა, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მხოლოდშობილი ძე შენი, რომელი გარდამოავლინე ზეცით ცხო-რებად ვჩუენდა, რომლისა მიერ ინებე ხსნად და ღუწაჲ ჩუენი, რომლისა მიერ მაკურთხენ და წმინდა მყვენ ჩუენ; აკურთხე წინადაგებული ესე და შეიწირე შენსა ზეცისა საკურთხეველსა მსხუერპლად სულად სულნელად შენდა სათნოდ, საიდუმლოდ და მოისვენენ, ვითარცა მოწყალე და კაცთმოყუარე ხარ, ყოველნი, რომელთა შემოწირეს შესაწირავი ესე; და შენ მოგუანიტე თხოვად და ნუ დასაშჯელად ჩუენდა იყოფინ, ნუცა განსაკითხველად და სამხილებლად, არამედ საცხორებელად საუკუნოდ.

**ლოცვაჲ დაგმებისაჲ ბ:** უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მოგვიწოდენ ჩუენ ნათელსა მას ჭეშმარიტსა, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, მღხინებელ გვექმენ ცოდვათა ჩუენთა და მოგვიტევენ ბრალნი ჩუენნი, და ღირსმყვენ ჩუენ წმიდათა შენთა საიდუმლოთა, რამეთუ სუფევ მამად და ძედ და სული წმიდაჲ, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

**ლოცვაჲ მისამდე:** უფალო ღმერთო ცხოველსმყოფელო და ყოვლისა კეთილისა განმყოფელო, რომელმან მოეც კაცთა სასოჲ საუკუნოდსა ცხორებისაჲ უფალი ჩუენი და ღმერთი იესუ ქრისტედ ღირს მყვენ ჩუენ სიწმიდესა შენსა და ესე შენთა საღმრთოდ მსახურებაჲ აღსრულებად განმზადებულთა მაგათ კეთილთაჲ რადთა დავიცნეთ ძალითა შენითა, ყოველსა ჟამსა, შენდა დიდებასა შევსწირ-რვიდეთ,

მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

რაჟამს მღვდელი ჟამის-წირვად შეიმოსებოდის, ესე ლოცვაჲ წართქუას:

რომელმან შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი და გამოუთქმელითა სიმდაბლითა ქუეყანასა ზედა გამოშნდი და კაცთა შორის იქცეოდი და მღვდელმოდგარ იქმენ ჩუენდა უკუნიისამდე წესსა მას ზედა მელქიზედეკისასა, რომელმან შეამკვე ჭეშმარიტებითა ეკლესიაჲ შენი, უფალო ყოვლისამპყრობელო, და მოგვანიტე ჩუენ ზეცისა და უხრწნელებისა სამოსელი, ღირს მყავ მე, რომელი ესე მოუვალ საღმრთოსა ამას ზეცისა მსახურებასა შენისაგან მადლისა, რადთა ყოველი მწიკვლევაებაჲ განვიძარცვო, ვითარცა სამოსელი შეგინებული, შეამკვე სული ჩემი ბრწყინვალეებითა და ხორცი ჩემნი სიწმიდითა, განმაყენენ ჩემგან ცოდვანი ჩემნი და განსთხიენ ჩემგან ურჩულოებანი ჩემნი და შემოსე მე სათნოებაჲ სიწმიდეჲ და სიმტკიცეჲ, რადთა შენ-მიერ შემოსილი მღვდლობისა მადლითა, ღირს ვიქმენ შესლვად სიწმიდესა შენსა მათ თანა, რომელთა იგი შეუცთომელად დაიცვენს წმიდანი მცნებანი შენნი და ვიპოვო მე ქორწილსა მას ზეცისასა ბრძენთა მათთანა წმიდათა ქალწულთა შენდა დიდებისმეტყუელებად ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან აღიხუენ ყოველთა ცოდვანი, რამეთუ შენ ხარ წმიდამყოფელი სულთა და ხორცთა ჩუენთაჲ და შენსა დიდებასა შევსწირავთ, თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. მინ.

საკურთხეველი აღვიდოდის, ესე სამნი ლოცვანი წართქუნეს, საკუმეველსა ზედა ჯუარი დასწეროს და რად ლოცვაჲ წართქუას, საკუმეველი დაასხას.

**ლოცვაჲ ა:** სახიერო მეუფეო, ყოველთა დაბადებულთა შემოქმედო, შეიწირე, რომელსა შესწირვენ ხელითა ქრისტედს შენისაჲთა ეკლესიისა შენისა მიერ, და კაცად-კაცადისა იგი სარგებელი აღასრულე და უძლოდე ყოველთა სრულებისა მიწვენად და ღირს მყვენ ჩუენ მადლისა და სიწმიდისა შენისა, რამეთუ ღმერთი მოწყალე ხარ და კაცთმოყუარე და

შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

**ლოცვაი ბ:** უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან შეიწირე შესაწირავი აბელისა, ნოესი, აბრაჰამისი, მსხუერპლი აპრონისი, სამოველისი, ზაქარიადსი საკუმეველი, შეიწირე ხელთაგან ჩუენ ცოდვილთათა საკუმეველი ესე სულად სულნელად, შენდობა ყავ შეცოდებათა ჩუენთათვის, რამეთუ კურთხეულ და წმიდა და დიდებულ არს სახელი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

**ლოცვაი ბ:** ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, სახელდილო უფალო, მოგუმადლე ჩუენ შესლვად წმიდათა წმიდათასა მოსლვითა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, ვითხოვთ და გვედრებით, რამეთუ შემინებულ და შეძრწუნებულ ვართ, განმზადებულნი ესე წარდგომად წინაშე საშინელსა და შესაძრწუნებელსა დიდებულსა საკურთხეველსა შენსა. გარდამოავლინე ჩუენ ზედა მადლი შენი სახიერი, განაცხოველენ სულნი და ხორცი ჩუენნი და დაამტკიცენ გონებანი ჩუენნი მართლმადიდებლობად, რადთა გულითა წმიდითა შევწიროთ შესაწირავი ესე, მოცემული ნაყოფთაგან მოსატეველად ცოდვათა და სალხინებლად ყოვლისა ერისა შენისა, მადლითა და კაცთმოყუარებითა ქრისტესსა შენისა, მისთანა შენდა დიდებად შენის სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღიაკონმან კუერექს ყოს, მღდელმან საკუმეველი დაასხას. ოხითად აღიღონ და საკურთხეველად აღვიდენ.

**ლოცვაი ღმერთო ღმერთო**

**წინა:** წმიდა ხარ, ღმერთო ჩუენო, რომელი წმიდათა შინა დამკვიდრებულ ხარ, და საყდართა დიდებისათა მჯდომარე ხარ. წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, რომელი წმიდათა ანგელოზთაგან და მთავარანგელოზთა და ყოველთაგან ძალთა ზეცისათა თაყუანისიცემები და იდიდები. წმიდა ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, რომელი ვ-ვ ფრთეთა სერაბინთაგან სამგზის წმიდა გალობასა შეიწირავ. შეიწირე ჩუენიცა უღირსთა მონათა შენთად სამგზის წმიდად გალობად და შეგუიწყალენ ჩუენ.

**ამაღლმბად:** რამეთუ წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩუენო, და წმიდათა შინა განისუენებ, და სამგზის წმიდა გალობასა შენდა შევსწირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

და თქუან წმიდაო ღმერთო.

**ლოცვაი შემდგომად წმიდა**

**ღმერთო** და მოწყალე, მწყალობელ, სულგრძელ და მრავალმოწყალე და ჭეშმარიტ უფალო, მოიხილე განმზადებულთ სამკვიდრებელთ და მიხსნენ ჩუენ ყოვლისაგან განსაცდელისა საეშმაკოდსა კაცობრივისა, და ნუ განმასორებ ჩუენგან შეწვენასა შენსა, რამეთუ ჩუენ ვერ შემძლებელ ვართ ძლევად, რომელნი მოეტევიან ჩუენ ზედა, ხოლო შენ შემძლებელ ხარ განრინებად ჩუენდა ყოველთა მხდომთაგან, მაცხოვრენ ჩუენ, უფალო ღმერთო ჩუენო ყოველთაგან წინააღმდეგომთა ამის სოფლისათა, რაითა შევიდეთ წმიდითა გულისსიტყვითა წმიდასა ტაძარსა შენსა და სათნოდ შენი საღმრთოდ მსახურებად აღვასრულოთ, რადთა საუკუნესა მას ცხორებასა ღირს ვიქმნეთ, რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მღდელმან: მშვიდობად ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა.

ღიაკონმან: ფსალმუნი დავითისი მეხუთედ.

ფსალმუნი თქუან და საკითხავნი წაიკითხნენ.

**ლოცვაი სახარებისა წინა!**

შენ გმადლობთ, უფალო, რომელმან გამოაბრწყინვე ბნელისაგან ნათელი და აღგვიხილენ თუ-ალნი გონებათა ჩუენთანი მიხედვად მცნებათა შენთა, აღებად პირთა ჩუენთა აღსარებად ცოდვათა ჩუენთა და წურთად მცნებათა შენთა. უფალო, შეიწირე ლოცვად შეცოდებულთა და უღირსთა მონათა შენთად და ნუ უგულვებელს ჰყოფ ვედრებასა ჩუენსა, არამედ შენისაებრ დიდად შეუენიერებისა დაიცვენ, რომელნი ესე მოვიდეს, რომელნი მოსლვად არიან ჩუენ თანა ლოცვად და გამოაბრწყინვე გულთა ჩუენთა და მათთა, ნათელი საღმრთოთა სიტყუათა შენთად.

**ამაღლმბად:** რამეთუ შენ ხარ მახარებელი და განმანათლებელი, აღდგომად და ცხორებად სულთა და ხორცთა ჩუენთად, ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

ღიაკონმან: აღმართენით და ისმინეთ წმიდისა სახარებისად.

მღდელმან: მშვიდობად ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა.

და წარმოთხველმან თავისაგანი სახელ-სდვას  
წმიდისა სახარებისა საკითხავი.

ერმან: დიდებად შენდა უფალო!

ღიაკონმან: მოხედეთ.

შემდგომად სახარებისა კითხვისა ღიაკონმან  
კუერექსი კათოლიკედ წართქუას, მუხლი იბ,  
ქრისტეანობითურთ.

**მღვდელმან მსმ ლოცვაჲ ვართქუას:**

ღმერთო, რომელმან გუასმინენ საღმრთონი  
სიტყუანი, განაბრძვენ და განანათლენ სულნი  
ჩუენნი სულიერსა მას წინადაკითხულსა სი-  
ბრძნესა ცხორებად, რაითა არა მსმენელ ხოლო  
ვიყვნეთ ცხოველმყოფელთა მაგათ ქებათა, არ-  
ამედ მყოფელ საქმეთა კეთილთა, სარწმუნოებით  
გშურებოდით უზაკუველითა სლვითა უბიწოთა  
ცხორებითა.

**ამაღლებად:** ქრისტე იესუსი მიერ უფლი-  
სა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ  
შუენის სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და  
უკუნითი უკუნისამდე.

ერმან: სულისა შენისა თანა.

ღიაკონმან: თავნი ჩუენნი უფალსა მოუ-  
დრიკნეთ.

ერმან: შენ უფალო.

**მღვდელმან მსმ ლოცვაჲ ვართქუას:**

გარდამოავლინე, უფალო ღმერთო ჩუენო,  
მაღლი შენი ამათ ზედა, რომელთა მოუდრეკიან  
თავნი მათნი და მოელიან შენმიერსა კურთხევასა,  
დაამწყსე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი  
შენი და მომეც ჩუენ ყოველთა, რადთა შენსა  
ვზრახვიდეთ ჩუენ ყოველნი შენსა ვიტყოდით  
მარადლე და მცნებათა შენთა ვიდოდით.

**ამაღლებად:** იყავნ სახელი შენი კურთხ-  
ეულ და დიდებულ, მამისა და ძისა და წმიდისა  
სულისაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუ-  
ნისამდე.

ერმან: ამინ.

ღიაკონმან: მშვიდობით ვგალობდეთ.

და ხელთა ბანისად თქუან.

ღიაკონმან: ნუ ვინ უძლური, ნუ ვინ არაღირსი,  
ნუ ვინ ვერ შემძლებელი, არამედ ურთიერთას  
იხილენით თავნი თვისნი, აღემართენით ყოველნი.  
და სიწმიდისაი თქუან.

ღიაკონმან: სიბრძნით მოხედეთ.

ერმან მრწამსი თქუას.

ღიაკონმან: ვდგეთ კეთილად, მოვიცალოთ  
ყოველთა ერთობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ერმან: კვირიელედსონ.

მღვდელმან პირველ ამბორის ყოფისა ესე  
ლოცვაჲ წართქუას:

**ლოცვაჲ წმიდისა იაკობ  
მოციქულისაი, პირველმთავარმკის-  
კოკოსისა იმრუსალმისაჲ:**

რომელი ყოველთა ღმერთი ხარ და უფალი,  
ღირს მყვენ ჩუენ ჟამისა ამის არა ღირსნი ესე,  
კაცთმოყუარე, რადთა განწმენდილნი ყოვლისაგან  
ზაკუვისა და ყოვლისაგან ორგულებისა შევი-  
ერთნეთ ურთიერთას ჰამბორის ყოფითა წმიდითა  
შეერთებულნი სიყუარულისა და მშვიდობისა  
სიმტკიცითა დამყარებულნი შენსა ღმრთეებასა  
სიწმიდით უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ  
ქრისტედს მიერ.

**ამაღლებად:** რამეთუ ღმერთი მშვიდობისა  
და სიყუარულისა და კაცთმოყუარებისად ხარ და  
შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და  
წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: მშვიდობაი ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა.

ღიაკონმან: სიყუარულითა სიწმიდისაითა  
ურთიერთას ჰამბორს ვიყოთ.

შემდგომად ჰამბორის ყოფისა ღიაკონმან  
თქუას:

თავნი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ.

ერმან: შენ უფალო.

**მღვდელმან მსმ ლოცვაჲ ვართქუას:**

რომელი მხოლოდ ხარ უფალი და მოწყალე  
ღმერთი, რომელთა მოუდრეკიან აწ ქედნი მათნი  
წინაშე წმიდასა საკურთხეველსა შენსა და  
ითხოვენ შენმიერსა სულიერსა ნიჭსა, მოავლინე  
შენმიერი კურთხევაჲ და აკურთხენ ყოველნი  
სულიერითა კურთხევითა, რომელი მაღალთა  
შინა დამკვიდრებულ ხარ და მდაბალთა ჰხედავ.

**ამაღლებად:** რამეთუ ქებულ და თაყუანის-  
საცემელ არს სახელი შენი მამისა და ძისა და  
წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

ღიაკონმან თაყუანი სცეს მღვდელსა და თქუას  
კვირიელეისონ.

მღვდელმან ჯუარი დასწეროს და ჰრქუას:  
უფალმა შეიწირინ მსახურებაჲ შენი.

ღიაკონმან კუერექსი კათოლიკეი წართქუას  
და ესე ხოლო შეუდგინოს:

და წმიდისა ამისთვის წინაგანმზადებულისა  
დიდებულისა უბიწოდსა მსხუერპლისა შესაწი-  
რავისა და შემომწირველთათვის და ღირსად  
შემომწირველისა ამისთვის წინაშე მდგომელისა



პატოსნისა მღვდლისათვის ყოველნი უფალსა ღმერთსა ვევედრნეთ.

ერმან თქუას გ-ჯერ კვირიელისონი და ვი-  
დრე დიაკონი ამას იტყოდის, მღვდელი თავისა  
თვისათვის ამას ლოცვასა შესწირვიდეს: ესრეთ  
თქუას გ-ჯერ:

დიდებად მალალთა შინა ღმერთსა და ქუ-  
ეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის  
სათნობად.

და ესე გ-ჯერ:

უფალო, ბაგენი ჩემნი აღვახუენ და პირი  
ჩემი გითხრობდეს ქებულებასა შენსა.

და ესე გ-ჯერ:

აღავსე პირი ჩუენი ქებითა, რადთა უგალობ-  
დეთ დიდებასა შენსა და ყოველსა დღესა დიდად-  
შუენიერებასა შენსა.

და ესე გ-ჯერ:

მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და  
მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**და ესე ლოცვაჲ ში-ხოლო-უღვინოს:**

რომელმან მოგუხედენ ჩუენ წყალობითა  
და მოწყალებითა, უფალო და მოგუმადლენ  
კადნიერებად ჩუენ გლახაკთა და უღირსთა  
მონათა შენთა წარდგომად წინაშე წმიდასა  
საკურთხეველსა შენსა და შეწირვად შენდა სი-  
ტყვიერი ესე უსისხლოდ მსხუერპლი ცოდვათა  
ჩუენტათვის, მოიხილე ჩემ ზედა, უხმარისა  
მონისა შენისა, აღხოცენ ბრალნი ჩემნი შენითა  
მოწყალებითა, და განწმინდენ ბაგენი ჩემნი და  
გული ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთაჲსა და  
სულისა, განმაყენენ ყოველი განზრახვად უშუ-  
ერი და უგულისხმოდ და შემძლებელ მყავ მე,  
ძალითა სულისა წმიდისაჲთა, შეწირვად მსხვერ-  
პლსა ამას და შემიწყალე მე ქველისმოქმედებისა  
შენისათუჲს მიახლებული წმიდასა საკურთხე-  
ელსა შენსა და გთნდინ უფალო რადთა სათნო  
იყოს, რომელსა ესე შევსწირავ შესაწირავსა ხე-  
ლითა ჩემითა შენდობით უძღურებისაებრ ჩემისა  
და ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან, უფალო  
და ნუ შეგინებულად შეჰრაცხებ უღირსებასა  
ამას ჩემსა, არამედ შემიწყალე მე, ღმერთო,  
დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყ-  
ალებითა შენითა გარეწარმხადენ ჩემგან ურჩუ-  
ლობანი ჩემნი, რადთა დაუშჯელად მოსრული  
წინაშე დიდებისა შენისა, ღირს ვიქმნა საგრილსა  
მხოლოდშობილისა ძისა შენისასა, და რადთა  
არა სხუათა აზნაურებასა აღუთქუმიდე და ამას  
მივსცემდე დაუსრულებელითა შენითა კაცთმოყუ-  
არებითა, და მე თვით, ვითარცა მონად ცოდვისაჲ,

უხმარ ვიპოო. ჰე, მფლობელი ყოვლადღიერი  
უფალო, ისმინე ვედრებისა ჩემისაჲ, რამეთუ შენ  
ხარ, რომელი შეწევნასა ჰყოფ ყოველთა მიმართ,  
და შენმიერსა წყალობასა ვითხოვთ ყოველნი  
მამისაგან და ძისაგან და სულისა წმიდისაგან,  
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მღვდელმან თქუას: გევედრები, მამანო და  
ძმანო, ლოცვა ყავთ ჩემთვის.

და თანამდგომარეთა მიუგონ:

უფალი იყავნ შენ თანა.

**და ესე ლოცვაჲ წართმუას:**

ღმერთო, რომელმან გამოუთქმელითა და  
დაუსრულებელითა კაცთმოყუარებითა შენითა  
მოავლინე ძემ შენი მხოლოდშობილი სოფლად,  
რადთა შეცთომილი ახლად მოაქციოს ცხოვარი,  
ნუ გარემიქცევი ჩუენგან, რომელნი ესე ხელ-  
გჰყავთ საშინელსა ამას და უსისხლოსა მსხუერ-  
პლსა შეწირვად, რამეთუ არა სიმართლეთა  
ჩუენტა ვესავთ, არამედ მოწყალებათა შენთა,  
რომლითა ნათესავსა ჩუენსა იღუწი, ვევედრებით  
და ვილოცავთ შენსა სახიერებასა, რადთა არა  
იყოს დასაშჯელად ერისა შენისა განმზადებული  
ესე, რომელ განგვიგე ჩუენ საცხორებელად  
საიდუმლოდ, არამედ აღსახოცებლად ცოდვათა  
და განსახლებლად სულთა და ხორცთა და  
სათნო-ყოფად შენდა.

**ამაღლეპაჲ:** მადლითა და წყალობითა  
და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა  
შენისაჲთა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ ყო-  
ვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით  
სულით შენითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი  
უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: მშვიდობაჲ ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა.

დიაკონმან: ვდგეთ კეთილად, ვდგეთ განკრძა-  
ლულად, ვდგეთ შიშით, მოხედეთ წმიდასა ამას  
შესაწირავსა, რამეთუ ღმრთისა მსხვერპლსა  
შევსწირავთ.

ერმან: წყალობად მშვიდობად შესაწირავი  
ქებისაჲ.

დიაკონმან საბურველი აღჰხადოს წესისაებრ.

**მღვდელმან ლოცვაჲ წართმუას:**

უფალო მეუფეო საუკუნეთაო, ღმერთო დიდო  
და დიდებულო, მოყავ ყური შენი და ისმინე ჩემ  
ცოდვილისაჲ ამის, და შეიწირე წინადაგებული  
ესე წმიდად შესაწირავი, ვითარცა იგი შეიწირე  
აბელისი, მსხუერპლი ნოვედსი შესაწირავი  
აბრაჰამისი ყოვლადნაყოფიერებად მოსედსი და



აპრონისი მღვდელობად სამოელისი დასამშვიდებელი, დავითისი ყოვლად სინანული და ვითარცა შეიწირე ხელთაგან წმიდათა მოციქულთა შერთა ჭეშმარიტი მსახურებად და აწცა იგივე ხარ ღმერთი, შემიწყალენ ჩუენ სახელისა შენისათვის წმიდისა.

**ამაღლებანი:** სიყვარული ღმრთისა მამისად, მადლი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტედსი და ზიარებად ყოვლადწმიდისა სულისად იყავნ თქუენ ყოველთა თანა.

ერმან: და სულისა შენისა თანა.

მღვდელმან: ზეცასმცა არიან გულნი თქუენნი.

ერმან: გუაქუს უფლისა მიმართ.

მღვდელმან: მადლი მივსცეთ უფალსა.

ერმან: ღირს არს და მართალ.

**მღვდელმან ესე ღოცვად ჳართქუას:**

ვითარცა ჭეშმარიტად ღირს არს და მართალ და შუენიერ და თანამდებ ვართ შენდა ქებად, შენდა გალობად, შენდა კურთხევად, შენდა დიდებისმეტყუელებად, შენდა თაყუანისცემად, შენდა მადლობად, რომელი ყოველთა დაბადებულთა, ხილულთა და უხილავთა შემოქმედი ხარ საფასედ საუკუნეთა მათ კეთილთად, რომელი ხარ წყაროდ ცხორებისად, ყოველთა ღმერთი და უფალი, რომელსა გიგალობენ ცანი და ცანი-ცათანი და ყოველნი ძალნი მათნი, მზედ და მთუვარედ, და ყოველნი განწესებულნი ვარსკულავათანი ქუეყანად, ზღუად და ყოველი, რად არს მას შინა იერუსალემში, ზეცისად კრებული ეკლესიად პირმშოთად, რომელნი დაიწერნეს ცათა შინა, სულნი მართალთანი და წინადაწარმეტყუელთანი, სულნი მოციქულთანი და მოწამეთანი, ანგელოზნი, ანგელოზთმთავარნი, საყდარნი, უფლებანი, მთავრობანი და ხელმწიფებანი და ძალნი ქერუბინნი, მრავალთუალნი და ვ-ვ ფრთენი სერაბინნი, რომელნი ორითა ფრთითა იფარვენ პირთა მათთა, ორითა იფარვენ ფერხთა მათთა, ორითა ფრინვენ, ღაღადებენ და იტყვიან მოყუასი მოყუასისა მიმართ.

**ამაღლებანი:** დაუცხრომელითა ბაგითა, დაუღუმებელითა ღმრთისმეტყუელებითა ძლევისა გალობასა დიდადშუენიერებისა შენისა დიდებასა ბრწყინვალითა ხმითა გალობენ, ხმობენ, ღაღადებენ და იტყვიან:

ერმან თქუას:

წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბოთ, სავსე არიან ცანი.

**მღვდელმან ესე ღოცვად ჳართქუას:**

წმიდა ხარ შენ, მეუფეო საუკუნეო და ყოვლისა სიწმიდისა მომცემელო. წმიდა არს მხოლოდშობილი ძე შენი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტედ. წმიდა არს ყოვლადწმიდა სული შენი უფალი ცხოველსმყოფელი, რომელი გამოეძიებს ყოველსავე და სიღრმესაცა ღმრთეებისა შენისასა. წმიდა ხარ, ყოვლისა მპყრობელო და ყოვლადღლიერო საშინელო და სახიერო. ჭეშმარიტად წმიდა ხარ, რომელი მოწყალე ექმენ უფროდს ქმნულთა შენთა და რომელი შეჰქმენ ქუეყანისაგან კაცი მსგავსად და ხატად შენდა და მოჰმადლე მას სამოთხისა იგი შუებად და განსვენებად, რადთა უფლებდეს იგი, რომელი შენგან შეიქმნეს დაბადებული და განაგებდეს სოფელსა ღირსებით და სიმართლით, ხოლო რაჟამს გარდახდა მცნებათა შენთა და გამოვარდა მიერ, არავე უგულუბელს ჰყავ და არცა განაგდე იგი, სახიერო, არამედ განსწავლე იგი ვითარცა მამამან მოწყალემან და უწოდე მას შჯულისა მიერ და მზარდულ ექმენ მას წინადაწარმეტყუელთა მიერ, ხოლო შემდგომად მათსა უკანაისკნელ აღსასრულსა საუკუნეთასა თვით თავადი მხოლოდშობილი ძე შენი მოავლინე სოფლად, რადთა შენი იგი განაახლო და აღადგინო ხატი, რომელი გარდამოხდა ზეცით და ხორციელ იქმნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა, რომელი იშვა ბეთლემს ჰურიასტანისასა და ნათელილო წმიდასა იორდანესა იოვანესგან, და კაცთა შორის იქცეოდა, ყოველივე განაგო საცხოვრებელად ნათესავისა ჩუენისა და ვითარცა ეგულეობდა მორჩილებით და ნებსით სიკუდილი ცხოველსმყოფელი უცოდველსა მას ჩუენ ცოდვილთათვის თავს-დებად, ღამესა, რომელსა მიეცემოდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტედ ცხორებისათვის სოფლისა, მოილო პური იგი და უბიწოთა ხელთა თვისთა, აღგიპყრა გიჩუენა შენ ღმერთსა და მამასა, გამდლობდა, აკურთხა, განწმინდა, განტეხა, მისცა თვისთა ნეტართა მოწაფეთა მოციქულთა და ჰრქუა მათ:

**ამაღლებანი:** მიიღეთ და შჰამეთ, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი, რომელი თქუენთვის და მრავალთათვის განიტეხების და მიგეცემის მისატეველად ცოდვათა.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: ეგრედცა და შემდგომად სერობისა მოილო სასუმელი განზავებული ღვინითა და წყლითა, გამდლობდა, აკურთხა, განწმინდა, მისცა თვისთა მოწაფეთა მოციქულთა და ჰრქუა მათ:

**ამაღლებანი:** სუთ ამისგანი თქვენ ყოველთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაი, რომელი თქვენთვის და მრავალთათვის დაითხვეის და მიგეცემის მისატყვევებლად ცოდვათა.

ერმან: ამინ.

**მღვდელმან ესე ლოცვაჲ წართქუას:**

ამას ჰყოფდით ჩემდა მოსახსენებელად რაკდენ-გზის შჯამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას სიკუდილისა ძისა კაცისასა და მიუთხრობდით ვიდრემდე მოვიდეს. და აწ მოვიხსენებთ ვნებათა და დაფლვასა მისსა და მესამესა დღესა აღდგომასა და ზეცად ამალლებასა და მარჯვენით შენსა, ღმერთო და მამაო, დაჯდომასა მისსა და ძეორედ დიდებით საშინელად მოსლვასა მისსა, რაჟამს მოვიდეს განშჯად ცხოველთა და მკუდართა, ოდეს მიაგებდეს თითოეულსა საქმეთა მისთაებრ. შევსწირავთ შენდა უფალო საშინელსა ამას და უსისხლოსა მსხუერპლსა, რადთა არა ცოდვათა ჩვენთა-ებრ მიყო ჩუენ და ნუცა ურჩულოებათა ჩვენთა-ებრ მომაგებ ჩუენ, არამედ შენისა მაგის მოთმინებისა-ებრ დაუსრულებელისა კაცთ-მოყუარებისა უგულვებელს ყვენ და აღხოცენ რომელ ცოდვანი, და ცთომანი იყვენ მვედრებელთა შენთანი, და მოგუანიჭე ჩუენ ზეცისანი იგი და საუკუნენი ნიჭნი, რომელი თუაღმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადე მოყუარეთა შენთა მოწყალებითა შენითა.

ამაღლებანი: რამეთუ ერი შენი და ეკლესიაი გვევდრებიან შენ.

ერმან: შეგვიწყალებ ჩუენ ღმერთო, ყოვლისა-მპყრობელო.

**მღვდელმან ესე ლოცვაჲ წართქუას:**

შეგუიწყალებ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა, და მოავლინე ჩუენ ზედა და საშინელსა ამას მსხუერპლსა წინადაგებულთა ამათ წმიდათა შესაწირავთა სული წმიდაჲ შენი უფალი ცხოველსმოფელი თანამოსაყდრედ შენ მამისაჲ და ძისაჲ თანამეუფედ, თანასამარადისოდ, თანადაუსაბამოდ და თანაარსი, რომელი იტყოდა შჯულსა შინა და წინადსწარმეტყუელთა და ახალსა შჯულსა, რომელი გარდამოხდა ზედა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა იორდანესა მდინარესა ხილვითა ტრედისაჲთა, რომელი გარდამოხდა ზედა წმიდათა მოციქულთა შენთა მსგავსად ცეცხლისა ენათა ზედა ქორსა მას საიდუმლოსა დღეთა მათ ერგასისთა.

**ამაღლებანი:** რადთა აწცა სახიერმან დიდებულმან მოსლვამან მისმან აკურთხოს და განწმიდოს და ყოს პური ესე ხორც პატიოსან ქრისტედსა.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: და სასუმელი ესე სისხლ ჭემ-მარიტ ქრისტედსა.

ერმან: ამინ.

**მღვდელმან ესე ლოცვაი წართქუას:**

რადთა ექმნეს ყოველთა, რომელთა მიიღონ ესე, მისატყვევებლად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ, განსაწმენდელად სულთა და ხორცთა ნაყოფისა გამოღებად კეთილთა საქმეთაჲსა და სიმტკიცედ ეკლესიისა შენისა, რომელ მოიგე პატიოსნითა სისხლითა ქრისტედს შენისაჲთა. დააფუძნე ზედა კლდესა სარწმუნოებისა, რადთა ბჭენი ჯოჯოხეთისანი არა ერეოდინ მას, ხსნითა მისითა ყოველთაგან მწვალებელთა სავთურისაგან, რომელნი იქმან ურჩულოებასა ვიდრე აღსასრულამდე საუკუნისა მის.

აქა მოდრკეს.

შევსწირავთ შენდა უფალო, საშინელსა ამას და უსისხლოსა მსხუერპლსა წმიდათა შენთა ადგილთათვის, რომელნი აღიდენ გამოჩინებითა ქრისტედს შენისაჲთა.

პირველად წმიდისათვის და დიდებულისა სიონისა, დედისა ყოველთა ეკლესიათაჲსა და ყოვლისა სოფლისა ზედა წმიდისა შენისა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისათვის და ყოველთა ცისკიდეთა უხუად ნიჭი იგი სულისა წმიდისაჲ გარდაუმატე მათ. უფალო, მოიხსენე მათ შინა წმიდათა მამათა ჩუენთაჲ მამათმთავართაჲ, ებისკოპოსთაჲ, მართლმადიდებელთაჲ და მართლგამომეტყუელთაჲ, რომელნი სიმართლით გვითხრობდეს სიტყუასა მას ჭემმარიტებისასა პირველად წინათ ღირსისა მამისა ჩუენისა პატრიარქისაჲ სიბერედ პატიოსანი მოჰმადლე, დღევრძელებით დაიცევ ესე ჟამთა მრავალთა მწყსად ერისა შენისა ყოვლითა ჭემმარიტებითა და სიმართლითა და სიწმიდითა. მოიხსენე უფალო წმიდისა ქალაქისა იერუსალიემისაჲ და ყოველთა ქალაქთაჲ და სოფელთაჲ, ყოველნი, რომელნი სარწმუნოებითა და კეთილითა ქცევითა და შიშითა ქრისტედსითა დამკვიდრებულ არიან მშვიდობით და მკუდროებით. მოიხსენე უფალო აქა პატიოსანნი მღვდელნი და სადანივე ქრისტედს-მიმართ მსახურნი დიაკონნი და ყოველნი მოწესენი ეკლესიისანი, რომელნი სიმდაბლისა ცხორებითა იქცევიან და ქრისტედს-მოყუარისა ერისაჲ. მოიხსენე უფალო მრავ-

ლითა მოწყალეებითა შენითა მეცა ცოდვილი ესე და ნარჩენი მონად შენი. და მომხედე მე წყალობითა შენითა და უბრალო მყავ მე მღევართა ჩემთაგან და რომელი შეგცოდე სიტყვითა ანუ საქმითა ანუ გონებითა, მიღხინე, მომიტევე, შემინდვე, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყუარე, უფალო ნუ სულგრძელებით, რამეთუ სადაცა აღემატა ცოდვად მუნ უფროდს გარდაემატა ნიჭი იგი შენი. მოიხსენე უფალო კეთილადმსახური მეფედ ჩუენი და კეთილადმსახური დედოფალი და კეთილადმსახურებით მეფობად მათი. აღიღე საჭურველი და ფარი და აღდეგ შეწევნად მათდა, დაუმორჩილენ მათ ყოველნი ნათესავნი წარმართთანი, რადთა მშვიდობით და მყუდროებით ვცხონდებოდით ყოვლითა ღმრთისმსახურებითა და ღირსებითა. მოიხსენენ უფალო, რომელნი სიბერესა და უძღურებასა შინა შურებიან, მამანი და ძმანი ჩუენნი. მოიხსენენ უფალო ივინიცა, რომელი საპყრობილესა და კრულებათა შინა ექსორიობასა და ტყუეობასა და ხურელთა ქუეყანისათა იყვნენ მამანი და ძმანი ჩუენნი. მოიხსენენ უფალო ნავითა მავალნი მოგზაურნი და რომელნი უცხოებასა და შრომასა შინა იყვნენ და რომელნი შორსა გზასა წარმართებულ არიან მამანი და ძმანი ჩუენნი და წყალობასა და შეწევნასა ითხოვენ შენგან. მოიხსენენ უფალო, რომელნი სულთაგან არაწმიდათა იტანჯებიან, განათავისუფლენ ყოველნი გუამნი სნეულთა მშრომელთანი, რომელნი მიიმძლავრებიან ყოველთა უღხინე, ყოველნი განათავისუფლენ ფერადფერადთაგან სენტა მამანი და ძმანი ჩუენნი და ყოველნი სულნი ქრისტეანითანი ჭირვეულნი, ურვეულნი, რომელნი წყალობასა და შეწევნასა შენსა ითხოვენ მოიხსენენ კეთილსა შინა. ყოველნი შეიწყალენ უფალო, ყოველთა უღხინე, ყოველთა მოხედე, დაამშვიდე სიმრავლედ ერისა შენისად, განაბნიენ ყოველნი საცთურნი, განაქარვენ ყოველნი ბრძოლანი, შენი მშვიდობაი და სიყუარული მოგუმადლენ ჩუენ, ღმერთო მაცხოვარო ჩუენო. მოიხსენენ კეთილად შეხავებისათუის ჰაერთ ცუარისა მშვიდობისა ნაყოფთა კეთილად გამოღებისა სრულისა გვირგვინისად წელიწადისად შენისა სიტკბოებითა, რამეთუ თუაღნი ყოველთანი შენ გესვენ და შენ მოსცე საზრდელი მათი ჟამსა. მოიხსენენ უფალო და რომელთა შესაწირავი ესე შემოსწირეს ამას დღესა წმიდასა საკურთხეველსა შენსა და რომელთათუის კაცად-კაცადმან შემოსწირა გინა გონებასა მათსა აქუს და რომელთათუის აწესერა აღმოვიკითხავთ.

ღიაკონმან წართქუას მოსახსენებელი ცოცხალთაი: მოიხსენე უფალო და შეიწყალე მომგებელნი ამათ ჟამისწირვათად სვიმეონ, ქართლისა კათალიკოზი, და შეიწყალენ და აღიდენ იოვანე აწყურელი ეპისკოპოზი და ეფრემ წილკნელი.

უფალო შეიწყალენ მსახურნი და მოღუაწენი ამის უდაბნოსანი. უფალო შეიწყალენ დაჩი და სვიმეონ.

#### **მღღელმან ესე ღოცვად წართქუას:**

მოიხსენენ უფალო ესე ყოველნი, რომელნი მოვიხსენენით და რომელნი ვერ მოვიხსენენით და მოეც მათ ქუეყანისა წილ ზეცისად იგი, გახრწნადისა წილ უხრწნელი იგი, საწუთროდსა წილ საუკუნოდ იგი, სახარებისა-ებრ ქრისტედს შენისა, რამეთუ ცხორებისა და სიკუდილისა ხელმწიფებად გაქუს უფალო, მერმეცა მოხსენებად ღირს მყუენ ჩუენ, რომელნი დასაბამიდგან სოფლისადთ სათნო გეყვნეს შენ ნათესავად, ნათესავად მამათმთავართა წინადწარმეტყუელთა მოციქულთა წმიდათა მარტვილთა, მართლადმსარებელთა.

**ამაღლქბაი:** უმეტეს არს ყოვლადწმიდად დიდებული, კურთხეული, უხრწნელი, სანატრელი დედუფალი ჩუენი ღმრთისმშობელი, მარადის ქალწული მარიამი.

საიდუმლოდ: გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთან არს. (გ-ჯერ).

წმიდად და ნეტარი იოვანე წინამორბედი, ნათლისმცემელი და წმიდანი მოციქულნი პეტრე, პავლე, ანდრია, იაკობ, იოვანე, ფილიპე, ბართლომე, თომა, მათეოზ, იაკობ, სიმონ, იუდა, მათათია, მარკოზ, ლუკა მახარებელი, და წმიდანი წინადწარმეტყუელნი, და მართალნი, წმიდად სტეფანე პირველდიაკონი და პირველმოწამედ, და წმიდანი ნეტარნი მამანი ჩუენნი მამათმთავარნი: მოსე, აპრონ, ისუ, სამუელ, დავით, ელია, ელისე, ზაქარია, სვიმიონ, და ყოველნი წმიდანი შენნი. წმიდანი მოწამენი: წმიდად გიორგი, წმიდად თეოდორე, წმიდად ესტატი, წმიდად კვირიკე, წმიდად ივლიტა, წმიდად ბარბარა, წმიდანი ორმეოცნი, წმიდად აბო, და ყოველნი წმიდანი შენნი, აღმსარებელნი ქრისტედს ღმრთისა ჩუენისანი. რომელნი წამებულ არიან კეთილითა აღსარებითა და კეთილად აღმსარებელნი წმიდანი დედანი მენელსაცხებელნი, მიროფორნი, წმიდანი ნინო; მოიხსენენ უფალო წმიდანი მამანი ჩუენნი ეპიკოპოსნი წმიდისა იაკობ მოციქულისა ძმისა უფლისა და პირველ მთავარეპისკოპოსისადთ, ვიდრე მოაქამდე, რომელნი მართლმადიდებლობით ეპისკოპოსობდეს წმიდასა ღმრთისა ჩუენისა



ქალაქსა ღირსნი. მოიხსენიენ უფალო წმიდანი მამანი ჩუენნი მოძღუარნი: ეგნატი, დეონოსი, ერენი, გრიგოლი, ალექსანდრე, ევსტათი, ათანასი, ბასილი, გრიგოლი, გრიგოლი, ამბროსი, ამფილოქი, ლიბერი, დამასუ, იოვანე, ეტვიფანე, თეოფილე, კელისტინე, აგვისტინე, კვირილე, ლეონტი, პროკლე, ფელეკოს, ორმიზდ, ეფრემ, სოფრონ, ალაპი, ევლოგი, მარტვინო, მოდისტოს, პეტრე მოწამედ, ნიკოლოზ.

მოიხსენიენ უფალო წმიდანი და დიდ-დიდნი სოფლისა ექუსნი კრებანი: ნიკიას სამას ათრვაძეტი, კოსტანტინეპოლეს ას მეორმოცდა ათნი, ეფესოს პირველად ორასნი, ქალკედონს ექუსას ოცდა ათნი, მეხუთედ წმიდად კრებად ას სამეოცდა ოთხნი, მექუსედ წმიდად კრებად ორას ოთხმეოცდა ცხრანი და ესე წმიდანი კრებანი და ყოველთა ადგილთა ღირსნი მამანი ჩუენნი, რომელნი მართლმადიდებლობით ებისკოპოსობდეს და რომელთა მართლწარუმატებელს სიტყუად იგი ჭეშმარიტებისად.

მოიხსენიენ უფალო წმიდანი მამანი ჩუენნი, განშორებულნი და უდაბნოს ცხორებულნი: ამბა პავლე, ანტონი, პავლე, პახუმი, ამონა, თეოდორე, ილარიონ, არსენი, მაკარი, იოვანე, ეფრემ, სვიმიონ, სვიმიონ, თევდოსი, ხარიტონ, ევთვიმი, თეოგტისტე, საბა, დომენტი, ჯერასიმე, გელასი და რომელნი მოიხსენიეს მთასა წმიდასა სინასა ბარბაროზთაგან. არა თუ ჩუენ ღირს რაიმე ვართ მოხსენებად ნეტარებასა მათსა, არამედ, რადთა მათ, კადნიერად მდგომარეთა წინაშე საშინელსა და შემადრწუნებელსა საყდარსა შენსა, მოგვიხსენიენ ჩუენცა საწყალობელნი ესე.

მოიხსენიენ ხუცესნი, დიაკონნი, კერძო დიაკონნი, დედათ დიაკონნი, წიგნის მკითხველნი, მონაზონნი, თარგმანნი, მაფუცებელნი, ღმრთისმოყუარენი, ქალწულნი, წესიერად ქორწინებულნი, რომელი ზიარებასა წმიდისა კათოლიკე სამოციქულოისა ეკლესიისასა აღსრულებულ არიან.

მოიხსენიენ უფალო ღმრთისმსახურნი მორწმუნენი მეფენი: კოსტანტინე, ჰელენე, თევდოსა დიდი მარკიანე, პულქერი, ლეონტი, ისტვინიანე, და რომელნი შემდგომად მათსა ღმრთისმსახურნი მორწმუნენი მეფობდეს და ყოველნი, რომელნი ქრისტედს მიმართ წინადასწარ შესუენებულ არიან ერისკაცნი და რომელთათუის კაცად-კაცადმან შემოწირა გინა თუ გონებასა აქუს და რომელთათუის აწ ესერა აღმოვიკითხავთ.

დიაკონმან წართქუას შესუენებულთა სახელები, ხოლო მღდელმან მოიხსენოს სახელი ვისიცა უნდეს.

უფალო მოიხსენიენ სულნი ზაქარიადსი და მარიამისი და ყოველთა შვილთა მათთა გარდაცვალებულთად. სული თევდორედსი და ფებრონიადსი და ყოველთა შვილთა მათთა გარდაცვალებულთად. სული სვიმეონ კათალიკოზისად და ყოველთა და-ძმათა მისთა განუსვენე.

ესე ყოველნი მოიხსენიენ უფალო ღმერთო მამათაო და ყოველთა ხორციელთაო, რომელნი მოვხსენიენით და რომელნი ვერ მოვხსენიენით, მათ მუნ განუსუენე და ღირს ყვენ იგინი ქუეყანასა მას ცხოველთასა, სასუფეველთა ცათასა, წიაღთა აბრაჰამისათა, ისაკ და იაკობისათა, რომლისაგან განშორებულ არიან ყოველნი საღმობანი, მწუხარებანი და ჭირნი, სადა იგი ჰხედავს ნათელი პირისა შენისად. უფალო ყავ ჩუენი აღსასრული ქრისტეანობით, უცოდველად და უჭირველად წარგვიმართე უფალო და შეგუკობენ ჩუენ ქვეშე ფრთეთა რჩეულთა შენთასა, ოდეს გნებავს და ვითარცა ინებე თვინიერ ხოლო სირცხვილისა და შეცოდებათა წინაშე საყდარსა ქრისტედს შენისასა.

**ამაღლმებაი:** წყალობითა და მოწყალებითა და კაცთმოყუარებითა ქრისტედს შენისადთა მისთანა შენდა დიდებად შუენის სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ერმან: ამინ.

მღდელმან: მშვიდობად ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა..

დიაკონმან თქუას კუერექსი ესე: მერმეცა და მარადის ყოველთა ერთობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ერმან: კვირიელეისონ.

წმიდისა ამის შეწირულისა, განწმენდილისა დიდებულისა ზეცისა ნიჭისათუის ყოველთა ერთობით ვილოცოთ.

ერმან: კვირიელეისონ.

რათა უფალმან ღმერთმან ჩუენმან, რომელმან შეიწირა ესენი წმიდასა და უხილავსა ზეცისა საცნაურსა საკურთხეველსა მისსა, სულად სულნელად გარდამოგვივლინოს ჩუენ მაღლი და ნიჭი სულისა წმიდისად, ყოველთა ერთობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ერმან: კვირიელეისონ.

ერთობად სარწმუნოებისად, ზიარებად ყოველადწმიდისა სულისად უფლისა მიერ ვითხო-



ვით, თავნი ჩუენნი და ყოველი ცხრებად ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევჰვედროთ.

ერმან: შენ უფალო.

**მღღელმან მსე ლოცვაი წართქუას:**

ღმერთო და მამო უფლისა ჩუენისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტემდო, რომელი ჰჰი ქერუბინთა და იდიდები სერაბინთა მიერ, რომლისა წინაშე დგანან ათასნი ათასთანი, ბევრი ბევრთანი, წმიდათა ანგელოზთანი და მთავარანგელოზთა მხედრობანი, და რომელნი ესე შეიწირნეს შენდა შესაწირავნი და ძღუენნი მისაცემელნი ნაყოფნი, სულად სულნელად შეიწირენ, განწმიდენ მადლითა ქრისტემდს შენისაითა და მოსლვითა სულისა წმიდისადთა განწმიდენ უფალო სულნი ჩუენნი და ხორცი და განიხილენ გონებანნი ჩუენნი, გამოცადენ ზრახვანი ჩუენნი და განმაშორე ჩემგან ყოველი გონებად უკეთურებისად და ყოველი ზრახვად შეგინებული, ყოველი გულისთქუამდ მწიკულევანი, ყოველი შური, ამპარტავნებად, ორგულებად, ყოველი ტყუვილი, ყოველი ზაკუვად, ყოველი სიმძიმედ სოფლისად ამის, ყოველი ანგაჰარებად ყოველი აღძვრად ხორცთად და სულისად და უცხოქმნული ნებისაგან წმიდისა შენისა.

**ამაღლმბაი:** და ღირს მყუენ ჩუენ უფალო კადნიერებით წმიდითა გულითა, განათლებულითა სულითა, ურცხვინელითა პირითა, განწმენდილითა ბაგითა კადრებად და ხდად შენდა ზეცათა ღმრთისა წმიდისა მამისა მოწყალისა და თქუემად:

ერმან: მამო ჩუენოი.

**მღღელმან მსე ლოცვაი წართქუას:**

და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა უფალო, უფალო ძალთაო, არამედ მიხსნენ ჩუენ ბოროტისაგან და საქმეთა მისთაგან, რამეთუ სახელი შენი წოდებულ არს ჩუენ ზედა სიმდაბლით.

**ამაღლმბაი:** რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

მღღელმან: მშვიდობად ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა...

დიაკონმან: თავნი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ.

ერმან: შენ უფალო.

**მღღელმან მსე ლოცვაი წართქუას:**

შენდა მოუდრეკიან შენთა მონათა და მხევალთა ქედნი გულთა მათთანი და მოელიან შენ-

მიერსა დიდსა წყალობასა სიმდიდრისა შენისასა. შენმიერი სულიერი კურთხევად მოავლინე უფალო და განწმიდენ სულნი ჩუენნი დასაფშუენველნი და ხორცი, რადთა ღირს ვიქმნეთ ზიარებად უხრწნელთა შენთა საიდუმლოთა მოსატევეებელად ცოდვათა ჩუენთა და გზად ცხორებისა საუკუნოისა.

**ამაღლმბაი:** რამეთუ შენ ხარ თაყუანისსაცემელ და დიდებულ ღმერთი ჩუენი და მხოლოდმობილი ძე შენი, ყოვლადწმიდად სული შენი, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

**მღღელმან:** იყავნ მადლი წმიდისა და ერთარსისა, თაყუანისსაცემელისა სამებისა წმიდისად თქუენ ყოველთა თანა.

ერმან: სულისა შენისა თანა.

დიაკონმან: მიხედეთ.

მღღელმან ესე ლოცვად წართქუას: წმიდაო, რომელი წმიდათა შინა განისუენებ, უფალო განწმიდენ სულნი ჩუენნი სიტყვითა მადლისა შენისადთა, რადთა დაენერგოს ყოვლადწმიდა სული შენი. შენ სთქუ წმიდა იყვინით, რამეთუ წმიდა ხარ გამოუთქმელო ღმერთო, სიტყუაო მამისაო და სულისა წმიდისა თანაარსო, თანამყოფო, თანამთავარო, შეიწირე ჩემ-მიერი გალობად წმიდისა და უსისხლოისა მსხუერპლისად ქერუბინთა და სერაბინთა თანა დაუცხრომელი გალობად ჩემ ცოდვილისა და უხმარისა მონისად ღალადებითი სიტყუად.

**ამაღლმბაი:** წმიდაი წმიდათა.

ერმან: ერთ არს წმიდად, ერთ არს უფალი-იესუ ქრისტედ სადიდებელად ღმრთისა მამისა სულით წმიდითურთ, რომლისა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

პროსბორაი აღიპყრას მღღელმან და სარწმუნოებაი წართქუას.

ერმან: კვირიელეისონი იბ.

სევეი განტეხოს და ბარძიმსა შთაყოს. ჯუარი დასწეროს მით სისხლსა ზედა და თქუას:

შეიყოფვის ხორცი და სისხლი ქრისტემდსი სახელითა მამისადთა, ძისადთა და სულისა წმიდისადთა. კურთხეულ არს მამად, კურთხეულ არს ძედ, კურთხეულ არს სული წმიდად. ყოველი სული და ყოველი დაბადებული აქებდით უფალსა. ალილუიად.

**ლოცვად განაწილმბისად, თქმული წმიდისა ათანასი მთავარ ეპისკოპოსისად:** უფალო ღმერთო კაცთმოყუარეო და მხსნელო, იესუ ქრისტე, ძეო

ღმრთისა ცხოველისაო, რომელი გამოშინდი მაცხოვრად ჩუენდა და განანათლე ყოველი სოფელი დიდ-დიდნი საკვირველებანი და მოწყალეები ჩუენ ჩუენდა მომართ, რადთა სრულიად განგუათავისუფლენ ჩუენ მონებისაგან სიკუდილისა, წმიდად ეგე და უბიწოდ კრავი ღმრთისად კაცობრივითა ბუნებითა გამოშინდი ჩუენტუის, ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარე პატიოსნითა მაგით ხორციითა და სისხლითა შენითა. მართალი ეგე ვითარცა ძვირისმოქმედი ავაზაკთა შორის ჯუარს ეცვ. ჰე უფალო, უპირატედს ჯუარცმისა შენისა, მიილე პური წმიდათა უბიწოთა ხელთა შენთა, აკურთხე და მიეც ნეტართა მოწაფეთა შენთა და სთქუ: ესე არს ხორცი ჩემი, და შემდგომად პურის ჭამისა, მიილე სასუმელი იგი წმიდათა და უბიწოთა ხელთა შენთა, განზავებული ღვინითა და წყლითა, აკურთხე და მიეც მათვე, ნეტართა მოწაფეთა შენთა და სთქუ: ესე არს სისხლი ჩემი, ამას ჰყოფდით ჩემდა მოსახსენებლად: რავდენგზის შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა ძისა კაცისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს. და აწ მოვიხსენებთ კურთხევასა მას და მცნებასა შენსა, ხოლო მე უკუეთუმცა მქონდა სირცხვილი იგი სულიერადი ძვირ-ძვირად შეცოდებათა და საძაგელებათა, ჩემთაგან ზეახილვად არა ღირს ვარ, არამედ შენ მხოლოდსა მიმართ აღსარებით ვიტყვი: შეგცოდე უფალო, უფალო და უშჯულოებანი ჩემნი მე უწყნი, ვითარმედ უღირსად და წარმდებად ვიკადრებ მიახლებად გამოუთქმელსა ამას საიდუმლოსა პატიოსანსა ხორცსა და ჭემმარიტსა სისხლსა შენსა, არამედ სარწმუნოებით სასოებად მაქუს მიუწლომელსა მაგას მოწყალეებასა და კაცთმოყუარებასა შენსა, და ვითხოვთ შენგან უფალო, უფალო ჩუენო იესუ ქრისტე, მილხინე მე უფალო, მილხინე და უღირსად წარმდებებისა ჩემისათვის ნუ დამშჯი მე, არამედ წმიდად ჭემმარიტი ესე პატიოსანი ხორცი და სისხლი შენი მექმენ მე განმძარცველ ცოდვათა, აღმზოცელ ურჩულოებათა ჩემთა, განმანათლებელ თუალთა გონებისა ჩემისათა, რადთა განვიწმინდნე მე ცოდვისაგან დიდისა და არაწმიდებისა დაყოვლადვე მეშინოდის მე შენდა ვივლტოდი ყოვლისაგან ცოდვისა და უმეტეისად მსუროდის პატიოსნისა ამის ხორცისა და სისხლისა შენისა და მარადის გულს ვეტყოდი სასუფეველისა ცათადსა, რამეთუ შენი არს სუფევად, ძალი და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ღიაკონმან თქუას: მშვიდობით ქრისტედსითა ვგალობდეთ: განიცადესა იტყოდეს.

**ლოცვაჲ, რაჟამს მღვდელი თჳითი ეზიარებოდის:**

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, გამოუთქმელო სამებაო, მომეც მოღებად ხორცი ესე და სისხლი საცხორებელად და ნუ დასაშჯელად, არამედ მომეც მე საყოფად სათნოდ, რადთა სათნოდ შენდა გამოვჩნდე და ვცხოვნდებოდი ყოფითა მცნებათა შენთადთა და კადნიერად ვხადოდი შენ ღმერთსა და მამასა, ვხადოდი სახელსა შენსა დანებასა შენსა. წმიდა იყავნ სახელი შენი ჩემზედა, უფალო, რამეთუ ძლიერ ხარ და ქებულ და დიდებულ. წმიდა არს სახელი შენი მამისა და ძისა და წმიდისა სულისად, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ზიარებასა მკისკოპოსისასა:**

ჭემმარიტი ხორცი და სისხლი ძისა ღმრთისად და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტედსი მიგეცემის მღვდელთმთავარსა ქრისტედს ღმრთისა ჩუენისასა დაცვად შენისა მთავრობისა სიწმიდით და სიმართლით მოსატევეებლად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ.

**მღვდლისათჳის:**

ხორცი და სისხლი ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტედსი, ძისა ღმრთისად მოგეცემის მღვდელსა ქრისტედს ღმრთისა ჩუენისასა მისატევეებლად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ.

**ღიაკონისათჳის:**

ხორცი და სისხლი პატიოსანი ქრისტედს ჩუენისად რომელ თქუა: სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი, მოგეცემის დაცვად შენისა ღიაკონობისა სიწმიდით, მოსატევეებლად ცოდვათა და ცხორებად საუკუნოდ.

და ოდეს გარდამოჰყუანდეს ბარძიმი ზიარებად, ჯუარი დასწეროს და მშვიდობაი მისცეს და თქუას:

აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო, მეუფეო ჩემო.

და ოდეს ეზიარებიან, ღიაკონმან თქუას: შიშითა ქრისტედსითა მოვიდოდეთ.

ერმან: წინაშე შენსა, უფალო.

და ვითარცა ეზიარენ, ღიაკონმან თქუას: კვირიელეისონ.

მღვდელი ამას იტყოდის:

მაღალ ხარ ცათა შინა ღმერთი და ყოველსა ქუეყანასა ზედა.

მღვდელმან ჯუარი დასწეროს და თქუას:

ალივსო პირი ჩუენი ქებითა,რადთა უგალობ-  
დეთ.

შემდგომად ზიარებისა დიაკონმან კუერექსყოს.  
ესე წართქუას:

აღემართენით რომელთა მოვიდეთ წმიდად  
ესე და დიდებული ზეცისა უხრწნელი ცხოვ-  
ელსმყოფელი საიდუმლოდ უფლისა ღმრთისა  
ჩუენისა იესუ ქრისტედისი, ყოველთა უფალსა,  
ღმერთსა მადლი მივსცეთ.

ერმან: გმადლობთ, შენ უფალო, რომელთა  
გუექმნა ჩუენ მოსაღებელი ესე წმიდად საცხოვრ-  
ებლად ჩუენდა, მტერისა ჩუენისა დასათრგუნვე-  
ლად, მოსატევებელად ცოდვათა ჩუენთა, შეწყნ-  
არებითა სულისა წმიდისადათა, ყოველთა ერთო-  
ბით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ერმან: კვირიელეისონ.

ყოვლადწმიდაი, დიდებული, კურთხეული,  
უხრწნელი,სანატრელი დედუფალი ღმრთისმშო-  
ბელი...

ერმან: შენ უფალო.

**მღვდელმან ესე ლოცვაი წართქუას:**

ღმერთო, რომელი მრავლითა მოწყალებითა  
შენითა შეუნდობ უძღურებასა მონათა შენ-  
თასა და ღირს მყუენ ჩუენ მოღებად ზეცისა  
საკურთხეველისაგან,ნუ დამშჯი ჩუენ ცოდვილთა  
ამათ მოღებითა ამათ უხრწნელთა საიდუმლოთა  
შენთადათა, არამედ დაგვიცვენ ჩუენ, უფალო სახ-  
იერო სიწმიდესა შენსა და სიმართლესა,რადთა  
ღირს და ზიარ ვიქმნეთ სულისა შენისა წმიდისა  
და ვპოოთ ნაწილი და სამკვიდრებელი და მადლი  
ყოველთა თანა წმიდათა შენთა ნათელსა პირისა  
შენისასა მოწყალებითა და კაცთმოყუარებითა  
ქრისტედს შენისადათა, რომლისა თანა შენდა  
დიდებად შეუენის სულით წმიდითურთ აწ და  
მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**ამაღლქუასი:** რამეთუ კურთხეულ, წმიდა  
და დიდებულ არს ყოვლადპატიოსანი და დიდად  
შუენიერი სახელი შენი, მამისა და ძისა და  
წმიდისა სულისადა,აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე.

ერმან: ამინ.

მღვდელმან: მშვიდობად ყოველთა.

ერმან: სულისა შენისა თანა..

დიაკონმან: თავნი ჩუენნი უფალსა მოუ-  
დრიკნეთ.

ერმან: შენ უფალო.

**მღვდელმან ესე ლოცვაი წართქუას:**

ღმერთო რომელი დიდ ხარ და საკვირველ, მო-  
გუხედენ მონათა შენთა,რამეთუ შენდა მოგვი-  
დრეკიან თავნი ჩუენნი. მოყავ ცხოვრებისათვის  
ნათესავისა კაცთადასა ძლიერი ხელი შენი და  
მკლავი შენი მადალი, რომელი სავსე არს  
კურთხევითა. აკურთხე ერი შენი,დაიცევ სამკვი-  
დრებელი შენი,რადთა ყოველსა ჟამსა გაკურთხ-  
ევდეთ შენ მხოლოსა ცხოველსა ღმერთსა  
ჭეშმარიტსა, წმიდასა სამებასა ერთარსებასა.

**ამაღლქუასი:** რამეთუ შენდა შეუენის  
ყოველივე დიდებისა შეწირვად, პატივი და  
თაყუანისცემად, მამისა და ძისა და წმიდისა  
სულისადა, აწ და მარადის და უკუნითი უკუ-  
ნისამდე.

ერმან: ამინ.

დიაკონმან: მშვიდობითა ქრისტედსითა და-  
ვიცვნეთ.

ერმან: სახელითა უფლისადათა უფალო  
გვაკურთხენ.

და ერი განუტეონ. შემდგომად ჟამისა გან-  
ტევეებისა საღიაკონოდ შევიდენ. დიაკონმან  
კვერექსყოს.

**მღვდელმან ესე ლოცვაი წართქუას:**

რამეთუ მომეც ჩუენ უფალო სიწმიდედ და  
ნაწილი წმიდისა ხორცისა და პატიოსნისა სისხ-  
ლისა ქრისტედს შენისადა,მომეც ჩუენ მადლიცა  
სულისა წმიდისა შენისადა, დაგვიცვენ ჩუენ  
უბიწონი სარწმუნოებითა, გვიძლოდე ყოველთა  
სრულებისა მიწვენად და მერმესა მას საუკუნესა  
განსუენებად, მადლითა და წყალობითა და კაცთ-  
მოყუარებითა ქრისტედს შენისადათა, რომლისა  
თანა შენდა დიდებად შეუენის სულით წმიდითურთ,  
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ლოცვაი სიწმიდისა აპრამისადა:**

გმადლობთ, შენ უფალო, ნათლისა სამა-  
რადისოდსა ნიჭთა მომცემელო, სულთა მოღუ-  
აწყო, წმიდათა წინამძღუარო. მომეცნ ჩუენ  
თუალნი გონიერნი, რადთა შენ გხედვიდეთ და  
ყურნი მსმენელნი შენ მხოლოდსა მიმართ, რადთა  
ალივსოს მადლითა შენითა სული ჩუენი და  
გული წმიდად დაამტკიცე ჩუენ შორის, ღმერთო,  
რადთა სიმდიდრესა შენსა ვიყვნეთ დამტკიცებულ  
საკვირველისა და კაცთმოყუარისა ღმრთისა.  
განაშუენენ სულნი ჩუენნი და გონებანი ჩუენნი,  
დაგუაწყნარენ უქცეველად ჩუენ მონანი შენნი,  
რომელნი გმადლობთ შენ, რამეთუ კურთხეულ  
არს სუფევად შენი,მამისა და ძისა და წმიდისა  
სულისადა, აწ და მარადის და უკუნითი უკუ-  
ნისამდე. ამინ.



## მ ე ც ნ ი ე რ ე ზ ა

მერაბ მიქელაძე,

ანთროპოლოგიის დოქტორი

### ქართული მარანი – სამოთხის მიწიერი სატემა

ქართული მარანი, საბას მიხედვით, „საღვინე სახლია“<sup>1</sup> და მას ღვინის დაყენებისა და შენახვის ფუნქციასთან ერთად, რა თქმა უნდა, თავად ღვინის ღვთაებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ოდითგანვე საკრალურ-რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. მარნის რელიგიური წვდომისთვის, უწინარესად, ამ სიტყვის ენობრივი ასპექტია ყურადსაღები.

ქართულ მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება „მარანი“ ზმნიდან – „და-მარხვა“ წარმომდგარად მიიჩნეონ. მარანსვე უკავშირებენ ძველქართულ „მარ“-ს, რომელსაც ჭურჭლის, საწყაოს მნიშვნელობა აქვს და ამავე ძირიდან წარმოქმნილად მიიჩნევენ – „სამარეს“, სწორედ დამარხვის, საფლავის მნიშვნელობით<sup>2</sup>. მარნისა და „მარ“ ფუძის ინტერპრეტაციისათვის ასევე ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „მარე“<sup>3</sup> სვანურად კაცს ნიშნავს. ეს კი გვახსენებს, რომ მეღვინეობა პრიორიტეტულად მამაკაცთა ხელობას წარმოადგენდა, რაც თავის მხრივ, ქართველთა სოლარულ რწმენა-წარმოდგენებს უნდა უკავშირდებოდეს და არა მხოლოდ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. მარნის ეს მამაკაცური ასპექტი დასტურდება ქართულ ენაში ღვინის შესანახი ადგილის სხვა სახელწოდებითაც – სავაჟინე<sup>4</sup>. აღნიშნული გარემოება უნდა იხსნებოდეს იმითაც, რომ ხალხური რწმენით, ვაჟის კულტი მზის ცხოველმყოფელ ძალას უკავშირდება<sup>5</sup>, ისევე როგორც მამაკაცია ხატება მზისა. გავიხსენოთ, ქართულ საძეობო პოეზიაში ვაჟის დაბადების მზესთან გაიგივება: „*მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდით, ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზევ, შინ შემოდით*“<sup>6</sup>.

მარანში თავჩენილი „მარ“ მარცვლის სემანტიკური ასპექტები მრავლისმთქმელი

უნდა იყოს მარნის რელიგიური ფუნქციისა და შინაარსის გამოვლენისათვის. დავით ჭითანავა, რომელიც საგანგებოდ ეხება ქართული სამარხებისა და სამაროვნების ლინგვისტურსა თუ სემანტიკურ ანალიზს, საგულისხმოდ შენიშნავს, რომ თიხის ქვევრი ასოცირდება ქალურ საწყისთან, ხოლო დაკრძალვა მარებში, რომლებშიც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში ბავშვები იკრძალებოდნენ, ნაყოფიერების კულტს ემსახურება, შესაბამისად, ქვევრში დაკრძალვა, რომელიც საშოს ალეგორიაა, სიცოცხლის აღორძინებისა და აღდგენა-განახლების იდეას უნდა განასახიერებდეს<sup>7</sup>. ვინაიდან ქვევრ-სამარხები თავდაპირველად გარდაცვლილი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, „მარ“ ფუძე შეიძლება თავს იჩენდეს ბარტყის მნიშვნელობით ნახმარ მართვეში – თუმცა, ავტორისვე მოსაზრებით, სიტყვა „მარი“ უფრო ინდოევროპული წარმოშობის უნდა იყოს და შეწირულის, მსხვერპლად მიტანისა თუ დაკრძალვის კონტექსტში, ბერძნული წარმოშობის „მარტილს“ უნდა ენათესავებოდეს<sup>8</sup>. მამაკაცის აღმნიშვნელი სვანური „მარ“ ფუძის მარანში გაჩენას, დასახელებული ნაშრომის ავტორი იმით ხსნის, რომ შემდგომში, მარებში შესაძლოა იკრძალებოდნენ ზრდასრული ადამიანებიც, უფრო კი მევენახეები, როგორც მეურნეობის ამ მთავარი დარგის მესვეურები. დბოლოს, „მარი თავისი რელიგიური მნიშვნელობით მუდმივობას აღნიშნავს, რაც მიცვალებულის მიმართ რწმენის გამოხატულებაა და ის ჩანს ქართულ „სამარადისო“, „მარადის“, „მარადიულის“, „მარად“ და მის მსგავს სიტყვებში“<sup>9</sup>.

„მარ“ ფუძის სემანტიკური განხილვისას, თუკი მხედველობაში მივიღებთ ვაჟისა და მზის მითო-რელიგიურ კავშირს,



საყურადღებო უნდა იყოს ნ. მარის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ხელის მნიშვნელობით ნახმარ ქართულ მარჯვენაში და მარცხენაში, საკულტო დატვირთვა აქვს *mar* მარცვალს და ხელის მზიურ-გამანაყოფიერებელი, საკულტო-ტოტემური სემანტიკიდან გამომდინარე, ის უკავშირდება უფლის მნიშვნელობით ნახმარ საერთო იაფეტურ „*bar*“-ს. ავტორის მოსაზრებით, ხალღური წარწერების „*mar*“ ფუძის ენობრივი ვარიანტია – *bar*, რომელიც შენახულია ხალღური პანთეონის ერთ-ერთი ღვთაების სახელში – *Ba+g-bar+tu*.<sup>10</sup> „მარ“-ის მზიურ კონტექსტში გააზრებას მხარს უმაგრებს ისიც, რომ ‘მზეს ორსავე აბსაზურში *mará* მარა ჰრქმევია’.<sup>11</sup> შესაძლოა, „მარ“ მარცვლის ამ მზიურ-გამანაყოფიერებელი ასპექტით იყოს განპირობებული ისიც, რომ ქართულ ენაში მტევანი შეიძლება ერთდროულად ნიშნავდეს ხელსაც და ვაზის, ყურძნის ნაყოფსაც.

თუკი „მარ“ ფუძეს არაერთმნიშვნელოვანი რელიგიური დატვირთვა აქვს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარნის ბოლოსართი – „ანიც“ შეიძლება ასევე რელიგიური კონოტაციის შემცველი იყოს და გულისხმობდეს „ცას“, როგორც ქართული ასომთავრულის პირველი იდეოგრამა-აკროფონი<sup>12</sup>. ღვინის ღვთაებრივ-ევქარისტული ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება „მარანი“ ღვთაებრივს ნაზიარევი, განდმრთობილი, „ციური კაცის“ მნიშვნელობითაც გავიზროთ, ვინაიდან ქართულ მითსა და ფოლკლორში მარნის მითოსური აღქმა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სამოთხესთან მისი გაიგივებით ხდება. რელიგიური დატვირთვის მქონე „მარ“ მარცვალს რომ რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს „ცასთან“, ამას მოწმობს თუნდაც ქართული გამოთქმა: „ცისმარე დღე“, რომელიც სწორედ „მარადღეს“, ანუ მარადისობას გულისხმობს და ძალაუნებურად წილნაყარია სამოთხის ცნებასთან. ამრიგად, ერთგვარ ეჭვს ბადებს ისიც, რომ ქართული მარნის არქეტიპი მაინცდამაინც ბერძნული „მარტვილი“ ყოფილიყოს, მით უმეტეს, რომ რელიგიური თვალსაზრისით, „მარ“ ფუძე ერთმანეთის მონათესავე ცნებებს შეიძლება გამოხატავდეს სწორედ მევენახეობასთან დაკავშირებულ მითო-

რელიგიურ სისტემაში, რომელსაც ანალოგი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში თუ კულტურებში ძნელად თუ მოეპოვება.

„მარ“ ფუძის პერსონიფიცირებასთან დაკავშირებით, ასევე საგულისხმოა მოსაზრება მარნისა და ქართველთა ღვთაებრივ-მზიური გმირის, ამირანის შესაძლო მითო-ენობრივი სიახლოვის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ამირანი, ზოგიერთი თქმულების მიხედვით, პურისა და ღვინის მომცემი ღვთაებაცაა და მოიხსენიება, როგორც ღვინისფერი: „*ამირანო, მშვენიერო, წითელო და ღვინისფერო*“<sup>13</sup>. აქვე გავიხსენოთ რომაელთა ომის ღვთაება მარსი, თავდაპირველად ნაყოფიერებისა და ბუნების ძალთა აღორძინების ხტონური ღვთაება,<sup>14</sup> სავარაუდოდ, ნასესხები ეტრუსკული *maris-*ის კულტისგან, რომელიც, თავის მხრივ, ხმელთაშუაზღვისპირეთის წინაბერძნული, ავტონთონური მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღვთაებას წარმოადგენდა.<sup>15</sup>

შეიძლება ითქვას, რომ „მარ“ ფუძის მარადისობასთან, ნაყოფიერებასთან თუ კვდომა-აღორძინებასთან კავშირი ერთგვარად ისახება ქართული მარნის სამოთხისეულ ხატებაში, რომელიც თვალნათლივ ვლინდება ერთ ქართლ-კახურ საწესო სიმღერაში, მარნის შუაგულში საკრალური „აღვის ხის“ ამოსვლით: „*ავუნდის მარანშია შივ ღვინო და ლალი ბჭვისო, შივ აღვის ხე ამოსულა, ნორჩია და შტოსა შლისო, ზედ ბულბული შემომჯდარა, გასაფრენად ფრთასა შლისო*“<sup>16</sup>. მარანში ამოსულ აღვის ხეს, რომ ღვთაებრივ-სამოთხისეული დატვირთვა აქვს და ვაზს უნდა გულისხმობდეს, ამასვე მოწმობს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული კიდევ ერთი საწესო სიმღერა, სადაც საკრალური „აღვის ხე“ „ღვთის კარზე“ ამოსული ვაზია, რომლის ნაყოფის უჭმელობაც ახალგაზრდა წყვილს სიკვდილს უქადის: „*ჩვენი ხთისშვილის კარზედა ხე აღვა ამოსულაო, წვერად მაუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამოსულაო, მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო*“<sup>17</sup>.

ზემომოტანილ საწესო სიმღერაში გამოვლენილი ვაზისა და „ღვთის კარის“ ურთიერთმიმართების გასაღები შესაძლოა შენახული უნდა იყოს თავად სიტყვაში – ღვინო, რომლის პირველი ასო-ნიშანი ღანი, რომლითაც თავად ღმერთის სახელი იწყება, ქართული ასომთავრულის ერთ-ერთი იდეოგრამა-

აკროფონია და სწორედ „ღვთის კარს“, „უხილავი ღმერთის სამყოფელს“ ნიშნავს<sup>18</sup>. ექვთარისტული ბუნების ღვინო ხომ მართლაც უხილავი ღმერთის სამყოფელია. ენობრივ ასპექტზე საუბრისას, მხედველობაშია მისაღები ‘ღვინოსთან’ ახლოს მდგომი „ღვივილი“, რომელიც ცეცხლოვანებას, გაფუფუნებას, გაღვივებას ნიშნავს, რაც გარკვეულწილად ქვევრში ღვინის დაყენების პროცესს ესატყვისება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ასო-ნიშანი „ღანი“ ხშირად ცეცხლის, მხურვალეების გამომხატველ სიტყვებში გვხვდება: ღადარი, ნაღვერდალი, ღუმელი, ღველფი და სხვ. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებითაც, რომ მზიურ-ცეცხლოვანია ასომთავრულ „ღანში“ გაცხადებული „ღვთის კარი“. სწორედ ასეთი კარის დატვირთვა აქვს სამყაროს იმაგინაციურ ცენტრად მიჩნეულ ქართულ კერას, რომლის საკრალურობაც, ქართულ მითოლოგიაში, იქ ამოსული, გველშემოხვეული იფნის ხით ვლინდება. ასეთი ადგილი უკვე ხატის, ჯვარის დაჭერილი იყო და იქ მაცხოვრებელ ოჯახს, ღვთის სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, თავისი კერა უპირობოდ უნდა მიეტოვებინა<sup>19</sup>. კერაში ამოსული იფანი იგივე სამოთხისეული „სიცოცხლის ხეა“ – სამყაროს ღერძად მიჩნეული და სკნელთა მაკავშირებელი. ის ღვთის კარზე ამოსული „ალვის ხის“, იგივე ვაზის ანალოგიაა. ნათქვამის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ტრადიციული ქართული მარნის ინტერიერში ბუნრის გაჩენაც, რომელსაც ფუნქციურ დატვირთვაზე მეტად (ბუნხარს, როგორც გასათბობ საშუალებას ქართულ მარანში პრაქტიკულად არ იყენებენ<sup>20</sup>), სწორედ მითოსური დატვირთვა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ცეცხლის შესანახი ალაგია და ამდენად, სამყაროს წარმოსახვით ცენტრად მიჩნეული, ღვთაებრივი კერის ჩამანაცვლებელიც. საფიქრებელია, მზიურობისა და ცეცხლოვანების აღმნიშვნელი „ალი“ დავინახოთ თავად საკრალურ „ალვის“ ხეშიც, რომელიც ვაზთან ერთად, ასევე შეიძლება ყოფილიყო მარადმწვანე, მირონმდინარე კვიპაროსიც: „ქრისტიანობის წესზედა კარს ედგეს ალვის ხენია, ზეციდან გადმოშობილი შიბი ცხრა-კეცი გრძელია, მაგას ჩამოსდის მირონი, ძირს უდგა დიდი ქვევრია“.<sup>21</sup> ძველადმოსავლური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, კვიპაროსი სიკვდილ-

სიცოცხლის ციკლის მომცველი, სწორედ მარადისობასთან დაკავშირებული მზიური ხეა, რომელსაც ხშირად სასაფლაოზეც რვაგუნენ<sup>22</sup>. მზიურ-გამანაყოფიერებელი ასპექტით, ის პარალელს პოულობს საკრალური ხის იმ სოლარულ ფუნქციებთან, რომელიც კვდომა-აღორძინების ადრესაგაზაფხულო ღვთაათა ქართულ ციკლში ვლინდება<sup>23</sup>. კვიპაროსის მზიური ასპექტი ზემომოყვანილ საწესო ლექსში შეიძლება იმითაც მტკიცდებოდეს, რომ ზეცისა და მიწის დამაკავშირებელი შიბი, რომელიც საკულტო ხის სახითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, სწორედ ცხრა-კეცია და ამ საკრალური ციფრითაც ის ქართულ ცხრათვალა მზეს ენათესავება. დაბოლოს, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ერთგვარად ლოგიკურ ახსნას პოულობს ისიც, თუ რატომ შეიძლება ასევე ამოვიკითხოთ ქართული მარნის, „მარ“ ფუძეში, გაზაფხულთან და ბუნების ძალთა აღორძინებასთან დაკავშირებული, ეტრუსკულ-რომაული მარსი-მარისის სახელიც.

ვინაიდან გამოიკვეთა მარნის „მზიური“ ხასიათი, გავიხსენოთ, რომ ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით, საწესო ლექსში მოყვანილი „იაგუნდის მარანი“, დიდი დედის – ნანას და მისი თანმხლები ღვთაებების – ბატონების, სამყოფელი – „მზის ბალი“, სადაც ია-ვარდი და თუთის ხეები ხარობს.<sup>24</sup> ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს საწესო სიმღერის ერთი ფრაგმენტიც: „ისა და ვარდის ბაღში ბატონები ბრძანდებიან, ბატონებსა სუფრა ნებავთ გარშემო ძლიერ მორწყული“. აქ ნახსენებ „ბაღში“, ვ. ბარდაველიძე, ღია, საზაფხულო მარანს ხედავს, რომელიც ქართველთათვის სტუმრის მიღების საპატიო ადგილად ითვლებოდა.<sup>25</sup> ვნახოთ, როგორია დიდი დედის „მზის ბალი“ და რა მითო-რელიგიური სახეებითაა ის დატვირთული: „ლეგენდებში ამ სამეფოს „ბატონების ქვეყანა“ ეწოდება, ნანასადმი მიძღვნილ სასიმღერო ვარიანტებში – „ბატონების ბალი“, ხოლო ზღაპრებში – „მზის ბალი“. ამ უკანასკნელი ტერმინით ნაგულისხმებია ღვთაებრივი ოჯახის ბალი, რომელიც ერთი კახური ზღაპრის მიხედვით, სამი თაობის წარმომადგენლებისგან შედგება: დღისა და ღამის მნათობთა დედისგან (მზისა და მთვარის დედა), მზისგან, მთვარისგან და მზის სამი ქალისგან (სამი მზის ქალი); გარდა

ამისა, მათთან იმყოფებიან მეხისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება – ელია, მგელი და „ოქროს ცხვარი“ (ოქროს ვერძი/ოქროს ერკემალი). „მზის ბაღში“ ერთდროულად ზოგი მცენარე ახლად აყვავებულია, ზოგს ნაყოფი უკვე სცვივა და ზოგს კი მწიფე ნაყოფი ჰკიდია (ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა).<sup>26</sup>

მარნის მითოსური არქეტიპი, დიდი დედის „მზის ბაღი“ იმითაცაა საგულისხმო, რომ იქ მოწეული ნაყოფი, „ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა“. ამ ნიუანსით მითითებულია ბაღის სამოთხისეული, მარადიული ასპექტი, დროის „მუდმივობა“, რაც გადმოიცა წელიწადის ოთხივე დროისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებათა ერთობლიობით და რაც ერთგვარად ახსნას უძებნის საკრალური დატვირთვის მქონე „მარ“ ფუძის გამოვლენას როგორც „მარანში“, ასევე სამოთხისეული დატვირთვის მქონე – „მარადისობაში“. „მზის ბაღში“ გამოვლენილი სამი თაობის კოსმიური კავშირიც ამ მარადისობის კიდევ ერთი, თვალნათელი სურათ-ხატია.

ახლა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ქაოსიდან კოსმოსის დაბადებას განასახიერებს გველზე შემჯდარი მზე, რომელიც ზესკნელ-ქვესკნელის წყალთა შორის მოძრაობის



1. ქვევრის ტიპის ჭურჭელი.  
თრიალეთის კულტურა. ძვ.წ. XVIII-XVII ს.ს.  
ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი.

აუცილებელ ციკლს ასრულებს. ქვესკნელში მზეს ყლაპავს ღამეული წყლების გამგებელი გველეშაპი, რომლის ხახასაც მზე მხოლოდ დილით აღწევს თავს, რათა ცაზე გამობრწყინდეს.<sup>27</sup> სწორედ ეს მოტივი უნდა ჩანდეს თრიალეთის კულტურაში. მხედველობაში გვაქვს ქვევრის ტიპის საკმაოდ მოზრდილი ჭურჭელი, რომელსაც გარშემო წყლის კლაკნილი ზოლი არტყია, ხოლო მის ხვეულებში ზის დისკოები, მზის გამოსახულებებით (ფოტო №1). აქაც იკვეთება წარმოდგენა კოსმოსური წყლებით გარემოცულ სამყაროზე, რომელსაც გარს უვლის მზე.<sup>28</sup> ამრიგად, ქართული მითოსური მზე სიკვდილ-სიცოცხლის ციკლის მომცველია და შესაბამისად, ბუნების ძალთა აღორძინებისა და ადრესაგაზაფხულო ხალხურ დღეობათა წარმმართველიც<sup>29</sup>. ვინაიდან ჩვენი საუბარი მარნის მზიურ ბუნებას ეხება, ამავე კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ თეთრი ყურძნის შემთხვევაში, ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ, ხოლო ღვინის კარგად შენახვის მიზნით, ქვევრის თავსახურავს დამატებით თიხამიწით ან ტალახით გოზავდნენ. შესაბამისად, მარანში ღვინის „დაფვლა“ და მისი ადრესაგაზაფხულზე „დაბადება“, სწორედ მზის წრე-ბრუნვასთან და კვდომა-აღორძინებასთან დაკავშირებულ ხალხურ დღესასწაულებსა (ბერიკაობის ციკლი) და ღვინის რიტუალებს ემთხვეოდა.

აღსანიშნავია, რომ ღვინოსთან და ვახთან დაკავშირებული საკულტო თუ ყოფითი მატერიალური ძეგლი ხშირად შემკულია, როგორც მზის ასტრალური სიმბოლიკით, ასევე წყლის აღმნიშვნელი ზიგზაგისებური ან გველისებური გამოსახულებებით (აქვე გავიხსენოთ ქორწილი კანაში, ანუ უფლის მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევის სასწაული) და აგრეთვე იმ ზოომორფული სიმბოლოებით, რომლებიც სოლარულ ციკლში არიან მოქცეულნი და გამანაყოფიერებელი ძალით არიან დაჯილდოვებულნი (ხარის, თხის, ვერძის, მგელ-ძაღლის, გველის, თევზის გამოსახულებანი). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს სამთავროს სამაროვანში ნაპოვნი სარტყლის (ფოტო №2) მთლიანი სიუჟეტი, რომელიც სოლარულ-გამანაყოფიერებელი ელემენტებითაა წარმოდგენილი: მზის სიმბოლოს თან ახლავს წყლის ტალღოვანი დეკორი, რომელიც გარშემო



გასდევს მთელ სარტყელს, ცენტრალურ ნაწილს კი, „მოქეიფე წყვილი“ ამშვენებს. გარშემო მრავლადაა წყალთან და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ზომორფული სიმბოლიკაც. არაა შემთხვევითი თევზის სიმბოლოც, ვინაიდან ადრე გაზაფხულზე, ნაყოფიერებისა და გამრავლების მიზნით, გურიაში ჭურის თავზე კალმახის შეწირვა იცოდნენ<sup>30</sup>.

აღსანიშნავია, რომ დიდი დედის – ნანას „მზის ბაღში“ ჭექა-ქუხილის ღვთაება ელიაც ბინადრობს. ჭექა-ქუხილი კი, როგორც წყლისა და ცეცხლის კავშირი, პირდაპირ სიანხლოვეს უნდა ავლენდეს კოსმიური წყლებიდან „მზის დაბადების“ მითოლოგიამასთან<sup>31</sup>. წყალში

არწივის მზიური ბუნება უნდა ვლინდებოდეს იმაშიც, რომ ეს ღვთაებრივი ნიშნების მქონე ფრინველი, ძველი სპარსული გადმოცემის მიხედვით, ვაზის კულტურის შემომტანადაც ითვლება. არსებობს მოსაზრება აღნიშნული თქმულება ძველურარტული სამყაროდან მომდინარეობდეს<sup>35</sup>. ნათქვამის გათვალისწინებით, მარანში ჩაბუდებული „მარ“ მარცვალი, ბუნებრივია, ამოვიკითხოთ ასევე სიტყვაში – მართვე, რომელიც უწინარესად, სწორედ არწივის ბარტყს აღნიშნავს. შესაძლოა, ამავე ფუძიდან მომდინარეობდეს ისეთი სიტყვები, როგორიცაა, „მართვა“ და „სამართალი“<sup>36</sup>, ვინაიდან თუკი საკითხს ღვთაებრივი კუთხიდან



2. სარიტუალო ბრინჯაოს სარტყელი. სამთავროს სამაროვანი. ძვ.წ. VIII-VII ს.ს.  
ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი.

„გაჩენილი“ ჭექა-ქუხილი იდეურად ენათესავება „შესაქმის“ აქტსაც – ღვთის სიტყვის გამოვლინებით კოსმიურ, ქაოსურ წყლებში სამყაროს დაბადებას<sup>32</sup>. ვინაიდან საკრალურ „აღვის ხეს“ ჩვენ ცეცხლსა და მზეს ვუკავშირებთ, რასაც უნდა ადასტურებდეს მისი კერაში (კერა ამ შემთხვევაში „ღვთაებრივი კარის“ ანალოგია) ამოსვლაც,<sup>33</sup> საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ როდესაც კერაში ამოსულ იფანს კოსმიური წყლების სიმბოლო – გველიც ამოჰყვება ხოლმე, მაშინ ხილულად უნდა ცხადდებოდეს „მზის მისტერია“, რაც იმ ადგილის საკრალიზაციის უპირობო გამოვლინებაა. მითოსური მზის ამ სადღელამისო ციკლთან დაკავშირებით, ასევე ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მოძრაობის ამგვარსავე ციკლს გადიოდა ცის გამგებელი, ფრინველთა მეფე – არწივიც, რომელიც ზესკნელისა და ქვესკნელის დამაკავშირებელი იყო.<sup>34</sup>

შევხედავთ, ლოგიკურია, მართვის სადავეები სწორედ იმას ეპყრას, ვისი გონების თვალის არწივის სიმაღლიდან იმზირება. „მართვას“ და „სიმართლეს“ რომ რაღაც საერთო აქვს მზესთან მოცემული უნდა იყოს უფალ იესო ქრისტეს ცნობილ ეპითეტშიც: „მზე სიმართლისა“.

წარმოდგენილი მსჯელობის ფონზე, საგულისხმოა, გრ. რობაქიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხალხის ბედის მართებულად წარმართვის უფლება სწორედ უფლისგან მომდინარეობს და ის ღვთის რჩეულთა ხვედრია. აქ, ავტორი იხსენებს ერთ მითიურ თქმულებას, როცა დვალთა მთაზე დროდადრო მეფეები იკრიბებოდნენ, რათა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი დაეჭირათ, იმ მიზნით რომ საკუთარი მიწიერი ძალა ციური მაღლით გაენოყიერებინათ და ამგვარად ემართათ ქვეყანა. სხვა გადმოცემით, თამარ მეფეს დვალთა მთაზე კოშკი ჰქონია და იქ სკივრში ესვენა თურმე

მისთვის ციდან ბოძებული ვარსკვლავი. მართვის ეს ღვთაებრივი მადლი გაცხადებულია სიტყვაში – ხელმწიფე, შენიშნავს გრ. რობაქიძე, სადაც მწიფე არა მხოლოდ მადლს, არამედ წვდომასაც, ანუ ღვთაებრივთან ზიარებასაც ნიშნავს; შესაბამისად, ხელმწიფე იგივე მეფე-მღვდელია (სადაც მღვდელი შეიძლება მომდინარეობდეს ღუდვადან, რაც ნიშნავს როგორც გარეგან, ისე შინაგან, განღმრთობის წადილით წვას) ანუ ღვთაებრივი ხელდასხმით მმართველი<sup>37</sup>.

ვინაიდან „აღვად ამოსული“ ვაზი ღვთის კარზე მდგარი „სიცოცხლის ხეა“ (ფოტო №3), რომელიც უხილავად აკავშირებს ცასა და მიწას<sup>38</sup> და რომლის წვენიც განღმრთობისა და უკვდავების საწინდარია (მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო), ჯერ კიდევ ქრისტესშობამდე, განღმრთობილი მეფე-



4. გელათის მონასტერი.  
ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი.  
წმინდა დავით აღმაშენებლის  
საქტიტორო გამოსახულება. XVI ს.



3. ანანური. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.  
XVII ს. დასავლეთის ფასადი – ვაზის,  
„სიცოცხლის ხის“ გამოსახულებით.

ქურუმი შესაძლოა, უწინარესად, ღვინით მაზიარებელი პიროვნება ყოფილიყო. მაშინ სვანური მარე, ქართული მარანი და მართვა/სამართალი რელიგიურ სიმბოლოთა ერთიან ჯაჭვში ლოგიკურად ექცევა. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ვაზის სტილიზებული

გამოსახულებითაა შემკული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სამოსელი გელათის ფრესკიდან (ფოტო №4), სამოსელი იმ მეფისა, ვისაც ყველაზე მეტად ესადაგება „ხელმწიფის“ ეპითეტი. ამ ფრესკაზე, დავით მეფე თავადვეა აღვად ამოსული ხე, როგორც სამეფოდ გამზადებული რუსთაველის თინათინი: ‘მოახსენა: გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი’<sup>39</sup>. ხელმწიფის, როგორც ღვთაებრივი ხელდასხმულის საკრალურ ხესთან შედარება მოცემულია შუამდინარულ მითოლოგიაშიც, სადაც შუმერთა მეფე, ურ-ნინურთა, როგორც ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის გარანტი, კოსმიურ ხესთან, რჩეულ კედართანაა გაიგივებული<sup>40</sup>. ნიშანდობლივია, რომ კერაში იფნის ამოსვლის ქართული მისტერია, რომელიც იმ ადგილის საკრალიზაციას მოასწავებს, სწორედ გარიჟრაჟს, მზის ამოსვლას ემთხვევა, როცა წყვდიადიდან კოსმოსი იბადება, ისევე როგორც ზ. კიკნაძის მინიშნებით, შუმერთა მეფე გუდემამ ნინგირსუს ტაძარი მზესავით წყვდიადიდან გამოაბრწყინა.<sup>41</sup> საგულისხმოა

ისიც, რომ ხალხის უზენაესი მმართველის სახე-სიმბოლო საკრალურ ხესთან ერთად, მხესაც ერწყმის. ასე მაგალითად, ქართველთა წინაპრებად მიჩნეული მესხ-ტაბალელი მეფე-ქურუმები საკუთარ თავს, ძალისა და ნაყოფიერების სიმბოლოს, მხეს უდარებდნენ, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მიწაზე „მზის ღმერთის“ ნების აღმსრულებლები იყვნენ.<sup>42</sup>

შემთხვევითი როდია, რომ გრ. რობაქიძის მიერ მოტანილი მეფეთა განდმრთობის მისტერია სრულდებოდა ხოლმე დვალთა მთაზე, ხოლო დვალეთი – საქართველოს ეს ისტორიული მხარე, იგივე თუალეთია, ანუ თვალთა, მზე-ღმერთის ხილული სიმბოლო. სწორედ უფალთან გაიგივებული მზის კანონიკური თვალი ამწიფებს ყურძენს<sup>43</sup>, რომლის წვენიც განდმრთობის, ღვთაებრივი ხედვის უნარს ანიჭებს. მრავალი ყურძენის ჯიშის სახელი საქართველოში ატარებს „თვალს“, როგორც მზის სიმბოლოს: ხარისთვალა, ჩიტისთვალა, ყორნისთვალა, დევისთვალა და ა.შ.<sup>44</sup> ნ. მარის მოსაზრებით, ქართული „თვალი“ ერთდროს აღნიშნავდა „მთვარეს“, „თვეს“ და „თვალსაც“ კი. ავტორი თვალის არქაულ ფორმას – „თოვალს“ სატომო სახელ – „თუბალსაც“ უკავშირებს.<sup>45</sup> ნ. მარის მასალა უდავოდ ანგარიშგასაწევია, ვინაიდან აქ კარგად ჩანს თვალის ასტრალური გააზრების სურათი.<sup>46</sup> აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აგრარული კულტურის მაღალ საფეხურზე მყოფმა ხალხმა შეიძლება ლინგვისტური თვალსაზრისით, ერთმანეთთან დააკავშიროს „მთვარე“, „თვე“ და „თვალს“, ვინაიდან ხვნა-თესვისა და მიწათმოქმედების წარმოებას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება მზისა და მთვარის კალენდრის კარგი ცოდნაც, რაც სწორედ გაანგარიშებასთან, „თვალსთან“ არის დაკავშირებული.

ნათქვამის გათვალისწინებით, „მართვას“, განხილულს რელიგიურ კონტექსტში, საფუძვლად შეიძლება ედოს კოსმიური წესრიგის ერთგვარი აღქმაც, რის გამოც ის ენობრივად და შინაარსობრივად უკავშირდება „მართალსა“ და „სამართალს“, როგორც ღვთისგან დაწესებულს, აუცილებელსა და გარდაუვალს. ამ თვალსაწიერიდან, მართვასვე შეიძლება შინაარსობრივად დავუახლოვოთ თავად სიტყვა – რთველი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, შეიძლება

ძველქართულად ყოფილიყო – მოსთვლა, (იგივე მორთვლა), რაც „თვლას“, ანუ მოსავლის აღებას გულისხმობს და თუ გნებავთ, უფლის მწყალობელ „თვალსაც“, რომელიც ვაზის რქაშია ხილულად გაცხადებული. ამავე ღვთაებრივ კონტექსტში ხომ არ შეიძლება გავიაზროთ შობის მნიშვნელობის მქონე სვანური – „ლითვალ“-ი იგივე „ლითუე“.<sup>47</sup> ამ სვანურ სიტყვაში „ლი“ სვანურისთვის დამახასიათებელი პრეფიქსია, ხოლო „თე“ თვალს ნიშნავს, რომელიც ცხოვრების სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ, თანაც „ლი-თი“ სვანურში მკას ნიშნავს<sup>48</sup> და ამ თვალსაწიერიდან, მკაცა და რთველიც, უფლის მწყალობელი თვალის მატერიალური გამოხატულებაა.

სიტყვა – მორთვა იმასაც გვაფიქრებინებს, რომ რთველი განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში ხდება, რასაც ხელს უწყობს შემოდგომის ბარაქიანობაც. თუკი რთველი ერთგვარად უფლის თვალის, როგორც წყალობის მოწვევაა, ამ საკრალური ელფერის მქონე სიტყვას დავუკავშირებთ რთვასაც, მით უმეტეს, რომ კვირისტავი და ზოგადად, სართავი ატრიბუტიკა სოლარული ღვთაებებისთვის იყო შეწირული<sup>49</sup>. როგორც ცნობილია, თითისტარი ძაფის დართვას სამყაროს ღერძის მოტივთან აერთიანებს<sup>50</sup> და ამ თვალსაზრისით, ის სკნელთა ისეთივე მაკავშირებელია, როგორცაა „სიცოცხლის ხე“ თუ მარად ციკლურად მოძრავი მითოსური მზე. შეიძლება აღნიშნულითაც იყოს განპირობებული ისიც, რომ რთვა და ქსოვა წინასწარმეტყველების, ბედ-იღბლის განმსაზღვრელი და მმართველი ღვთაებების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტად გვევლინება. საინგილოში, ახალი წლის ღამეს, ოჯახის დიასახლისი ართავდა ძაფს, ოჯახის უფროსი კი საუბრით ართობდა მეუღლეს. როდესაც ძაფი დაირთვებოდა, მას ოჯახის ყველა ვაჟს მაჯაზე შეაბამდნენ, რომელიც მათ სამი დღე უნდა ეტარებინათ, ახლად დართულ ძაფს ყველაფერს შეაბამდნენ – ავეჯს, ჭურჭელს, დედაბოძს, რომელიც სამყაროს ხის სტატიკური სიმბოლოა. აღნიშნული რიტუალი ბედობის ციკლშია მოქცეული და შობა-ახალწელს, ზამთრის მზებულობაზე ხდებოდა<sup>51</sup>. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „მზის დაბადება“ უკეთესი ბედის დაბედების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ტერმინები „ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნაც“



ბედის დაფთან კავშირზე მიუთითებს<sup>52</sup>. მზის ცხოველმყოფელი ძალა რომ უხილავად უნდა აკავშირებდეს რთვასაც და რთველსაც, ამაზედ ისიც მოწმობს, რომ მთიულეთში, ზედაშეს, რომელსაც ქართულ ყოფაში ღმერთისთვის შეწირული ღვინის მნიშვნელობა აქვს, უწოდებენ ბამბის ნართს, რომელსაც ეკლესიაზე სამჯერ შემოატარებენ, როგორც ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდ შესაწირავს<sup>53</sup>. ნიშანდობლივია, რომ ნაქსოვის ერთ ყულფს, რგოლსაც თვალი ეწოდება (ჩხირით, ყაისნალით თვალის ამოღება, ამოყვანა ანუ ქსოვა)<sup>54</sup>, ანუ თითქოს ქსოვის პროცესიც, ღვთაებრივი მზის ცხოველმყოფელი ძალით უნდა წარმართოს, რაც შესაძლოა ერთ დროს დაკარგული ღვთაებრივი ნათელის დაბრუნების ქვეშეცნობილი სურვილიც იყოს. რთვა რომ წილნაყარია რთვა/მორთვასთან, ამას გვაფიქრებინებს, ხევსურეთში, ახალგაზრდა ქალების მიერ მატყლის ჩეჩვის რიტუალის საზეიმო, თეატრალური ელფერი. ამ რიტუალს ესწრებიან ნარჩევი ვაჟები, ე.წ. *ცეცხლის-მე ზეები* (ამ სახელწოდებაშიც ჩანს მამაკაცების მზიური ბუნება), რომელთა მოვალეობაცაა ქალებს თავად გაუნაწილონ საჩეჩლად მატყლი და შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში გაამხიარულონ ისინი<sup>55</sup>. დაბოლოს, მზიური ატრიბუტებითაა სწორედ მორთული „სიცოცხლის ხედ“ მიჩნეული, საახალწლო ჩიჩილაკიც, რომელიც სადღესასწაულო დღეების ჩავლის შემდგომ, საპატიო ადგილს მარანში ან ვენახში პოულობდა<sup>56</sup>.

ქართული მარნის სამოთხისეული ხატება მკვლავდება არა მხოლოდ ხალხური ფოლკლორით (მარანში „სიცოცხლის ხის“ ამოსვლის მოტივი), არამედ მისი ხუროთმოძღვრული გააზრებითაც. მართლაც, ვნახოთ როგორია ტრადიციული მარნის ინტერიერი, რომლის „შინაგანი სივრცის ორგანიზებაში წამყვანი ადგილი შემადღებულ საწნახელსა და მის კედელზე მიდგმულ დედაბოძს უჭირავს. ინტერიერი აგებულია მარნის სიმეტრიის გრძივ ღერძზე, რომელიც შესასვლელს საწნახლის შუა წერტილთან (დედაბოძთან) აერთებს<sup>57</sup>. რაც შეეხება საწნახელს, ის შეიძლება ყოფილიყო როგორც ქვითკირის, ასევე ხისა, თუმცა „საქართველოში გავრცელებულ საწნახლებს შორის ყველაზე ძველად ხის საწნახელი (ნავი) უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც პირველი

მეღვინენი არა მხოლოდ დაწურავდნენ ყურძენს, არამედ ღვინოსაც აყენებდნენ, მის დაღულებამდე ჭაჭის შიგ დატოვებით. რაჭა-ლეჩხუმში მთლიან ხეში ამოჭრილ საწნახელს ჩაჭრილას ანუ ხორგოს ეძახდნენ<sup>58</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ მარნის ინტერიერის გადაწყვეტას ქართველი ოსტატები „საოცარი ალლოთი და დიდი ტაქტით უქვემდებარებდნენ დარბაზის მდიდრულ-ხუროთმოძღვრულ-სივრცითს გააზრებას“<sup>59</sup>.

ამრიგად, დედაბოძის გაჩენა მარნის ინტერიერში (ფოტო №5), ფუნქციონალურთან ერთად, მისი, როგორც საკრალური ხის დატვირთვის გვანსენებს. როგორც ცნობილია, დარბაზული ტიპის საცხოვრისის ინტერიერში, დედაბოძი კოსმიური ხეა, რომელიც სამყაროს ღერძსა და საყრდენს წარმოადგენს და მასთან სრულდება მრავალი რიტუალი: საახალწლო, საქორწილო, „ბედის შეკვრასთან“



5. ქართული ტრადიციული მარანი. დედაბოძი შემკულია ჯვრითა და ასტრალური სიმბოლიკით. სოფ. ხაშში. ფოტოს მოწოდებისთვის ავტორი მადლიერებით მოიხსენიებს ბატონ გიორგი ბარისაშვილს.

დაკავშირებული და სხვ.<sup>60</sup> ვინაიდან დედაბოძი ცისა და მიწის მაკავშირებელი ხეა, რომელიც ასევე სამოთხისეულ „სიცოცხლის ხესთან“ შეიძლება გაკავიგვოთ, მისი წარმოჩენა მარანში, სადაც ღვთის შესაწირი ღვინო უნდა დადგეს, სრულიად ბუნებრივად გვესახება. ამ თვალსაზრისით, დედაბოძი „ღვთის კარზე“ ამოსული „ალვის“ იდენტური ხეა, მისი მატერიალური გამოვლინებაა, რომლის ვერტიკალური გააზრებაც, ცისკენ სწრაფვას, განღმრთობის სურვილსაც გამოხატავს.

შესაძლოა ასევე „სიცოცხლის ხის“ განსახიერებად მივიჩნიოთ მთლიანი ხისგან გამოჭრილი საწნახელი, რომელიც ერთ დროს, არა მხოლოდ ყურძნის დასაწურად, არამედ ღვინის დასაყენებლადაც გამოიყენებოდა და ამ თვალსაზრისით, ღვთაებრივი სითხე პირდაპირ „სიცოცხლის ხისგანაა“ მომდინარე<sup>61</sup>. ნიშანდობლივია, რომ ღვინის, როგორც „მზიური სითხის“ დაბადების მისტერია სრულდება საწნახელში, რომელსაც „ნავი“ ეწოდება, რაც კოსმიური წყლებიდან მზის დაბადების მითოლოგიას ნებაუწებურად გვახსენებს, ვინაიდან ნავი, როგორც მითოლოგიური სიმბოლო, არა მხოლოდ წყალთანაა კავშირში, არამედ მზესთანაც. გავიხსენოთ მზე-ჰელიოსის ოქროს ნავი, რომლის მეშვეობითაც ჰერაკლე აღწევს კუნძულ ერითიას, რათა თავისი მეთე გმირობა აღასრულოს და გერიონის ნახირი გამოირეკოს<sup>62</sup>. ნავში ზის და ისე უვლის მსოფლიოს გარშემო ეგვიპტური ღამის (ქვესკნელის) მზე – ხებრაც<sup>63</sup>. ვინაიდან საქმე ეხება წყლით შემოსაზღვრულ კუნძულს, რომელიც ლიმიტარული სივრცეა და საკრალურობის დატვირთვას იძენს, დაბნეულ ჰერაკლეს დასჭირდა სწორედ ჰელიოსის დახმარება, რომელიც ამავე ნავით თავის სადღეღამისო ციკლს ასრულებს ხოლმე; შესაბამისად, მზე-ღმერთის ოქროს ნავით მოგზაურობა, ერთგვარი ინიციაციის მიმანიშნებელიცაა, რადგანაც მასში მკვდომი, მეტაფიზიკურ ასპექტში, სიკვდილის ზღვარზე გადის. ნავი იძენს ღრმა მითო-რელიგიურ დატვირთვას იმიტომაც, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენებით, სულეთში მოსახვედრად „ერთი რამ დიდი ზღვა არის კარებთან შესასვლელშია...“<sup>64</sup> ამასთან, თუკი ზღვა ‘კარებთან შესასვლელშია’, გამორიცხული არაა, სიტყვა ზღვარი და საზღვარი ერთ

დროს ორ სამყაროს შორის მაკავშირებელი ერთგვარი სივრცის მნიშვნელობითაც ყოფილიყო გააზრებული. დაბოლოს, ნავში დაწურული ღვთაებრივი სითხის მიზანიც ხომ ადამიანის განღმრთობა და მისი პირვანდელ, სამოთხისეულ მდგომარეობაში დაბრუნებაა. ამ კუთხით, მარნისა და “მარ“ ფუძის მიახლოება საზღვრის, მიჯნის მნიშვნელობის მქონე სამანთან<sup>65</sup> თითქოს მეტ დამაჯერებლობას უნდა იძენდეს. სწორედ კოსმიური წყლის დატვირთვა უნდა ჰქონდეს მარნის კარის ბალავარზე გველუშაპის გამოსახულებასაც, რომელიც ერთაწმინდაში, კანდელაკების მარანშია დაფიქსირებული<sup>66</sup>.

ქართული ტრადიციული მარანი ერთგვარად უნდა აერთიანებდეს ქრისტიანულსა და წინარექრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს<sup>67</sup>. საგულისხმოა, რომ მარნის ინტერიერში დედაბოძი საწნახელზეა მიდგმული, რითაც ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სივრცეებში გააზრებული ცისა და მიწის ნებაუწებური შეკავშირება ხდება. სწორედ ასეთი კავშირია მოცემული ცეცხლის შესანახ, მდებარეულ კერასა და მის გამანაყოფიერებელ, მამრული ბუნების მქონე ზესადგარებს შორის, რომელთა შეუღლებით სამყაროს შექმნის კოსმოგონიური პროცესი მეორდებოდა<sup>68</sup>. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საწნახელზე მიდგმული დედაბოძი ქმნის ჯვარს, რომელსაც ქართველთა რელიგიური ცნობიერების ყველა ეტაპზე, საკრალური დატვირთვა ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ წმინდა ნინომ საქართველო სწორედ ვაზის ჯვრით ხელში გააქრისტიანა, რითაც ჯვრის საკრალური ბუნება ვაზთან, როგორც „სიცოცხლის ხის“ მარადიულ სიმბოლოსთან დაკავშირდა და ქართველებს ამავე ჯვრის ძალით, განღმრთობის, სამოთხეში დაბრუნების წინაპირობა მისცა. უცნაურ შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმასაც, რომ ქართველთა განმანათლებელი წმინდანის სახელი – ნინო, ფუძისეულად უახლოვდება პონტურ-მცირეაზიურ არეალში გავრცელებულ ნანას, რომელსაც ნაყოფიერებასთან დაკავშირებული საკულტო დატვირთვა ჰქონდა<sup>69</sup>. თუკი მოვიგონებთ, რომ ქართული მარანი დიდი დედის – ნანას მზიური ბაღია, მაშინ კავშირი ნანასა და ვაზის ჯვრით მკლავშემართულ ნინოს შორის, ენობრივის გარდა, ზედროულ, სულიერ განზომილებასაც იძენს.

ერთ-ერთი გადმოცემით, ვაზის ჯვარი, რომლითაც წმინდა ნინომ ქართველები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია, წმინდანს თავად ღვთისმშობელმა გადასცა, რითაც კიდევ ერთხელ უნდა იყოს მინიშნებული ის ფაქტი, რომ ქართველი ერი საზეპუროა და ღვთისმშობელთან წილხვდომილი, ვინაიდან ჯვარი ვაზისა საწინდარია განღმრთობისა და ხატებაა მიწიერი სამოთხისა. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს აპოლონიუს როდოსელის ცნობა იმის შესახებ, რომ ბერძნული მითოლოგიის მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოს გაუკვალავს კოლხეთის მეფე აიეტისთვის ვაზის ძირიდან მომდინარე ოთხი წყარო<sup>70</sup>, რაც უნდა იყოს შესატყვისი იმ ოთხი მდინარისა, რომლებიც სამოთხის ბაღიდან იღებენ სათავეს<sup>71</sup>. ოთხივე წყარო ხომ ვაზის ძირიდან გამოდის, რომელიც ღვთის კარზეა ამოსული და იგივე ალვის ხეა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ წარღვნისშემდგომ პერიოდში, ბიბლიური ეთნარქოსის, ნოეს მიერ ვაზის მოშენება გეოგრაფიულად უახლოვდება ამიერკავკასიის რეგიონს, რომელიც მიჩნეულია კიდევ ვაზის სამშობლოდ<sup>72</sup>. ნოეს თრობაც, რომელიც ავლენს მამის მიმართ შვილების დამოკიდებულებასაც, მისი განღმრთობის, ღმერთთან შერიგების წყურვილითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ერთი დეტალიც იქცევს ყურადღებას ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან. ქალწული ნინო ვაზის ჯვარს საკუთარი თმებით კრავს. ამ შემთხვევაში, წმინდანის თმა სულიერ დატვირთვას უნდა იძენდეს. როგორც ცნობილია, მითოსი და რელიგია თმას სწორედ მაგიურ-სულიერ ძალმოსილებას მიანიჭებს, რაზედაც მოწმობს თუნდაც ბიბლიური მოთხრობა სამსონისა და დალილას შესახებ. გავიხსენოთ ქართლში დადასტურებული რიტუალიც, როცა ოჯახის უფროსისა და დოვლათიანი კაცის სიკვდილის შემთხვევაში, მიცვალებულის თმასა და ფრჩხილს მარანში შეინახავდნენ<sup>73</sup>. თმის ძალაა გამოვლენილი მაღალ კოშკში გამოკეტილი მზეთუნახავის უნივერსალურ სახეში, რომელმაც, საკუთარი რჩეულის ზემოთ ასაყვანად, თავისი გრძელი თმა ძირამდე უნდა დაუშვას. ამ შემთხვევაში, თმას ერთგვარი კბის, ზედასვლისა და მიუწვდომელის წვდომის ფუნქცია ენიჭება<sup>74</sup>. თმის ამგვარი მითო-რელიგიური ხატი დასაბამს უნდა იღებდეს

იმ პერიოდიდან, როცა ქალ-ღვთაებები ბუნების ძალთა გამგებლები იყვნენ (ქართული მითოლოგიის ნადირთღვთაება, ოქროსთმიანი დალი გავიხსენოთ) მანამდე, სანამ მათ მამრული ბუნების ღვთაებები ჩაენაცვლებოდნენ. ნათქვამის გათვალისწინებით, წმინდანის თმა, რომლითაც სამარადისოდ იკვრება ვაზის ჯვარი და მით იკვრება ქართველთა ბედიც („ბედის შეკვრაც“ და „ბედის გახსნაც“ ხომ ღვთაებრივი აქტია), სულიერი ზესწრაფვის გამოხატულებაა და თავისი ღრმა სიმბოლიკით ცისა და მიწის მაკავშირებელი იმ კბისა თუ ხიდის ანალოგია, რომლითაც ღვთისმშობლის ღვთაებრივი სახეა გაცხადებული: „გიხაროდენ, კიბეო ზეცისაო, რომლისა მიერ გარდამოხდა ღმერთი/ გიხაროდენ, ხილო, წიაღმყვანებელო ქვეყანისათაო ცად მიმართ“<sup>75</sup>.

ვაზის ჯვარი, რომელიც ქართველთა კუთვნილებაა და რომელიც განღმრთობის იდეას იმთავითვე ატარებს, განსაკუთრებულ მადლსა და კურნების ძალას ფლობს. ნიშნანობლივია, გრ. რობაქიძის მინიშნებაც, რომ წმინდა ნინოს ჯვარი არა დასჯის და წამების ნიშანი, არამედ „ლხინია თვითონ“. ამ ლხინში, რა თქმა უნდა, უწინარესად, არა უბრალოდ თრობა, არამედ ღმერთთან შეერთების სურვილი უნდა დავინახოთ<sup>76</sup>. ჯვარი სიმბოლოა ცოლ-ქმრული ურთიერთობის სიწმინდისა და ღმერთთან ერთობისა. ღვინო კი, „სიცოცხლის ხისგან“ მომდინარე ის ღვთაებრივი სითხეა, რომლითაც ეს ერთობა სამარადისოდ უნდა განმტკიცდეს. საკრალური ჯვარი ოდითგანვე განასახიერებდა ცისა და მიწის, მამრული და მდედრული ძალების შერწყმა-შერიგებას და შესაბამისად, ნაყოფიერებას, კეთილდღეობასა და გამრავლებას, რაზედაც მოწმობს თუნდაც ისეთი სიტყვების არსებობა ქართულ ენაში, როგორიცაა: ჯვრისწერა და შეჯვარება<sup>77</sup>. ასეთი ნაყოფიერების მომტანი ფუნქცია ჰქონდა „სიცოცხლის ხელ“ მიჩნეული ჩიჩილაკის წვერზე დამაგრებულ საკრალურ კალპს, იგივე გვერგვს, რომელიც სქემატურად წრეში ჩახატული ჯვარია და რომლის შექმნაშიც ვაზის ლერწიც მონაწილეობდა<sup>78</sup>. სოლარულ გვერგვს, ვ. ბარდაველიძე უდარებს ენობრივად და ფუნქციურად, საქორწილო გვირგვინს, რომელსაც ჯვართან ერთად ოთხი ტოტი აქვს აქეთ-იქიდან ჩამოშვებული<sup>79</sup>, რაც უნებურად ვაზიდან, „სიცოცხლის ხისგან“





8. თრიალეთის ოქროს თასი.  
ძვ.წ. მეორე ათასწლეული.  
ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი.

მომდინარე ოთხი მდინარის სამოთხისეულ ხატებას გვახსენებს და მიგვანიშნებს, რომ ქორწილი თავისი არსით საკრალურია და მან წყვილი სამარადისოდ ღმერთში უნდა გააერთიანოს. ჯვრისწერის რიტუალის მარანში გამართვის ტრადიცია<sup>80</sup> გამოწვეული უნდა ყოფილიყო უწინარესად იმით, რომ ეს საღვინე სახლი სამოთხის მიწიერი ხატებაა, სადაც ხილულად (იგულისხმება დედაბოძი) თუ უხილავად „სიცოცხლის ხე“ მყოფობს და მისი მაცხონებელი წვენიც იქ მოედინება.

ნათქვამის გათვალისწინებით, ყურადსაღებია საქართველოში გავრცელებული ერთი რიტუალი, როცა მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ, ახლადშეუღლებულ

წყვილს ტაბლაზე წინ დაუდგამდნენ „ჩირაღდანს“<sup>81</sup>, (ზოგან „მაშხალას“), რომელიც საახალწლო ჩიჩილაკის დარად, სამოთხისეული, „სიცოცხლის ხის“ განსახიერებაა. ამ ქმედებას თან ახლდა „მრავალჟამიერი“, რომლის სამცხე-ჯავახეთში დაცული ტექსტი განსაკუთრებულად საყურადღებოა: „*მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ მრავალსა წელსა/ინებოს ღმერთმა, ინებოს ღმერთმა, ინებოს ღმერთმა თქვენი სიცოცხლე/ოთხი წყარო დის, ოთხი წყარო დის, ოთხი წყარო დის, ოთხი მხრივ მოდის/მითი მოირწყვის, მითი მოირწყვის მითი მოირწყვის ოთხივე მხარე...* ეჭვს არ იწვევს, რომ აქ იგულისხმება მდინარე ედემისა, მომრწყველი სამოთხისა, რომელიც ოთხად განიყოფა“<sup>82</sup>.

მარანში წარმოდგენილი რელიგიური სიმბოლიკის გამოძახილია მზის ლითონისგან, ოქროსგან დამზადებული და თვლებით შემკული თრიალეთის თასი, რომლის ფსკერსაც სწორედ ჯვრის გამოსახულება ამშვენებს (ფოტო №8). ნიშანდობლივია, რომ ჯვარში გაცხადებული ცისა და მიწის კავშირი შეიძლება ვლინდებოდეს საკულტო ხასიათის საღვინე სასმისშიც, რომელიც, როგორც წესი, ნახევრადსფერულია და გარკვეულწილად ხთონური, ქალური ბუნების მქონე ქვევრსაც წააგავს, ხოლო ღვთაებრივ-მზიური სითხის მიღებისას, ტრიალდება და უკვე მამრული ძალით დამუხტული ცის თაღოვან ფორმას იღებს, რითაც თითქოს მინიშნებულია განღმრთობის ქვეშეცნობილი სურვილიც. დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ქართულ სუფრაზე, უკანასკნელი სადღეგრძელო ეძღვნება საუფლო ვენახის კანონიკურ ხატს, დედა ღვთისმშობელს, ვინაც ვაზის სამოთხისეული ხისგან შეკრული ჯვარი წილხვდომილ საქართველოს ბედისწერულად სამარადისოდ მიაკუთვნა.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 438.

<sup>2</sup> ლ. სუმბაძე, ქართული მარნის სუროთმოდგრება, „მეგლის მეგობარი“, №16, თბ., 1968, გვ. 125.

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007, გვ. 130

<sup>4</sup> დ. ჭითანავა, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები არქეოლოგიური მასალების მიხედვით, იხ. კრებული: ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2011, გვ. 268.

<sup>5</sup> „ხეობა ვაზი იყო მზის ხვედრი. მზის ძალით იყო აღვსილი ვაზის ტანი, მისი მიძობრა. ვაზი ქალურ საწყისს გამოხატავდა, მზე – ვაჟურს. ამიტომაც ანიჭებდა მზე ვაზს თრობის ძალას. ქრისტიანობამ მზისა და ვაზის სიმბოლიკა გამოიყენა. ძველი რწმენა თავის ესთეტიკას შეურწყა. ქრისტიანობა არ ცნობდა არც მზისა და არც ვაზის თაყვანისცემას. მაგრამ ქართველებს არ შეეძლოთ ვაზისა და მზის სილამაზე არ განეცადათ. ამიტომაც ჩააწნეს ჩუქურთმაში ვაზი. ვაზის და მზის ესთეტიკა საბოლოოდ დაამკვიდრეს. საცა ვაზი იყო, იგულისხმებოდა მზეც. ხშირად ვაზით მოწნული ქართული ჩუქურთმა მზის თვალსა ჰგავდა“. იხ. რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 27.

<sup>6</sup> „ლექსო არ დაიკარგები“, ხალხური პოეზიის კრებული, თბ., 1985, გვ. 39.

<sup>7</sup> დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრ., გვ. 270.

<sup>8</sup> დ. ჭითანავა, დასახ. ნაშ., იქვე.

<sup>9</sup> დ. ჭითანავა, დასახ. ნაშ., იქვე.

<sup>10</sup> Н. Я. Марр, Избранные работы, т. V, Языковая политика яфетической теории и удмуртский язык... 1935, ст. 496, 501.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 61.

<sup>12</sup> რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 131.

<sup>13</sup> დ. ჯანელიძე, სახიობა, თბ., 1980, გვ. 83.

<sup>14</sup> ბერძნული მითების სამყარო, ტროას ომის შემდეგ, თბ., 2005, გვ. 119.

<sup>15</sup> ე. კობახიძე, ანტიკური კულტურის პრობლემები, თბ., 2006, გვ. 83.

შესაძლოა, ბერძნული არესისა და ეტრუსკულ-რომაული მარსი/მარსის ხთონურ ბუნებას ეხმებოდეს ქართული გამოთქმა: არემარე, რომელშიც თითქოს შერწყმულია ბერძნული „არესისა“ და ეტრუსკულ-რომაული მარსი/მარსის სახელები. ეს ქართული კომპოზიტი შესაძლოა ერთ დროს სახანავად ვარგისს სავარგულებსაც ნიშნავდა და კავშირში იყო ნაყოფიერებასთან; ამასვე გვაფიქრებინებს ისიც, რომ ოქროს საწმისი დაცული იყო სწორედ 'არესის ჭალებში', რომლის ხოდაბუნების მოხვნაც იასონს აიეტიდან დაევალა.

<sup>16</sup> ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, გვ. 118

<sup>17</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>18</sup> რ. პატარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>19</sup> ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბ., 2009 გვ. 320.

<sup>20</sup> ლ. სუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

<sup>21</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

<sup>22</sup> ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება, ტომი II, თბ., 2005, გვ. 390, 393.

<sup>23</sup> მ. მიქელაძე, ქართველთა ეთნიკური სახელი არქაული რწმენა-წარმოდგენების შუქზე, თბ., 2014, გვ. 153.

<sup>24</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тбилиси, 1957, გვ. 79.

<sup>25</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

<sup>26</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

<sup>27</sup> მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ. 131.

<sup>28</sup> ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 197.

<sup>29</sup> ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ვერცხლის ფურცელში შეხვეული ვაზის რტოები, რომელიც ბედნურ კულტურას მიეკუთვნება (ძვ.წ. III ათასწლეული, ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი) და მიცვალებულის სამარხშია ნაპოვნი. ამ შემთხვევაში, სიცოცხლის მომცემი ვაზი რეინკარნაციის, მიღმურ სამყაროში ხელახალი დაბადების იდეას უნდა გულისხმობდეს. აღნიშნული მზის მარადიული, სადღეღამისო ციკლის ცნობილ მითოლოგიას ეხმებება და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მზისა და ვაზის საკრალურ კავშირს.

<sup>30</sup> ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 97, 98.

<sup>31</sup> აღნიშნულ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ „მზისა და ცეცხლის ძველინდური ღვთაება აგნი დაბადებულია როგორც ელვა წვიმაში, „ხმა წყლისა“, აგნი არის შვილი მზისა; იგია მზე“. იხ. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, თბ., 2006, გვ. 36.

<sup>32</sup> „სული ღვთისა იხვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“. ბიბლია, დაბადება, თავი I.

<sup>33</sup> საყურადღებოა, რომ ერთ დროს, რქიანი სადგრების და კერების ნახვრეტში შეიძლება ჩაემარებინათ ჩიჩილაკი – „სიცოცხლის ხისა“ და ნაყოფიერების სიმბოლო. იხ. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 193.

<sup>34</sup> მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ.; გვ. 131.

<sup>35</sup> ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბ., 1972, გვ. 8-9.

<sup>36</sup> „ეს მეფური მართვა – კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: „მართვა“, ანუ ღვინება „მართლისა“ – ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო „მითოსში“, არამედ ქართულ „ისტორიაშიც“. იხ. გრ. რობაქიძე, ტომი IV, ნაწერები, საკრალური წყობა, თბ., 2012, გვ. 98.

<sup>37</sup> გრ. რობაქიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

<sup>38</sup> ცისა და მიწის ეს კავშირი ასახულია სართულებიან ფერხულში – ქორბეღელა, რომლის შესრულებაც ვენახშიც იცოდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ: „საწესო ფერხულის შესრულებით, თითქოს ცოცხლდება სამყაროს კოსმოგონიური წარმოდგენები და სკნელთა წარმოსახვის მეშვეობით ხდება „ღვთაებრივი ძალების“, „ღვთისშვილების“ სკნელიდან სკნელში „გადაადგილებაც“, რასაც უნდა გამოეწვია მოსავლიანობა, შვილიერება, განაყოფიერება და ა.შ“. იხ. მ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

<sup>39</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად. 120.

<sup>40</sup> შუამდინარულ მითოლოგიაში, 'მეფე – „სამეფო ნერგი“ (ისიმუნამ-ლუგალა) – კოსმიური ხის ფუნქციას ასრულებს: „რჩეულო კედარო, მშვენიერა ექურის ეზოისავ, ურ-ნინურთა, შენს ჩრდილს შუმერის ქვეყანა მოწიწებით შეუვრდეს“; მეფის აღზევების პროცესი, ვითარცა ჰელიოტროპული მოვლენა – „ოდეს კედარის ნერგით თავი მალდა აღმართე“ – შესაბამისობაშია მის საკრალურ როლთან ხის დამნერგავისა და

კულტივატორისა“ .ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 125.

ამ კუთხით, ყურადღება მიიქცია სულხან-საბა ორბელიანის მიერ მეფის გვირგვინის მნიშვნელობით ნახმარმა ტერმინმა – კიდარი, რომელიც ნებაუნებურად გვასხენებს საკრალური ხის – კედარის სახელს: „კიდარი – ძვ. „ქუდი, გინა ხვირი, გინა გვირგვინი“ (საბა). „თვალმდემად საგულისთქმლო, კიდარო მეფეთაო!“ (ბეს.)“. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1955, გვ. 1194.

<sup>41</sup> ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია... გვ. 130.

<sup>42</sup> „მუშქების მეფე ხართაფუს სახელსა და ტიტულატურას მზის ფრთოსანი დისკო (სამეფო კარტუში) ახლავს, ხოლო ორზე – სამეფო კარტუშის ზემოთ ღვთაება თარხუნთის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფებია მოთავსებული. წარწერების შესაბამისი სტრიქონები ითარგმნება როგორც: მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე, ან თარხუნთი, მზე, დიდი მეფე ხართაფუ, დიდი მეფე“. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 106, 107.

<sup>43</sup> „მტკვნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტკვანში“. თვალთ აქ ნაგულისხმევია მზე.“ იხ. გრ. რობაქიძე, საქართველოს სათავენი, დასახ. კრებული, გვ. 93.

<sup>44</sup> ა. ლეკიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>45</sup> Н. Марр, Избранные работы, т. V., Абхазоведение Абхазы, 1935, ст. 172.

<sup>46</sup> თუმცა, მითოსური კუთხით, „თვალი“ შეიძლება გაიგებებოდეს იყოს როგორც მხესთან, ასევე მთავრესთან, თუკი მოვიგონებთ, რომ ეგვიპტელთა მზისა და ცის ღვთაება ჰოროსს ცალი თვალი მზისა აქვს, ცალი კი მთვარისა. იხ. ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 627.

<sup>47</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 86.

<sup>48</sup> თ. მიხვანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, გაანსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 304.

<sup>49</sup> როგორც ამას ი. კიკვიძე შენიშნავს, „კვირისტავეების უმრავლესობაზე ვხვდებით მზის სტილიზებულ გამოსახულებას: სხივისებურად განლაგებულ წერტილოვან, წიწვოვან, ხაზოვან და ფრჩხილისებურ ჭდეებს, რომლებიც დინამიურადაა გადმოცემული, რაც შესაძლოა იმის მაუწყებელი იყოს, რომ საქმე გვაქვს სიცოცხლის, მზის კულტთან“. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

ქსოვის მისტერიის საფუძველი ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში მიიკვლევა, ვინაიდან ცნობილია რთვისა და ძაფის კავშირი ქალღვთაებებთან, რაც გამოსატყულებელი იყო ძაფის შეწირვითა და სხვადასხვა აღკვეთებით... ქალღვთაება ლამარია სვანთა შორის ითვლებოდა რთვისა და ქსოვის მფარველად, რომლის რიგი ფუნქცია მოგვიანებით ღვთისმშობელზე გადასულა“. ი. სურგულაძე, ტყავის სიმბოლიკა და ტყავის მითოლოგია ქართულ მითოსში, თბ., 2010, გვ. 5.

სვანეთში კვირისტავეები ნაყოფიერებისა და მზის დედა-ღვთაებას – ბარბოლ/ბარბარეს ეწირებოდა.

<sup>50</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 123

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

<sup>53</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

<sup>54</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი IV, თბ., 1955, გვ. 392.

<sup>55</sup> ნათელა ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, გვ. 145.

<sup>56</sup> В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования..., გვ. 78.

<sup>57</sup> ლ. სუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

<sup>58</sup> ლ. სუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133-134.

<sup>59</sup> ლ. სუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

<sup>60</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

<sup>61</sup> ნიშანდობლია, რომ საწნახლის საკრალური ბუნება ვლინდება გურიაში, კალანდობის რიტუალში, როცა ოჯახის წევრები ჩამწკრივდებოდნენ და საწნახელს ცულის, ნაჯახის ტარს ურაკუნებდნენ, რათა მევენახეობის ღვთაება აგუნსაგან წყალობა და ბარაქა გამოეთხოვათ. იხ. ა. ლეკიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

<sup>62</sup> ბერძნული მითების სამყარო, ასპარეზზე გამოდიან გმირები, თბ., 2003, გვ. 89-90.

<sup>63</sup> ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, თბ., 2006, გვ. 44.

<sup>64</sup> ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986, გვ. 98.

<sup>65</sup> დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრ., გვ. 264.

<sup>66</sup> ლ. სუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>67</sup> მართლაც, თუკი ქართული მარანი დიდი დედის – ნანას „მზის ბაღია“, ის ასევე შეიძლება ყოფილიყო დედა ღვთისმშობლის სადგომიც, მით უმეტეს, რომ მარანში უფლის, ღვთისმშობლისა და სხვადასხვა წმინდანთა სახელებზე საზედაზე ქვევრები იყო ჩადგმული. იხ. ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

ამასვე მოწმობს იოანე მინჩხის საგალობელიც, სადაც ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია: „ვენახი გონიერი“. იხ. თ. კობაძე, ვაზი და ღვინო მითოლოგიასა და რელიგიაში, ჟურნალი „კავკასია“, 1, 2011, გვ. 24.

<sup>68</sup> მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 72-73.

<sup>69</sup> „პონტურ-კაპადოკიურ ნანასა და ქართულ ნანა-ნენას შორის ორგანიული კავშირი უდავოა. წინააზიურ ღვთაებათა შორის სადაც ალაღე, არაღე, ია და სხვები არიან არის აგრეთვე ნანა. ნანა

– უმაღლესი ღვთაება ადამიანთა მოდემის გამრავლებისა, აგრეთვე ნაყოფიერების ღვთაება, გავრცელებული იყო მცირე აზიაში, სომხეთში, პონტოში, საქართველოში. შეიძლება საქართველოში ნანას გავრცელება მატრიარქატის ეპოქიდან მომდინარეობს. პორფირი უსპენსკის ივერთა ათონის მონასტერში წირვაზე დიდი აღსავლის დროს, ერთი უცნაური გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება: გაუგებარი სიტყვებით მღეროდნენ ბერძენი ბერები, რომელნიც უძღვრდნენ რა ღვთისმშობელს და უფლის ჩასახვის საიდუმლოს იძახდნენ ნენა, ნინა-ს, რომელსაც მათი თქმით, ღვთისმშობელი უძღვრდა თავის ღვთაებრივ პირმშოს. უდავოა, რომ აქ ლაპარაკია ძველ ქართულ ეკლესიაში არსებული ტრადიციის გადმონაშთზე, რომლის მნიშვნელობაც ქართველთა მონასტერში მოკალათებულ ბერძენ ბერებს აღარ ესმოდათ. ივერთა მონასტრის ბერის საგალობელში ქართული „ნანა“ თუ „იანანა“ გაისმოდა... შესაძლებელია ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ



ქრისტიანულ რიტუალში როგორ შემორჩა წარმართული ელემენტი“. იხ. გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1962, გვ. 186.

<sup>70</sup> „ვაზის ლერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთილები; დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს, დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩუხჩუხებდა, — ჰეფესტო ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკენი. ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე — წყაროს წყალი ანკარა, პლეიადების ჩასვლის ჟამისთვის ეს შადრევანი თბებოდა ხოლმე, და ცაზე მათი ამოსვლის ჟამს კი ყინულზე ცივი, ბროლივით სუფთა მოწანწკარებდა ლოდის ხვრელიდან დაუშრეტელი მაცოცხლებელი“. აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა, აკაკი ურუშაძის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 123.

<sup>71</sup> ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი, როგორც ძველი რუკა და პურზე დამწერლობა, თბ., 2004, გვ. 25.

<sup>72</sup> თ. კობაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

<sup>73</sup> ნ. თოფურია, ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1995, გვ. 155.


<sup>74</sup> იხ. „იადონისა და ბულბულისა“. ქართული ხალხური ზღაპრები, წიგნი I, თბ., 1951, გვ. 45

<sup>75</sup> იხ. დაუჯდომელი უფროსად კურთხეულისა დიდებულისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

<sup>76</sup> ნიშანდობლივია, რომ გრ. რობაქიძე წმინდა ნინოს ჯვარს პირდაპირ მაზიარებელი ჯვრის დატვირთვას აძლევს: „უბედურების ჟამს ვაზის ლერწისგან გამოჭრილ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ თავისი თმებით შეკრა, მტევნები გამოუღია, მისი წვენი რაინდებს თასით შეუნახავთ. ეს თასი „გრაალია“, გული საქართველოსი.. ვერ მონახავთ ამ ქვეყნად მეორე სახელმწიფოს,



6. ქვევრი ორნამენტიზირებული ყელით. წალკა. ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარი. ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი.



7. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი მამაკაცის ითი-ფალური გამოსახულებით. არუხლო. ძვ.წ. VIII-V ათასწლეული. ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი.

რომელსაც ვაზისა და სარწმუნოების ერთიანი სიმბოლო აქვს“. იხ. დ. ჭითანავა, დასახ. ნაშრ. გვ. 256.

<sup>77</sup> აღსანიშნავია, რომ ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული ჭურჭელი თუ სარიტუალო ნივთი ხშირად შემკულია ჯვრით ან სვასტიკით (ფოტო №6). ვაზთან და მევენახეობასთან დაკავშირებული ანთოპომორფული ფიგურები თუ ორანტის პოზაში მდგარი მდებრული ღვთაებები ხშირად ასევე ჯვრისებრია ან სვასტიკისებრი. ეს სიმბოლოები ჩნდება სოლარული ნიშნების გვერდითაც, რაც ზოგადად განაყოფიერების, გამრავლებისა და სიუხვის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ჯვრისებრია თუნდაც მელანის ფალიური ღვთაება (ძვ.წ. VIII-VII სს. ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმი) და ასევე ფალოსიანი მამაკაცის ბარელიეფური გამოსახულება შულავერის უძველეს თიხის ჭურჭელზე (ფოტო №7) (ძვ.წ. VI ათასწლეული).

<sup>78</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბ., 2006, გვ. 74, 80.

<sup>79</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების... გვ. 84.

<sup>80</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>81</sup> „ჩირადღანი“ ან ზოგან ‘მაშხალა“ ხისგან დამზადებული მრავალ ტოტიანი ხის ფორმის საგანია, რომელზეც ჩამოკიდებულია ხილი, ჩურჩხელები, ყვავილები, პურის ცომისგან გამომცხვარი ცხოველთა და ადამიანთა ფიგურები, ასევე, მთლიანად მოხარშული ქათამი, რომელსაც თავზე ბუმბული აქვს დატოვებული.“ იხ. ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

<sup>82</sup> ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

# ლიტერატურული ნოვატი



მამა ილია ჩიუაიძე

## გომბორის პიმუზი

გომბორის მთებზე მოვლივარ ახლა  
 და გზაზე შენი ღიმილი მახლავს...  
 . . . . .  
 გადავიქცევი გრიგალად, ქარად  
 და გადავლახავ მთას და გზა-შარას...  
 ის აღრინდელი სახე მწყაზარი  
 გულში ამ ხსოვნამ ვერც რით წაშალა...  
 ღმრთაებრივია დღეს შენი სახე,  
 გარიჟრაჟის თუ ცისკრის სხივია,  
 მაგრამ ის სახე, ადრე რომ ვნახე,  
 ათასჯერ უფრო ღვთაებრივია...  
 ვუახლოვდები უწმიდეს თბილისს,  
 ვუახლოვდები ვახტანგის ქალაქს...  
 ტკბილია როგორც ნიავი დილის  
 და გადახდილი მამულის ღალა...

2017 წელი,  
 25-26 ივნისი,  
 შუალამე.

## ღედის საფლავთან თქმული

მოგონებები გარდასულ დღეთა  
 მარადის მდევს და მარადის მახლოვს...  
 ჩემი ცხოვრების ღამაზი დედა  
 დაბრუნდებოდეს ნეტავი ახლა,  
 არ იქნებოდა ტკივილი მაშინ,  
 არც უსაშველოდ მტანჯველი დაღლა!..

მისი მანდილის სითბო და ჩრდილი,  
 განაქარვებდა ყოველგვარ ტკივილს...  
 ის იყო მზე და ცისკრისას დილით  
 მქუხნარ ტალღებზე მტვირთველი ტივი...  
 ახლა ამ სულში ჭრილობა მეფობს,  
 გულიც როდემდე გაუძლებს ტკივილს?!

2017 წელი, 17 ივნისი

## სამოთხემდე...

სამოთხემდე ვინ გაგიყვანს  
 წინსვლით, არა გაჩერებით,  
 შენ ცოცხალი წმინდანი ხარ,  
 მე ეს ვიცი დაჯერებით.

ჩემ სიმძიმეს რადგან უძლებ,  
 გაბრიელსაც გაუძლებდი,  
 და ეშმაკთა ბინძურ ხროვას  
 ცის დიდებას აუწყებდი...

მძიმე არის შენი ჯვარი,  
 რადგან ჩემი ჯვარიც მძიმე,  
 ცის სამანებს ემართლება,  
 ეს სარკმელი მოციმციმე.

ეს სოფელი ვეღარ დაგვცემს,  
 გახსნილია ცათა კარი,  
 უღელს ისევ მძლავრად გასწევს  
 ღვთით ნაკურთხი ნიშა ხარი

და ზეცამდეც ის გაგიყვანს,  
 ის დაგადგამს გვირგვინს ბოლოს,  
 შენ თამარის შვილიშვილმა  
 ვარდი უნდა ააქროლო...

ჩემში ფეთქავს ეს ქვეყანა,  
 ამ სამყაროს თავი, ბოლო,  
 მსურს ალკაზმო მერანი და  
 ჩვეულ გზებზე გავაქროლო!..

2017 წელი,  
 12 აგვისტო.



ულადიშერ ეისოცკი(1938–1980)

არ მიყვარს...

არა მსურს ბედისწერის წყალობა,  
არც ამა სოფლად ყოფნით ვიღლები,  
არ მწამს წლის დროთა ცვალებადობა,  
ხალისით თუ არ ავსებს სიმღერებს...

ურიცხვ ცინიკოსთა არ მიყვარს კასტა,  
არ მჯერა ყალბი აღფრთოვანების;  
არ მიყვარს სხვა რომ ზურგს უკან დგას და  
უჩუმრად ჩემსას კითხულობს წერილს!..

არ მიყვარს როცა მაწყვეტინებენ,  
თუ არ მისმენენ – მით უარესი!  
არ მიყვარს როცა მესვრიან ზურგში,  
ან, როცა ვინმე შიგ გულში მესვრის!

ამრეზით ვუმზერ ეჭვების ჭიებს,  
ჭორებით მოწნულ ეკლის გვირგვინებს,  
როცა მოქარგულ ჩუქურთმებს შლიან,  
ან რკინის კეტით ამსხვრევენ მინებს...

არ მიყვარს თავდაჯერება მაძღრის, –  
ის ცუდ მუხრუჭზე ნაკლებ სანდოა;  
მწყინს, რადგან სიტყვა „სინდისი“ გაჰქრა,  
და დაგვეკარგა თვალ და ხელს შუა...

როდესაც ვხედავ ფრთებს გადამსხვრეულს  
და არსაიდან ჩანს თანაგრძნობა;  
მძულს სისუსტეზე რომ ძალადობენ  
და თანაუგრძნობ ჯვარცმულ მაცხოვარს!..

სხვას თუ ვერ ვშველი, თავიც არ მიყვარს,  
მაშინ, როდესაც მართალ კაცს სცემენ,  
მძულს, როცა სულში ფათურობს ვიღაც,  
ან უფრო მეტიც, – შიგ მაფურთხებენ!

არც მანეჟი, არც არენა მიყვარს,  
სადაც ფასეულს – ხურდაზე ცვლიან...  
თუნდაც ვკვდებოდე – ეს ყველაფერი  
რომ შევიყვარო, არ შემიძლია!

ბელა ახმადულინა(1937–2010)

სიზმრები საქართველოზე

სიზმრებს რომ ვხედავ საქართველოზე  
აღტაცებით და ხალისით მავსებს,  
დილის სიწმინდემ და ყურძნის სიტკბომ  
მსურს ბაგე კვლავაც დამიბადაგოს...

მცირედი დარდიც არა მაქვს გულში,  
რაცა მაქვს იმით ვარ კმაყოფილი,  
მსურს მხოლოდ უქრობ სვეტიცხოველში  
კრძალვით ავანთო წმინდა სანთელი..

მცხეთაში კენჭსაც მივაგებ პატივს –  
დაე უფალმაც ასე ინებოს:  
ის, რაც გარშემო იტაცებს მზერას,  
შემოინახოს სამარადისოდ!

აქაა განცდა მომჯადოები,  
მსურს მეც მიგულოთ მოწმედ ამისა:  
როცა სიმკაცრეს სამშობლოს ჩემის  
სინაზე გვივსებს თქვენი მხარისა.

\* \* \*

ჩემთვის დიდი დრო აღარ დაკარგო,  
ნურც ნულარაფერს შემეკითხები,  
გულითადი და გულწრფელი მზერით  
ჩემს ხელებს ნულარ დააკვირდები...  
ნურც გაზაფხულის ნამზე ეცდები  
ექებო ჩემი ნაფეხურები,  
რადგანაც ვიცი – კიდევ რომ შეგხვდეთ,  
ეს აღარაფერს შეცვლის სრულებით!..

რუსულიდან თარგმნა სიმონ ჯაფარიძემ



**ფილია ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის  
სალიტერატურო ჟურნალი  
„საქართველოს მოამბე“**

---

---

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

**მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს  
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ნორა თიგიშვილი  
გონა სოზიაშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კველიშვილების ქ. №10  
რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.



*შეძლებ ნიშნები:*

**ყოვლადფიდა დვთისმუოხლის  
ხატი – ყოველთა დედოფალი.**

**თანამედროვეობის  
დიდი მამები – უწმიდესი  
და უნეტარესი მელქისედეკ III**

**მეცნიერება:  
მერაბ მიქელაძე – „პურ-ღვინო  
– ქართულ-ფრანგული  
მითო-ლინგვისტური პარალელი**

**ცირა ინჟინერი –  
„ვეფხისტყაოსნის“  
მსოფლმხედველობის  
შესახებ**

**ლიტერატურული ნობათი**

**გილოცავთ  
სვატიცხოვლობას!**